



გილგამეუნი



გილგამეუნი



ქართული წიგნის მხარდაჭერის ფონდი



Georgian Book Support Foundation

ბილგაგეუიანი

ქველი შუამდინარული ეპოსი

აქადურიდან და შუამდინარულიდან
თარგმნა

ზურაბ კიკნაძე

თბილისი

ეპიკურიკოლა
2009

Gilgamesh
The Ancient Mesopotamian Epic
From Akkadian and Sumerian translated
by Zurab Kiknadze
Tbilisi
Memkvidreoba
2009

მხატვარი
ნუგზარ მექმარიაშვილი

ქართული წიგნის მხარდაჭერის ფონდი
“მემკვიდრეობა”

ფონდის საქმიანობას ნივთიერად უზრუნველყოფს
გიორგი ლეჟავა

ISBN 978-9941-9106-0-9

© ზურაბ კიკნაძე, 2009
© “მემკვიდრეობა”, 2009

ვილგამეშის ეპოსი

ქალაქი

“ვილგამეშინის” – შუამდინარული ეპოსის ასპარეზი მოიცავს ქალაქს და მის გარეთ შორეულ სივრცეს, გერიგორიას ქვეყნის კიდის მიღმა. გმირის გზა ქალაქში იწყება და ქალაქშივე, მის გაღავანთან მთავრდება. ასევე ძველი ეპიკოსი თავის პოემას ქალაქის ქებით იწყებს და ქებითვე ამთავრებს. ამიგომაც, სანამ უშუალოდ ეპოსზე და მის პერსონაჟებზე დავიწყებდეთ საუბარს, ვისაუბროთ შუმერის *ქალაქზე* და ქალაქებზე, სადაც ნამდვილად დაირწა ცივილიზაციის, შესაძლოა, პირველი აკვანი.

IV ათასწლეულის ბოლოსთვის, როცა დამწერლობა პირველ ნაბიჯებს დგამდა, შუმერის 2-3 მილიონიანი მოსახლეობა თხუთმეტიოდე მცირე და მობრძილ, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოში იყო განაწილებული. საკუთარ ლანდშაფტთან, საკულტო და კულტურულ გრადიციებთან ერთად, რაც მათ ერთმანეთისგან განასხვავებდა, მათთვის საერთო იყო:

ტიპური სისტემა ქალაქ-სახელმწიფოს შიდა მოწყობისა; ყველასათვის საერთო კულტი ენლილისა ნიპურში, რომელიც წარმოადგენდა მთელი შუმერის რელიგიურ და ნაციონალურ ცენტრს; საერთო სახელწოდება მთელი მოსახლეობისა – “შავთავიანები” (შუმ. *სანგ-გიგა*), რაც შემდგომ სემიტური მოდემის ხალხმეც გავრცელდა და, ბოლოს, მთელი კაცობრიობის სახელწოდებად იქცა; საერთო ენა და საერთო წარმოშობის დამწერლობა,

რომელსაც, ფართო არეალზე გავრცელების მიუხედავად, იდენტურობა არ დაუკარგავს, მასთან ერთად საერთო განათლების სისტემა, სკოლების (*ე-ღუბა*) ქსელით წარმოდგენილი, ცხადია, ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით; ბოლოს, რაც მთავარია, ერთიანი სარწყავი სისტემა, რომელიც ყველა ქალაქ-სახელმწიფოს საზრუნავი იყო, რადგან ამ ერთიანი ქსელის წესრიგზე და გამართულობაზე იყო დამოკიდებული თითოეული მათგანის კეთილდღეობა.

ქალაქი, რომელსაც ამ ჩვენს ნარკვევში მოვიხილავთ, ზოგადიც არის და კერძოც, სახელდობრ ურუქი – ჩვენი ეპოსის გმირის სამშობლო. იგი, როგორც ყველა სხვა ქალაქი, მდინარისა თუ არხის ნაპირზეა გაშენებული, გარს აკრავს დაბა-სოფლები, ღია დასახლებანი, რომელთათვისაც ქალაქი წარმოადგენს რელიგიურ, იდეოლოგიურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ ცენტრს. ქალაქის სტრუქტურა, თუ მას თვალსაჩინოებისთვის კონცენტრული წრეების სახით წარმოვიდგენთ, შემდეგი იქნება:

პირველი წრე – ეს არის საკუთრივ ქალაქი (*ურუ*), რომელსაც რეალურადაც დაახლოებით წრის ფორმა აქვს: იგი შემოზღუდულია გალავნით, რომელიც მისი იმედი და სიამაყეა: იგი იცავს მას მომხდური მომთაბარე ტომების შემოსევისგან და აძლევს მას ხილვად ფორმას, განასხვავებს რა და გამოყოფს მას უსაზღვრო გარესამყაროსგან. გალავანი ქალაქის ღირსშესანიშნაობაა, მისი შესაძლებლობის მაქსიმუმი, რაც მას ქალაქად აქცევს. გალავანს შიგნით და გალავანს გარეთ – განსხვავებული სივრცეებია. ერთ-ერთი შუემრული ქალაქის ურუქის ორი ეპითეტი ორი სხვადასხვა კუთხით განსაზღვრავს მას, როგორც ქალაქს: “გალავნიანი ურუქი” და “მოედნიანი ურუქი”. წრე ცენტრს მოითხოვს და ეს ცენტრი, თუმცა ამ შემთხვევაში არა გეომეტრიული, ქალაქში ტაძრის სახით არის წარმოდგენილი. ტაძრის გარშემო თავს იკრებს არა მხოლოდ საკულტო-რელიგიური, არამედ სამეურნეო ცხოვრებაც. არქაულ ხანაში ყველაფერი, რაც ქალაქს აბაღია – სავარგულები, საქონელი, ბალ-ვენახები, საძოვრები, არხები სატაძრო საკუთრებაა.

თითოეულ ქალაქს თავისი საკუთარი პანთეონი აქვს ქალაქის მთავარი მფარველი ღმერთით სათავეში, რომელიც, როგორც წესი, ენლილის ძეა. ყოველ ქალაქს ჰყავს მფარველი დედა-ქალღმერთი, რომელიც განასახიერებს ქალაქს, მოქალაქენი კი – მისი შვილები არიან. ისევე, როგორც ბევრ სხვა ცივილიზაციაში, შუმერშიც ქალაქი დედრული სახით არის წარმოდგენილი, რომელიც თავის კალთაში იფარებს მოქალაქეებს. ამ ასპექტში ქალაქის ქალღმერთის ეპითეტია “მრავალი შვილის დედა” (*ამა-დუმუ-დუმუ-ნე*). “შვილი” (*დუმუ*) შუმერში, ისევე როგორც ყველგან, თავისუფალი ადამიანის მეტაფორაა, თავისუფლებას მხოლოდ დედის (*resp.* ქალაქის) წიაღში ჰპოვენ. ამიტომაც ამ ენაში შესიგყება “დედასთან დაბრუნება” (*ამა-არ-გი*) “თავისუფლებას” აღმნიშვნელ იდიომად იქცა. სანამ გყვეობას თავდახსნილი *დუმუ* არ შეაღწევს ქალაქის კედლებს შიგნით და სიმბოლურად არ დადებს თავს დედის (*ამა*) კალთაში, არ ჩაითვლება თავისუფლად. ამრიგად, ყოველი ქალაქი დასახლებულია მისი შვილებით ანუ თავისუფალი მოქალაქეებით და სხვადასხვა გრადაციის არათავისუფალი ხალხით, რომლებიც სხვათა და სხვათა გარემოებათა (გადატაკება, ვალის გადაუხდელობა, გყვეობა, მოტაცება, ლტოლვილება...) მიზეზით გადადიან ამ კატეგორიაში. ამრიგად, ქალაქს ჰყავს მის წიაღში, ქალღმერთის კალთაზე, დაბადებულნი ღვიძლი შვილები, მკვიდრები, რომლებიც ფლობენ საკუთრებაში უძრავ ქონებას და მონაწილეობას იღებენ ქალაქის პოლიტიკურ ცხოვრებაში, და ქალაქს ჰყავს გერები, ხიზნები, მონები თუ მოხარკენი, რომელთაც არ გააჩნიათ ამგვარი მემკვიდრეობითი საკუთრება, რის გამოც მოკლებულნი არიან მკვიდრობის სტატუსს. მკვიდრობა ანუ თავისუფლება დაბადებით ენიჭება ადამიანს, მაგრამ იგი შეიძლება ეწყალობოს მას საგანგებო რიგუალობით, რომელიც დედის საშობადან დაბადების იმიტაციაში მღვთმარეობს (შვილად მიღების რიგუალობა აღწერილია “ვილგამეშიანში”).

თავდაპირველად, წინარედინასტიურ ან დამწერლობამდელ და შემდგომ აღრედინასტიურ ხანაში (ძვ. წ. XIX ს.-მდე), ქალაქს (*ურუ*) მართავდა

საკრებულო (*უნქენ*), რომელიც შედგებოდა ორი “პალატისგან” – სენატისგან ანუ უხუცესთა (*აბბა*) საბჭოსგან და მოყმეთაგან (*გურუშ*). უხუცესები, როგორც სახელი მოწმობს (*აბბა შუმ*. “მამები”), დიდი ოჯახებისა თუ საგვარეულოების მეთაურები ანუ მათი წარმომადგენლები იყვნენ. ხოლო მოყმენი, *გურუშები* – ეს სიგყვა ზოგადად ახალგაზრდა მამაკაცს აღნიშნავს – იარაღის გარების შემძლენი. თუ უხუცესების ბაგეთაგან რჩევა გამოდიოდა, *გურუშები* რეალურად ახორციელებდნენ ამ რჩევას. უხუცესთა იარაღი სიგყვა იყო, მოყმეთა კი – ფიზიკური ძალა. როგორც რომაელი პატრიციები (*მამათა მცოდნენი*) იყვნენ ქალაქის მამათა შვილები, ასევე მოყმენი ქალაქის უხუცესთა მემკვიდრეები იყვნენ. მოყმეობის ასაკის (ანუ, სოციალურ პლანში: სტატუსის) გასვლის შემდეგ ისინი უხუცესთა საბჭოში თავიანთი მამების ადგილებზე გადაინაცვლებდნენ. ექსტრემალურ და კრიზისულ ვითარებებში საკრებულო ირჩევდა წინამძღოლს, ბელადს, მხედართმთავარს, *ლუგალს* ანუ “დიდ კაცს”, რომელიც, როგორც წესი, მოყმეთა წრიდან იყო.

ლუგალი ქარიზმატული წინამძღოლი იყო: ერთადერთი ნიშანი, რისთვისაც მას ხალხი ირჩევდა, მხნეობა და სიქველე იყო, რაც ადამიანებში ნდობას და დარწმუნებულობას იწვევდა, რომ არჩეული ადამიანი ქვეყანას კრიზისიდან გამოიყვანდა. მაგრამ ამომრჩეველმა ისიც იცოდდა, რომ ეს თვისებები არა იმდენად *მისი* თანდაყოლილი პიროვნული ღირსებები იყო, რამდენადაც ქალაქის პანთეონის წყალობა მის მიმართ. ქალაქის ღვთაებები, თითოეული მათგანი თავის სფეროში, *ლუგალს* ანიჭებდნენ ყველაფერ იმას, რაც აუცილებელი იყო წინამძღოლისთვის. ხარიზმა ამ ნიჭთა ერთობლიობაა, რომლებსაც ის აგარებდა, ვიდრე ქალაქის პანთეონი სწყალობდა მას.

ქალაქის მეფეს რელიგიური ფუნქციებიც აკისრია. ზოგიერთ ქალაქში ეს ფუნქციები წინ არის წამოწეული ანუ არ არის მკვეთრი ზღვარი სამოქალაქო და რელიგიურ ხელმძღვანელობას შორის. ასეთი გამგებელი *ენსის* წოდებას აგარებს. *ენ-სა(გ)* შეიძლება ნიშნავდეს ეგიმოლოგიურად “საძირკვლის

უფალს”, იგულისხმება გაძრის საძირკველი, რაც იმას ნიშნავს, რომ ქალაქის მიწიერი პატრონი გაძარს უყრის საფუძველს; ის პრინციპულად გაძრის მშენებელია (უძველესი რომის ქურუმის სახელწოდება *პონტიფექს*, რაც “ხიდის მშენებელს” ნიშნავს, ასევე რელიგიურ მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული: ქურუმი აგებს სიმბოლურ ხიდს, რომელიც ამქვეყნიურ და მიღმურ სამყაროებს აკავშირებს ერთმანეთთან).

გარდა ღმერთების სამსახურისა, მეფე-ქურუმს აქვს კიდევ ორი ფუნქცია, რომელიც ასახავს შუმერის ქალაქ-სახელმწიფოთა მეურნეობის სახეებს: იგი თავისი ხალხის, რომლის პატრონადაც პანთეონის მთავარმა ღმერთმა (ქალაქის ზეციურმა პატრონმა) განაწესა, ერთდროულად მწყემსიც არის და მიწათმოქმედიც. ამან ასახვა ჰპოვა მის ტიგულაგურაში: იგი არის, შესაბამისად, *სიპა* და *ენგარ*. როგორც მწყემსი (*სიპა*), ის ვალდებულია, საუკეთესო საცხოვრისი მოუძიოს თავის სამწყსოს (“შავთავიანებს”). არქაული ხანის საბეჭდავებზე ძროხების წინ გამოსახულია ლუგალი თუ ენსი, რომელსაც მათკენ თავთავები აქვს გაწვდილი. ის არის თავისი ხალხის “ჭემშირიგი მწყემსი” (*სიპა-ში*). როგორც *ენგარი* (მიწისმუშაკი), მეფე-ქურუმი ახორციელებს ქვეყნის გუთნისდელის მოვალეობას, ამ სიტყვის ფართო აზრით. მას არა მხოლოდ პირველი ხნული გაჰყავს ყანაში, არამედ ახალი არხის გაყვანაც ან არსებულის განახლებაც ევალება. არხებზე ზრუნვა ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვის რეალური და სიმბოლური გამოხატულებაა. მეფის კორონაციის ტექსტში პრიორიტეტულად სწორედ ეს საქმიანობაა წამოწეული (“ვინ გათხრის არხს, ვინ გათხრის არხს?” ამ რიტორიკული სიტყვებით იწყება ტექსტი, რომელიც ახალი მეფის გამეფებას აუწყებს). მშვიდობიანი ხანის მწყემსი და გუთნისდელა ომიანობის დროს სამხედრო მეთაურად ევლინება ხალხს.

არქაულ ხანაში არჩეული *ლუგალი*, როგორც კი კრიზისი დაიდგოდა, რიგით მოყმეობას უბრუნდებოდა. მაგრამ დროთა განმავლობაში, გამუდმებული საშიშროების პირობებში, არჩევითი ლუგალობა (*ნაშ-ლუგალ*) მემკვი-

დროებით მეფობაში გადადის. საფუძვლიანად იცვლება მეფობის კონცეპცია: ამ დროს პანთეონის მიერ არჩეული ლუგალის ხარიზმა მის შემკვიდრებზე გადადის და უკვე დინასტიაც ხარიზმებით აღჭურვილი ხდება. დინასტიის ხარიზმა გადადის მის ყოველ წევრზე თაობებში. ამრიგად, ყოველი პირში დაბადებითვე ზიარებულია მეფობის ხარიზმას. და ისევე, სანამ პანთეონი ან მისი მეთაური სწყალობს და კეთილი თვალთ უყურებს დინასტიას, მისი ყოველი წარმომადგენლის წარმატება გარანტირებულია. და როგორც ყოველ მეფეს აქვს იმთავითვე განსაზღვრული ბალა (მეობის ხანგრძლივობა), ასევე ყოველ დინასტიას აქვს საკუთარი ბალა, რომლის მანძილზე ის ახორციელებს ქვეყნის პატრონობას.

მეფობის ინსტიტუტმა სასახლე (ე-გალ “სახლი დიდი”) დაუპირისპირა გაძარს (ე-დინგიორ “სახლი ღვთისა”), რომელიც წარმოადგენდა ქალაქის ყველა განზომილების ცენტრს, და საბოლოოდ მისი უზურპაცია მოახდინა. საგაძრო მეურნეობის გვერდით გაჩნდა სამეფო მეურნეობა, რის შედეგადაც ქალაქის შვილები (დუმუ-დუმუ), რომლებიც როგორც თავისუფალი მეთემენი, ჩაბმული იყვნენ მის მეურნეობაში, მეფის უფლებო და უმკვიდრო მსახურები აღმოჩნდნენ.

დროთა ვითარებაში ლუგალი ღვთაებრივი აურით იმოსება. შუამდინარეთის ისტორიამ იცის გაღმერთებული მეფეები და დინასტიები. გაღმერთებულნი იყვნენ აქადის დინასტიის მეფეები – შარ-ქალი-შარი (“მეფე ყველა მეფეთა”), ნარამ-სინი (“მთვარის ღმერთის ნანდაური”), რომელიც “აქადის ღმერთადაც” იწოდება. გაღვთაებრივებულია ურის III დინასტიის მეფე შულგი (ძვ. წ. XXI ს.) და ყველა მისი მომდევნო მეფე ამ დინასტიიდან. თუ ლაგამის ენის გუდას წარწერაში მისი ხარიზმატულობა გრადიციის ობიექტური ფაქტია, რომელიც მისი პიროვნული თვისებებით არ არის განპირობებული, ღვთაების რანგში აღმეფებული შულგი თავს ნებას აძლევს, იამაყოს ამ ხარიზმებით, როგორც თანდაყოლილი მადლით:

“მე მეფე ვარ, (დედის) საშოთგანვე გმირი ვარ,
შულგი ვარ, შობითგანვე ძლიერი მამრი ვარ...
ბრწყინვალე ანის (ცის ღმერთის) გულში არჩეული ვარ,
ენლილის მიერ ბელგადაწყვეტილი ვარ...”

ქალაქის მეორე წრე-გალავანს გარეთ ქალაქს უშუალოდ ეკვრის სავარგულები – სახნავ-სათესი, სამიწათმოქმედო გერიგორია (ა-ვარ, ვანა)... ქალაქი გალავნით არის შემოზღუდულ-დაცული, ხოლო სახნავ-სათესი მიწები დაუცველია. ისინი მომთაბარე ურდოების მუღმივი სამიზნეა: ისინი მოისწრაფვიან ყანებისკენ, ვიდრე მიწისმუშაკებს მოსავალი არ აუღიათ, რათა შერეკონ თავიანთი ჯოგები ყანებში. ჩვეულებრივ, ყანებში ქალაქის ან დაბების მკვიდრთა საქონელი მოსავლის აღების შემდეგ ძოვს. ამ თითქოს სიმბოლური აქტით ქალაქ-სახელმწიფოს ფარგლებში მშვიდობიანად თანაარსებობს მეურნეობის ორი ფუნდამენტური სფერო – მწყემსობა და მიწათმოქმედება. მწყემსობამ დიდი ხანია უკან მოიგოვა მომთაბარული ხანა და მკვიდრობაზე გადავიდა. მაგრამ შუმერის ქალაქ-სახელმწიფო, განსაკუთრებით, თუ ის ქვეყნის განაპირას მდებარეობს, მაგალითისთვის, ევფრატისპირა განთქმული ური, ნომადური ტომების შემოსევის მუღმივი საფრთხის წინაშე იყო.

და, რაც ყველაზე მეტად არის მოსაფრთხილებელი და განსაკუთრებული მრუნვის საგანი, ეს არხებია, შუამდინარული ცივილიზაციის უდიდესი, თუმცა ეფემერული მონაპოვარი, რომელიც სერავს ქალაქ-სახელმწიფოს მთელს გერიგორიას და ქმნის მის განუმეორებელ ლანდშაფტს, რასაც ყველაზე მეტად ატყვია ადამიანის ხელი. მათი ფუნქციონირების საუკეთესო ხანაში არხები თავისი მრავალრიცხოვანი რუების თუ რუსხმულების მეშვეობით არა მხოლოდ არწყულებდნენ მარჩენალ ნიადაგს, არამედ ქალაქ-სახელმწიფოს შიგნით და ქალაქ-სახელმწიფოთა შორის კომუნიკაციის საუკეთესო საშუალება იყო. არხებით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს არა მხოლოდ ადამიანები თემიდან თემში, დაბიდან დაბაში, ქალაქიდან ქალაქში, არამედ ღმერთებიც

არსების მეშვეობით სტუმრობდნენ ერთმანეთს (ამ სტუმრობათა ამსახველი ქანრიც კი შეიქმნა შუემრულ ლიტერატურაში).

ქალაქის მესამე წრე. ყანები გადადის საძოვრებში... ეს უღაბნოს პირია, სადაც მიწას მწირი მცენარეული საფარველი მოსავს. აქ ცხოვრობენ მწყემსები მუსკად იმგვარადვე თავ-თავიანთ ბინებში, როგორც დღეს, სადაც მწყემსური კულტურა ჯერ კიდევ ბოვინობს.

ქალაქის მეოთხე წრე. საძოვრებს იქით სანადირო სანახებია: აქ ძოვენ ქურციკის, კანჯარის ჯოგები. მონადირეს ამ ადგილებში გათხრილი აქვს ორმოები, დაგებული აქვს ხაფანგები... ეს ხელსაწყოები მის სამონადირო ოსტობასთან ერთად, არის კულტურის ის მინიმუმი, რომლითაც ქალაქი უღაბნოს პირზე ამკვიდრებს თავს და უკაცრიელ გრამალებს უპირისპირდება.

ქალაქის მესხეთე წრე. უღაბნო (*ელენ*). სანადირო ადგილები შეუმჩნევლად გადადის უღაბნოში... ეს უნაყოფო მონაა, აქ მკვდარია სიცოცხლე. ქალაქს, მის შემოგარენს, აქედან მოელის ხიფათი როგორც ადამიანთაგან, ისე მხეცთაგან და სტიქიისგან, როგორც არის სამხრეთის ხორშაკი ქარი, რომელსაც მოაქვს მხურვალეობა და ქვიშა. ბუნებას მათი სახით იერიში მოაქვს კულტურაზე, რომელსაც ქალაქი თავისი მონებით განასახიერებს და ამ მონებითვე იცავს თავს. აქ ბინადრობენ, თუ მითოსში გადავინაცვლებთ, დემონები, *იტიმები* და *ულუგები*, რომლებიც თავს ესხმიან ადამიანებს და ასნეულებენ.

ისტორია

შუმერის ქალაქ-სახელმწიფოთა ისტორია შეიძლება რამდენიმე პერიოდად დაიყოს:

იდილიური წარსული, რომელიც მითოსმა შემოინახა. შუმერელი “ისტორიოსოფი” ამგვარად უყურებს წარსულს: თავდაპირველად ქალაქები

ერთმანეთთან თანხმობაში იყვნენ, ციდან ჩამოსული მეფობა, რომელიც მოიცავს კულტურის ცნებასაც, მშვიდობიანად გადადიოდა ერთი ქალაქიდან მეორეში: ერიდულან ბადთიბირაში, ბადთიბირადან ლარაკში, ლარაკიდან სიპარში, სიპარიდან შურუპაკში. ძველი კონცეპციით, მეფობა ერთია და ამიგომაც გამოირიცხულია ერთდროული მეფობანი. მეფობას ქალაქი შურუპაკში მოუსწრო წარღვნამ. წარღვნის შემდგომ მეფობა კვლავ ციდან ჩამოვიდა და პირველი ქალაქი, სადაც აღგა იგი მიწის პირისაგან წარხოცილ ცივილიზაციასთან ერთად, იყო ქიში. ცივილიზაცია კი აღგა, მაგრამ ამიერიდან მეფობა ბრძოლით გადადის ერთი ქალაქიდან მეორეში. მორიგეობის წარღვნამდელ საშუალებას – თანხმობას ცვლის იარაღი – რკინა.

მეგოქეობის პერიოდი. ქალაქ-სახელმწიფოთა ურთიერთობაში ჩნდება ბზარი: ჰეგემონიის პრეგენზიით მორიგეობით თავს წამოყოფს ხან ერთი, ხან მეორე ქალაქ-სახელმწიფო. თუმცა დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოთა ერთი ხელმწიფების ქვეშ მოქცევის მცდელობები წარუმარტებელია. ვერც ერთი ქალაქი ამას ვერ ახერხებს. ერთ-ერთი დაწინაურებული ქალაქის – უმას მეფე მხოლოდ დროებით იპოვებს ქვეყნის მეფის ტიტულს (*ლუგალ-ქალამა*). მეგოქეობა, ურთიერთუნდობლობა, გაუთავებელი ბრძოლა ყველასი ყველას წინააღმდეგ, ურთიერთაწიოკება (რის მაგალითად იკმარებს ტექსტი, რომელიც მოგვითხრობს უმა-ქალაქის მიერ ლაგამის აკლემას), საბოლოოდ, კატასტროფის წინაშე აყენებს არხების სისტემას, რომლის სიმრთელე თითოეულ ქალაქში გამავალ არხზეა დამოკიდებული. სხვა ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად, რომლებიც საერთოდ იწვევს იმპერიის წარმოშობას, შუმადინარეთის პირობებში არანაკლები იყო ფაქტორი არხებზე ზრუნვისა, რაც ახალ პირობებში ცენტრალიზებული ხელისუფლების გარეშე შეუძლებელი იყო. შუმერის ქვეყანა უნდა გამოთხოვებოდა დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოთა მამაკაპურ სისტემას. როცა დამწერლობის მეოხებით ისტორიის კონტურები გამოჩნ-

და, წერილობითმა დოკუმენტებმა აჩვენა ომის მდგომარეობა, რომელშიც შუმერის ქალაქ-სახელმწიფოები იმყოფებოდნენ.

იმპერიის პერიოდი. ქალაქ-სახელმწიფოთა ერთი ხელმწიფების ქვეშ გაერთიანება მხოლოდ გარეშე ძალით მოხერხდა. პირველად აქაღელი სარგონი (დაახლ. ძვ. წ. 2316-2261) იპყრობს შუმერულ ქალაქებს და აარსებს პირველ იმპერიას, რომელიც ას წელს გასტანს. მეორედ ურის III დინასტია (ძვ. წ. XXII-XXI სს.) იგვირთავს ამ ამოცანას. მის ღროს ადგილობრივი მეფეები და ენსიები იმპერატორს დამორჩილებული “გუბერნატორები” ხდებიან. შუმერის ქალაქ-სახელმწიფოთა თავისთავადობა იმ სახით, როგორც ადგ კლასიკურ ხანაში არსებობდა, სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს.

რაც არ უნდა ითქვას ქალაქ-სახელმწიფოთა თვითკმარობის და დამოუკიდებლობის სასარგებლოდ, ისტორია ძალაუფლების ერთ ხელში მოქცევის მხარეზე იყო. შიდა და გარე პროცესები იმპერიების წარმოქმნას უწყობდა ხელს. ისტორიის სული განსხვავებული საშუალებებით აღწევდა ამას – შუმერის ქალაქ-სახელმწიფოთა შემთხვევაში ეს იყო არხებზე მრუნვა, რაც მეფეთა ერთ-ერთი მიუცილებელი მოვალეობა იყო. ისტორიამ აჩვენა, რომ ტიგროს-ევფრატის აუზში ირიგაციის შენარჩუნების ერთადერთი პირობა ქალაქ-სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობა იყო. საოცნებო მშვიდობა კი ერთი მბრძანებელი ხელის გარეშე მიულწეველი იყო.

იმპერიას შუამდინარეთის პოლიტიკურ ისტორიაში შეუქცევადი ხასიათი მიეცა. სარგონის, ურის III დინასტიის, ბაბილონის, აშურის, კვლავ ბაბილონის, აქემენიდური ირანის, ალექსანდრე მაკედონელის იმპერიები მემკვიდრეობის პრინციპით ერთმანეთს ენაცვლებიან ამ მიწაზე. თითოეული იმპერია იყო ცივილიზაციის ერთგვარი შეჯამება შეცვლილ ვითარებაში და, ამავედროულად, მისი ახალი საფეხურიც, ერთგვარი პასუხი წარსულის მიმართ. თითოეულ მათგანს თავისი განმსაზღვრელი ნიშანი ჰქონდა.

გალაგნიანი ურუქი და მისი მეფენი

მდინარე ევფრატის ქვემო წელზე, მის მარჯვენა ნაპირას, მდებარეობდა ძველი შუმერული ქალაქი ურუქი (*ურუგ*). იგი იდგა ქვეყნის განაპირას: სამხრეთით და დასავლეთით მის სანახებს უკაცრიელი უდაბნო ეკრა, ცხელი ქარებისა და მომთაბარე ურდოების სათარეშო, მაგრამ ეს არ აბრკოლებდა ამ ქალაქს, რომ უხსოვარი დროიდან ვიდრე ძველი წელთაღრიცხვის დასასრულამდე ინგენსიური კულტურული ცხოვრებით ეცხოვრა. ადგილობრივი გადმოცემის თანახმად ამ ქალაქ-სახელმწიფოს მეფეს, ლეგენდარულ ენმერქარს, მშის შვილად წოდებულს, შეუქმნია დამწერლობა – “ნათქვამი სიგყვა სოლებად უქცევია, თიხის მელაპირზე აღუბეჭდავს”, – დამწერლობა, რომელიც მთელს შუმერს მოედო და მის ფარგლებსაც შორს გაცხდა. ამ სოლისებური (სხვანაირად: ლურსმული) ნიშნებით ჩაიწერა, ოღონდ გაცილებით გვიან, უკვე ისტორიულ ხანაში, შუმერული მითოსი და თქმულებები, რომელთა უმეტესობა სწორედ ურუქის საზოგადოებასთან არის დაკავშირებული.

ურუქი გამორჩეულია შუმერის სხვა ქალაქ-სახელმწიფოთაგან, პირველ რიგში, იმით, რომ მისი პაგრონი ქალღმერთია, ქალაქი ინანა-იმთარის კალთას არის შეფარებული, რითაც კონცეპტუალური იგივეობა დედასა და ქალაქს შორის აქ პრაქტიკულად არის ხორცშესხმული. ქალღმერთი არის ურუქის ცივილიზაციის დამაფუძნებელი, როგორც მოგვიხსრობს მითოსი ინანას მოგზაურობისა ოკეანის სიღრმეში, სიბრძნის ღმერთის ენქის სამფლობელოში, საიდანაც მას თავისი საპაგრონებელი ქალაქისთვის მოაქვს ცივილიზაციის საწყისები.

მეორე თავისებურება ამ ქალაქისა ის არის, რომ ქალაქის მეფე ჩაბმულია საკრალური ქორწინების მითოსურ დრამაში. ურუქის მეფე, მითოსური ღუმუმის როლში, ეუღლება ინანას ტაძრის ქურუმ-ქალს, რომელიც ამ დროს ქალღმერთს განასახიერებს. მათი ყოველწლიური შეუღლება ქალაქის სამომავლო კეთილდღეობის საიმედო გარანტიაა. ღუმუმი-ინანას მითოსი ურუ-

ქის მეფობის ლეგიტიმაციის მწვერვალია. ურუქის მეფეს შეეძლო ღუმუზის სიტყვები გაემეორებინა: “მე უბრალო კაცი არ ვარ, მე ინანას ქმარი ვარ”.

მესამე ნიშანი ურუქის გამორჩეულობისა მისი ლიტერატურული (ეპიკური) გრადიენტია.

ურუქელმა რაფსოდებმა მთელს შუმერში გაუთქვეს სახელი მის მკვიდრთ – ენმერქარს, ლუგალბანდას და გილგამეშს, – რომელთა სახელები ერთმანეთის მიყოლებით იხსენიება ურუქის ე. წ. I დინასტიის მეფეთა სიაში.

ამ სამი მეფის გარშემო სინამდვილისა და მითოსურის ერთმანეთთან შეზავებით ღრთა ვითარებაში დაჯგუფდა ეპიკურ თქმულებათა ციკლები. მაგრამ მათ შორის უკანასკნელს – გილგამეშს ხვდა წილად გამხდარიყო გმირი მსოფლიო მწერლობაში პირველი ეპოსისა, რომელიც დაიწერა აქალღურად შუმერული პოემების საფუძველზე დაახლოებით ორიათასი წლის შემდეგ იმ ხანიდან, როცა ისტორიული გილგამეში ურუქის ქალაქ-სახელმწიფოში მეფობდა. რატომ მაინცდამაინც გილგამეში გამოირჩა ამ სამში, როცა სხვებს არანაკლებ წარმგაცი თავგადასავალი ჰქონდათ, კერძოდ, ლუგალბანდას, მიუვალ მთებში ანამდეულად დასნეულებულს და მარგოდ დარჩენილს, როცა თანამგზავრებს მკვდარი ეგონათ და შუა გზაზე მიაგოვეს (იმ იმედით, რომ უკანმობრუნებისას წაასვენებდნენ ურუქში), ის კი, გულშეღონებული, სასიცოცხლო სუნთქვას ევედრებოდა მზის ღმერთს, უთუს –

“ღედა არ მახლავს, მამა არა მახლავს,
ძმა არ მახლავს, მეგობარი არ მახლავს,
ღედა არ მეტყვის: შვილო ჩემო,
ძმა არ მეტყვის: ძმაო ჩემო”.

რატომ არა ენმერქარი, ძე უთუსი, მთიანეთის ყვითელი ფურის რძით გამოკვებილი, რომელსაც სამი ეპიური პოემა მიედევნა შუმერულ ენაზე, რატომ არ გასცილდა შუმერულ ენას მისი ღიღება, რომ არაფერი ვთქვათ ყრუ

ცნობაზე, რომ მან ინანა ციდან ჩამოიყვანა და მის მიწიერ გაბარში დაამკვიდრა? რაგომ არა მესქიაგაშერი, ძე უთუსი, და მამა ენმერქარისა, რომლის ქმედებანი ოთხიოდე სიგყვას (“ზღვაში ჩავიდა, მთაზე ავიდა”) შემორჩა? არც ერთი პოეტი აქადური ხანისა არ დაინგერესებულა მესქიაგაშერის, ენმერქარისა და ლუგალბანდას პიროვნებებით და ღვაწლით. ერთადერთი გილგამეში იყო, რომელმაც მიიზიდა იგი.

გილგამეში

რაგომ მაინცდამაინც გილგამეშის თქმულებები შეკრა ერთ ეპოსად აქადელმა პოეტმა, ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ის კი ფაქტია, რომ სანამ გილგამეში აქადური ეპოსის გმირი გახდებოდა, მანამდე მისი სახელი შუმერის ისტორიაში ერთ მნიშვნელოვან დინასტიას დაუკავშირდა. ურის ახალშუმერული სახელმწიფოს მეფენი (ძვ. წ. XXII-XXI სს.) დიდების შარავანდით მოსავენ გილგამეშის სახელს, შერაცხავენ თავიანთ “დიდ ძმად” (*შეშ-გალ*), რაკი ეამაყებათ ურუქელობა და გილგამეშის დედის, ნინსუნას, წიადიდან წარმომაველად თვლიან თავს; ღუმილით გვერდს უვლიან დიდებულ ენმერქარს ან მასზე ადრეულ მესქიაგაშერს, უნდა ვიფიქროთ, რომ ურის უკანასკნელი, III დინასტიის, მეფეებმა – ურნამუმ, შულგემ და სხვებმა – ხელი შეუწყვეს გილგამეშის სახელის განდიდებას აქადურენოვანი კულტურის წრეშიც. სწორედ მათ ხანაში იქნა ჩაწერილი თქმულებები გილგამეშზე, რომელთაგან მხოლოდ ხუთმა მოაღწია ჩვენამდე.

ჩვენამდე შემორჩენილი მხოლოდ ხუთი შუმერული თქმულებით ვიცნობთ ურუქელი მეფის საგმირო თავგადასავალს. ესენია: “ინანა, ალვისხე და გილგამეში”, “გილგამეში და მეციური ხარი” (ფრაგმენტულია), ე. წ. “გილგამეშის სიკვდილი” (ფრაგმენტულია) და “გილგამეში და აგა”. ეს თქმულებები ცალკეული ეპიზოდებია გმირის ცხოვრებიდან, რომლებიც არ ქმნიან ერთ

ქრონოლოგიურ ჯაჭვს. სრულიად გაურკვეველია – რუსული ბილინების მსგავსად – ცალკე აღებულ თავგადასავალთა ადგილი გმირის ბიოგრაფიაში. თითოეული ამბავი ხდება თავის ჩაკეტილ დროში, წინ არ უძღვის, ან არ მოსდევს მეორეს. შუმერულ მწერლობაში არ ყოფილა ცლა ამ ციკლების გაერთიანებისა ერთ თხრობით ნაკადად. მათი მონადური არსებობა შეიძლება შევადაროთ ისევ კლასიკური შუმერის ერთმანეთისგან განცალკევებულ, თავის საზღვრებში ჩაკეტილ და დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოებს, რომელთა გაერთიანებას ამაოდ ცდილობდნენ შუმერის ბელადები, ვიდრე სარგონ აქადელმა (ძვ. წ. XXIII ს.) თავის იმპერიაში არ მოაქცია და ერთიან ისტორიულ დროში არ ჩართო ისინი. სარგონ აქადელის პოლიტიკური ძალისხმევა მოგვიანებით (დაახლ. ძვ. წ. XVIII ს.) განმეორდა სიგყვიერ ხელოვნებაში, როცა აქადელმა პოემა ერთმანეთს დაუკავშირა შუმერული პოემები, ვახსნა რა მათი “დახშული კარი” და ერთ უწყვეტ დროჟამულ მდინარებაში მოაქცია. შუმერულ თქმულებებში გაცხადებულმა ამბებმა ახალი მოტივაცია შეიძინა: სრულიად გარკვეული თვალსაზრისით გადაშუშავებულნი, ისინი განლაგდნენ თანმიმდევრულ ეპიზოდებად, რომელთაგან ერთი ინახავს მეორის დვრიგას, წინამავალი ამბადებს მომდევნოს და ასე ჯაჭვისებურად მიედინება ერთიანი ეპიკური დრო, რომელშიც ხორცს ისხამს გმირის თავგადასავალი. მთავარი გმირი – და ეს ნიშანდობლივია აქადური ეპოსისათვის – თითქოს ხელახლა იბადება ყოველი ეპიზოდის შემდეგ, აღმავალ გზაზე გადის თავისი განვითარების ეტაპებს, ვიდრე წერტილი არ დაესმის მის თავგადასავალს, რომლის დასასრულს ეპიკოსს შეუძლია თქვას მასზე, რომ მან “სიღრმე იხილა”. ეპოსი იწყება სწორედ ამ სიტყვებით *შა ნაკბა იმურუ*. ის მნიშვნელოვანი რამ, რასაც გმირმა მიაღწია თავისი თავგადასავლის ბოლოს, ნახსენებია ეპოსის დასაწყისში და ამით იკვრის წრე ეპიკური თხრობისა.

რა სიღრმე იხილა გმირმა ისეთი, რასაც საგანგებოდ ახსენებს ეპიკოსი პირველსავე სტრიქონებში? შუამდინარული მითოსიდან ჩვენ ვიცით, რა შინაარსის შემცველია ეს სიტყვა. “სიღრმე” არის წყარო სიბრძნისა, რომელიც

თავის მითოსურ სიმბოლოდ ოკეანის უფსკრულს სახავს. “სიღრმე” – ნაკბუ – არის ზედწოდება ენქის, სიბრძნის ღმერთისა, რომლის სამკვიდრებელი ოკეანის უფსკრულშია, სადაც ჩაღრმავდა გმირი სიჭაბუკის ბალახის ამოსატანად. “სიღრმე” არის კაცობრიობის უფსკერო წარსული – “ღრმაა ჯურღმული წარსულისა” (თომას მანი), – საითკენაც გაემართა გმირი, როცა ეძებდა პასუხს ადამიანური ყოფის უკიდურეს საიდუმლოზე.

ამრიგად, როცა ეპოსის დასაწყისის სკრიქონში ამოვიკითხავთ, რომ მან, რომლის სახელი ჯერ არ ვიცით, “სიღრმე იხილა”, ძველი პოეტის თხზულება წარმოგვიდგება არა უბრალო სათავგადასავლო რომანად, არამედ ფილოსოფიურ-ეთიკური მიმართულების ნაწარმოებად, სადაც მთავარი მახვილი გაღატანილია გმირის სულიერ განვითარებაზე. აქ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ წერილობით პირველდადასტურებული ვრცელი ეპოსი, რომლის მხოლოდ ორი მესამედია ჩვენამდე მოღწეული, ამავე დროს იყო პირველი ფაუსტური ყაიდის თხზულება, რომელიც მხოლოდ გარეგნულ მსგავსებას იჩენს საგმირო-სათავგადასავლო ეპოსებთან. აქადურ ეპოსში, განსხვავებით შუმერული თვითკმარი პოემებისგან, საგმირო ეპიზოდები არ არის თვითმიზანი, არამედ თითოეული მათგანი ემსახურება გმირის პიროვნების სრულყოფას, თანდათანობით სუბლიმაციას – ფიზიკური გმირობიდან სულიერ გმირობამდე – და ეს გამოხატულია სწორედ დასაწყის სკრიქონში.

“ავგორისათვის, – წერს თომას მანი (გულისხმობს საკუთარ თავს, “ჯადოსნური მთის” ავგორს), – სიკვდილიცა და სნეულებაც, და ყველა შემზარავი თავგადასავალი, რომელსაც იგი თავის გმირს შეამთხვევს, მხოლოდ და მხოლოდ პედაგოგიური საშუალებაა, რითაც მიიღწევა უზარმაზარი ძალის “აქტივიზაცია”, ჩვეულებრივი გმირის ამაღლება მისი თავდაპირველი ღონიდან”. იმ ტიპის ნაწარმოებს, სადაც ამგვარი საშუალებებით ხორციელდება გმირის სულიერ-ინტელექტუალური ძალების “აქტივიზაცია”, მწერალი “ინიციაციურ თხზულებებს” უწოდებს. მათ რიცხვს ეკუთვნის “გილგამეშიანიც”. აქ ინიციაციის ბლურბლის როლს ასრულებს ყოველი ეპიზოდი, ყოველი თავგა-

დასავალი, რომლის წიად გავლით გმირი ერთი საფეხურით მაღლდება თავის აღრინდელ ყოფაზე. ჩვენს ეპოსში ინიციაციის (ანუ ბლურბლის გადალახვის) – სიახლის ზიარების ყველაზე მნიშვნელოვანი და ქმედითი საშუალებაა პერსონაჟთა შეხვედრები, რომელთაც ამავე დროს თავისი ფუნქცია აქვთ სიუჟეტის განვითარებაში. გმირი ხვდება მეორე გმირს და ამ შეხვედრით თითოეულის ბუნება საფუძვლიანად იცვლება: გმირი ეზიარება ქალის საიდუმლოს, რაც თავს დაადწვევინებს სიველურიდან და შექმნის ადამიანურ არსებად; ან ეზიარება მეგობრობას, რისი წყალობითაც იგი თავისუფლდება ქვენა ინსტიქტებისგან და მასში მნეობრივი კაცის დაბადებით იწყება ახალი ცხოვრება; ან იგი პირისპირ დგება სიკვდილის წინაშე, რომელიც შეძრავს მის არსებას და გააღვიძებს მასში მოამბროვნე ადამიანს; ან იგი ხვდება არსებას, რომელიც ცდილობს გადაფიქრებინოს მას შეუძლებლის ძიება, თუმცა ასეთი რჩევა კიდევ უფრო უძძაფრებს ძიების წყურვილს; ან იგი, საკვდილის წყლების გადაძლახავი, შეეყრება თავის წინაპარს და მოისმენს მისგან უკანასკნელ სიგყვას.

ეპიზოდებისთვის ამგვარი მოტივაციის მისანიჭებლად აქადელ პოეტს შუემერული მასალის საფუძვლიანი გადამუშავება მოუხდა. პირველ რიგში უნდა შეინიშნოს, რომ მან ენქიდუს პიროვნებასა და ამბავს სრულიად განსხვავებული თვალით შეხედა. გილგამეშის ერთგული მსახური, მისი თანამდგომი და მრჩეველი გასაჭირში, მაგრამ სოციალურ კიბებზე ერთი საფეხურით დაბლა მდგარი ენქიდუ, რომელიც სხვაგვარად არ იხსენიება შუემერულ თქმულებებში თუ არ გილგამეშის მონად (არად), ხოლო გილგამეში – მის ბატონად, აქადურ ეპოსში გარდაიქმნება მეგობრად და ღვიძლ ძმადაც, თავისი ძველი ბატონის თანასწორად. წაიშლება სოციალური განსხვავება, დავიწყებული იქნება, რომ გილგამეში ურუქის მეფეა, ხოლო ენქიდუ – უდაბნოდან მოყვანილი, უფრო სწორად, შემოგყეებული ურუქ-ქალაქში მონადირისა და დიაცის მიერ. ეპოსის სათანადო ადგილას საგანგებოდ არის ნაჩვენები ის საყოველთაო მრუნვა, რასაც გამოიჩენს ველური ენქიდუს მიმართ ჯერ დიაცი შამხათი, მერე მწყემსები და ურუქის მოქალაქენი, რომლებმაც თავიანთი

მეფის ორეულად მიიჩნიეს განკაცების გზაზე შემდგარი მხეც-კაცი, მერე გილგამეში, რომელმაც ორთაბრძოლის შემდე დაიმეგობრა იგი – თუმცა ეს ამბავი წინასწარ იქნა მოსწავებული გილგამეშის სიმბრებში, სადაც მან იხილა უცხო კაცის ორანები, ვარსკვლავები და ნაჯახი, “ვითარცა სასძლოს რომ ეხვეოდა” უკიდურესი სიყვარულის ნიშნად, და დედას მოუგანა, – და უკანასკნელად ნინსუნა, დედა გილგამეშისა, რომელმაც საგანგებო რიგუალობით საბოლოოდ ხელი დაასხა მათ ძმობას და იშვილა უცხო კაცი, და უდაბნოს მკვიდრი ურუქის მოქალაქედ გახადა.

ამ ორი არსების ძმადნაფიცობა მთლიანად აქალღელი პოეგის შემოქმედების ნაყოფია (ამ მოგვის იგი ვერსად პოეგებდა შუმერულ თქმულებებში), ანალოგიურადვე, სწორედ აქალღური ხანის ხელოვნებაში ჩნდება მოგივი მარჩბივი გმირებისა, სახელდობრ, ცილინდრულ საბეჭდავებზე, სადაც ჰერალდიკური წყობით გამოსახულია ორი მამრი არსება, თითოეული თავის კერძ ნადირს შერკინებული. არ არის აუცილებელი, რომ მათში გილგამეშენქიდუ ვიგულისხმობთ, თუმცა ერთ მათგანს ცხადი ზოომორფული ნიშნები აქვს, მაგრამ აქ ნიშანდობლივია შუმერული ხელოვნებისთვის უცხო მოგივი მარჩბივობისა, რაც აქალღურ ეპოსში ორი გმირის ძმადნაფიცობის სახით გამოვლინდა.

ამ ახალ მოგივის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს: მისგან იღებს სათავეს ეპოსის მთელი ეთიკურ-ფილოსოფიური პათოსი. ძმადნაფიცობა არის ინიციაციის პირველი ზღურბლი, რომლის გადალახვით მთავარი გმირი ერთი საფეხურით მაღლდება მისი “თავდაპირველი დონიდან”. ეს გილგამეშს ეხება უფრო მეგად, რაზეც თავის ადგილას იქნება ნათქვამი. ხოლო ენქიდუს რაც შეეხება, მას საკუთარი თავგადასავალი აქვს ამ ძმადნაფიცობამდე, და ეს ამბავიც არ იპოვება ჩვენამდე შემორჩენილ შუმერულ თქმულებებსა და მითოსში და, შესაძლებელია, არც კი არსებულა.

ენქილუ

“გილგამეშიანში” მოთხრობილი ენქილუს ამბავი გამოდგებოდა ცალკე ეპოსის მასალად, ვინაიდან მის თავგადასავალში შეკუმშულად გადმოიცემა მთელი კაცობრიობის გზა, იმგვარად, როგორც ეს წარმოდგენილი ჰქონდა შუამდინარელ მითოლოგოსს. ამ მხრივ, აქაღელი ეპიკოსი ორიგინალურს არაფერს ქმნის – იგი ეყრდნობა კაცთა მოღგმის გაჩენისა და განვითარების მითოსს. ოღონდ სიახლე იმაშია, რომ მან კაცობრიობის ფილოგენემის ხანგრძლივი პროცესი ერთი კერძო კაცის მაგალითზე აჩვენა.

ენქილუ იბადება არა იმგვარად, როგორც ურუქში იბადებიან დედ-მამის შვილნი, დედის საშოდან, არამედ ისე, როგორც გაჩნდა მითოსურ ხანაში პირველკაცი, ანუ შეიქმნა ქალღმერთის ხელით მიწის მგვერისაგან, გამოისახა დანერწყვილი თიხისაგან; შეიქმნა მაშინ, როცა კაცობრიობას განვლილი ჰქონდა განვითარების ხანგრძლივი გზა და მის ერთ მცირე შგოს ურუქში უკვე დაეფუძნებინა ქალაქური ცხოვრება თავისი სიკეთითა და უკუღმართობით; შეიქმნა ურუქ-ქალაქის მოსამღვრე უდაბნოში, სადაც ჯერ არ დადგმულიყო კაცის ფეხი, არ შეხებოდა შემოქმედის ხელი, არ აღსრულებულიყო შესაქმის დეაწლი – უდაბნო უკაცრიელია და მსგავსადვე იქ შექმნილი არსებაც არ არის განსრულებული, იგი ნახევარკაცია, რომელსაც მოელის განკაცება.

ამრიგად, იმ უდაბნოში, სადაც იგი გამოსახა ქალღმერთმა არურუმ, უკან მობრუნდა მითოსური დრო პირველშესაქმისა და გაჩნდა დროული ხარვეზი ურუქსა და უდაბნოს შორის. ეს მანძილი უნდა დაძლიოს ენქილუმ, მან უნდა გაიაროს კაცობრიობის გზა უდაბნოდან დაბამდე, მაგრამ ამას თავისი ძალებით ვერ შეძლებს. აქ საჭირო გახდება შეხვედრა, რომლის საინიციაციო დანიშნულება გემთთ იყო ნახსენები. სწორედ აქედან, უდაბნოდან, დაიწყება და შემდეგ ერთმანეთს მიჰყვება სხვადასხვა სივრცულ მონაკვეთებში შეხვედრების მთელი სერია, რომელთაც პარალელურად სხვა დანიშნულებაც

აქვთ: შეხვედრები დაძრავს გაყინული წერტილიდან სიუჟეტურ დროს და ამასთანავე წარმართავს გმირის სვლას შემოსხნებულ ორ პუნქტს შორის, ხოლო ჩვენ ვიცი, რომ ეს ორი პუნქტი, უდაბნო და ურუქი, კაცობრიობის განვითარების ხანგრძლივი პერიოდით შორავენ ერთმანეთს. ეპიკოსი გამოიყვანს ენქილუს უდაბნოს უძრაობიდან და თითქოს “ელვის სისწრაფით”, უკანმოუხედავად გაატარებს ამ გზაზე.

პირველი შეხვედრა – უსახელო მონადირისა და ენქილუს შეყრა უდაბნოს პირას, თითქოს შემთხვევითია და, თუმცა მას არ შეეყავართ ამბის შუაგულში, მაგრამ ამზადებს სხვა შეხვედრას, უფრო მნიშვნელოვანს. ამის გარდა, ეს ეპიკოსი სიუჟეტისაგან დამოუკიდებლად საგულისხმო მითოსური აზრის შემცველია: აქ ერთმანეთს ეჯახება არა უბრალოდ მონადირე და ნადირთ ბატონი, არამედ მათი სახით – კულტურა, უმარტივეს ფორმაში გამოვლენილი, როგორცაა თხრილები და საფანგები, და ბუნება, რომელიც დაჟინებით ცდილობს წაშალოს კულტურის კვალი, – როგორც მონადირე ჩივის: ველურმა “აავსო თხრილები, ჩემი დათხრილი; დაშალა მახენი, ჩემი დაგებული”, – და აღიღვინოს თავდაპირველი მდგომარეობა. უდაბნო მოიწვევს წინ – ენქილუ მოულოდნელად შემოდის თავის ჯოგითურთ მონადირის სანახებში, ჯერ აუქმებს მონადირის ნამოქმედარს, მერე, შესაძლოა, მოადგვს ურუქსაც და უდაბნოდ აქციოს მისი სამკვიდრებელი. ასეთი საფრთხე ემუქრებოდა მტკიცედ შემომღულულ “გალაენიან ურუქს”, ამიტომაც გასაგებია მონადირის უზომო შეშფოთებაც – “შიშმა დაიბუდა მის შიგანში, სახე გაუხდა შორი გმით მაგალის”, – და ის გულისყურით, რაც გამოიჩინა ამ უცხო ამბის გამო ჯერ მისმა მამამ, მერე გილგამეშმა, როცა ურჩიეს, დიაცი შამხათი წაყვანა ნადირთ ბატონის შესაცდენად. თუმცა გილგამეში არც მოელოდა, რომ ის უცხო მოყმე მის საბედისწეროდ იყო გაჩენილი.

მისი მოვლინება უდაბნოს პირას გაგვახსენებს გამოჩენას სხვა უცხო მოყმისას, რომელი “ჯდა მგირალი წყლისა პირსა” და რომლის უცნაურმა საქციელმა და უკვალოდ გაუჩინარებამ დაასევდიანა იმ ქვეყნის მეფე,

როდესაც მის გაზრდილს წინათგრძნობის ნაგამალიც არ ჰქონია. მეფის ასულმა მოიხმო თავისი საგროფო და დააკისრა იმ მოყმის მოძებნა, რომ მისი პოვნით უკუყროდა მის პაგრონს სევდა და “არკაცური გარდაკოცნა” წარხოცილიყო. უხალისოდ წასული მოყმე მოძებნის სხვა მოყმეს და მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვევა, რომ მეფის დანაღვლიანება მარგოროდენ საბაბი იყო ამ ორის შეყრისა და მათი სამუდამო დაძმობილებისა. ასეთივე თითქოს უმნიშვნელო საბაბია აქალურ ეპოსში მონადირის მარცხი, მისი ყოფითი საზრუნავი, რის წყალობითაც უდაბნოს პირას გამოჩენილ უცხო მოყმეს უნდა შეყროდა ურუქის მეფე, რათა გაცხადებულიყო მისი ბედი და გამოვლენილიყო მასში – როგორც იმ უფლისწულის რჩეულში – მანამდე ფარული ეთოსის პოტენცია.

ორივეგან შუამავალი ქალია, ორივეგან ქალის წყალობით აღმოჩნდება მეგობარი. მაგრამ ურუქელმა ქალმა ჯერ ველურს უნდა აპოენინოს საკუთარი თავი. მონადირე წაიყვანს უდაბნოს პირას როსკიპ შამხათს, რომლის საკუთარი სახელი გვარეობითი სახელია იმ დიაცებისა, იშთარის გაძრისადმი რომ არიან შეწირულნი და ამ ქალღმერთის კულტს ემსახურებიან ურუქში. შამხათები ეწოდებათ მათ ანუ “მხიარულნი”, რადგან იშთარისგან შთაგონებული “დიაცური საქმით” (*შიფირ სინიშთი*) სიხარული მოაქვთ მოწიფული მამრისთვის. როსკიპი შამხათი ერთ-ერთი ამ დიაცთაგანია.

ურუქში მომზადდა შეთქმულება ველური მოყმის მიმართ, მაგრამ მონადირე თავისი მარტივი გონებით ვერც იფიქრებდა, თუ რა მოვლენის ხელშემწყობი გახდებოდა მომავალში მისდა უნებურად. მონადირეს მხოლოდ ერთი რამ სურდა, გაეთავისუფლებინა თავისი სანახები სამონადირო საქმის მგრისაგან, დიაცის შეწევნით მოეშინაურებინა ჯოგის წინამძღოლი და დაუბრკოლებლად ენადირნა. გილგამეშის ფიქრებიც ამაზე შორს არ წასულა. ამათ შორის ყველაზე ბრძენი და მიმხვდური ის მხიარული დიაცი იყო, რომელიც გულდაჯერებით გაჰყვა მონადირეს უდაბნოსკენ, რათა აღესრულებინა თავისი მისია. არ იქნებოდა სწორი იმის თქმა, თითქოს როსკიპ შამხათს

მხოლოდ ეს “მხიარული” საქმენი, რომლებიც “ხორცთა ხველებიან”, ებარა იმთარისგან.

ამ ქალღმერთის იმპულსი, ერთი ჰიმნის უმარტივესი სიგყვისამებრ, „მა-მაკაცის ღიაცთან მიმყვანი, ღიაცის მამაკაცთან მიმყვანი“, ვლინდება ადამიანის ცხოვრების ერთ მნიშვნელოვან ხანაში: ღვება ისეთი ასაკი, როცა მამრი აუცილებლად უნდა შეხვედეს ღედრს და ამ შეხვედრამ იგი უნდა გამოიყვანოს ბავშვობის ასაკიდან, “ხელი დაასხას” მის მოწიფულობას და მანამდე ფარული პოტენცია სინამდვილედ აქციოს. ამ მისტერიული შეხვედრის წყალობით ხორციელდება ველურის საბოლოო განკაცება ამ სიგყვის ორგვარი ამრით: პირველ ყოვლისა, ენქიდუში სქესის გაღვიძება მოასწავებს მის შესვლას მოწიფულობის ასაკში; მეორე მხრივ, იმთარის ტაძრის მხევალი შამხათი აგრძელებს ენქიდუს ღვთაებრივი გამხენის, არურუს, საქმეს, – ქალღმერთმა თუ შექმნა ენქიდუ ვითარცა ხორციელი არსება, ახლა მეორე ქალი, მოკვდავი, გარდაქმნის მას გონიერ და მნობრივ არსებად, რათა ამიაროს ურუქის მოწიფულ სამოგადობას. იგი ვერ მოვიდოდა ურუქში იმ შინაგანი და გარეგნული სახით, როგორც განჩნდა უდაბურ ველზე. ხოლო განჩნდა იგი გარეული ჯოგების ბაგონის, სუმუკანის, აღით (“ბანჯგვლებს დაუფარავს სხეული მისი... ტანთ სუმუკანის სამოსი მოსავს”). ქალთან შეხვედრა, რომელიც აღწერილია ყოველგვარი ნართაულობისა და ევფემიზმების გარეშე, სრულიად შეცვლის მის ფიზიკურ და სულიერ სახეს. დაიბადება ახალი არსება, რომელიც ვეღარ ივლის ძველი ცხოვრების წესზე. ამ ფერისცვალებას იგრძნობს ჯოგის სული და მას ბურგს შეაქცევენ მისი ბუნების თანაზიარი მხეცები. ამიერიდან ენქიდუს მოეჭრა უკან დასაბრუნებელი გზა, სამაგიეროდ იგი განმზადდა ურუქში შესასვლელად.

ქალი შექმნის მას, ქალი მრუნავს მასზე – შემოსავს, სცხებს მეთს სურნელოვანს, დააპურებს, ასწავლის ქცევას “ქვეყნის წესისამებრ”, ასწავლის ადამიანურ სიგყვას; უცბად არ წაიყვანს ხმაურიან ქალაქში, არამედ ჯერ მწყემსების ბინებთან მიიყვანს, რათა ნელ-ნელა შეაჩვიოს ადამიანთა სა-

ზოგალოებას; აქ უდაბნოდან მოსული კაცი უდაბნოს შემოტყევისგან იფარავს მწყემსთა საბადებელს, – ხელში იარაღი უპყრია და ლომებს უგერიებს მათ ფარას. გამოხდება ხანი და ქალი შეაგყობს, რომ დადგა ღრო საძოვრებიდან მისი დაძვრისა, რომ მეგხანს მისი აქ გაჩერება აღარ იქნებოდა, რომ აქ არ იყო მისი სამუდამო სამყოფელი, არამედ იქ, სადაც მეგობარს უნდა შეხვედროდა; ქალი გაუძხელს მას ვილგამემის არსებობას და მეგობრობის მცნებას, ხელს ჩასჭიდებს და “ღმერთივით წარუძღვება” ურუქის გზაზე.

არ არის ძნელი იმის მიხვედრა, რომ ეს მოკლე გზა უდაბნოდან ურუქამდე, რომელსაც ენქიდუ გადის ჩვენს თვალწინ, შეკუმშული გამეორებაა იმ შორეული გზისა, კაცთა მოდგმამ რომ გაიარა თავისი არსებობის მანძილზე. იგიც ქალღმერთმა შექმნა მიწის მტვერისაგან, ბუნებას გამოსტაცა, მოათვინიერა, ასწავლა წესრიგიანი ცხოვრება, ქალაქი ააშენებინა და სამუდამოდ, შესაძლოა, მის საზიანოდაც, იქ დაამკვიდრა. ენქიდუს ცხოვრების გზა უდაბნოდან ურუქამდე მითოსურად აირეკლავს მთელი კაცობრიობის ფილოგენეზს.

შუმერული მითოსი იცნობს ენქიდუს მაგვარ ნახევარკაცს, რომელსაც ასევე ქალი აზიარებს ადამიანურ კულტურას. ეს მართუა, ღვთაება, რომელიც განასახიერებს სემიტური მოდგმის ამორეველთა მომთაბარე ჯომს, რომელიც შუმერის მითოსურ ისტორიაში მარგინალურად არის მიჩნეული, რადგან იგი მოკლებულია ფუნდამენტურ კონცეპტს – “ადამიანობას” (შუმერულად *ნამ-ლუ-ულუ*, აქადურად *ამელუთუ*). მართუს, როგორც კულტურულ კაცობრიობას მოწყვეტილი ადამიანის ყოფა, რომელიც არც თუ შორსაა ენქიდუს ცხოვრების ნირისაგან, ქრესტომათიულია შუმერულ მწერლობაში. მაგრამ განკაცება არ არის მართუს პრობლემა. მისი პრობლემა კულტუროლოგიურია.

მართუს მითოსში გვეუწყება კაცის ამბავი, რომელსაც, როგორც მთელი ჯომის ღვთიურ ეპონიმს, თავისი ხალხი კაცობრიულ კულტურაში შეჰყავს, თავად კი შუმერ-აქადის პანთეონში იმკვიდრებს ადგილს. აი,

როგორ ახასიათებს *მართუს* შუმერული ტექსტები. ერთ კოსმოგონიურ მითოსში კაცობრიობის გულშემატკივარმა ღმერთმა ენქიმ ღოვლათის განაწილებისას და ხალხების ბედის გადაწყვეტისას “*მართუს*, რომელსაც ქალაქი არა აქვს, რომელსაც სახლი არა აქვს, ცხოველები აჩუქა”. შუმერულ ტექსტებში მართუს თანსდევს სტერეოტიპი: “მართუ, რომელმაც ხორბალი არ იცის”. ამ ფორმულაში ხორბალი (*შე*) არა მხოლოდ მიწათმოქმედების, მკვიდრი ცხოვრების და ცივილიზაციის, არამედ ადამიანობის სიმბოლოც არის. პურის ცოდნა და ჭამაა, რითაც ადამიანი სხვა ცოცხალ არსებათაგან გამოიხსნება. ეს მისი პრივილეგიაა. აი, ეს პრივილეგია არ მიანიჭა მართუს ყოვლის განმკარგველმა ღმერთმა ენქიმ ისევე, როგორც არურუმ არ მიანიჭა ენქიდუს ადამიანური სმა-ჭამის უნარი, მხოლოდ ცხოველები მისცა საპატრონებლად. მართუს შუმერული ადამიანი არ თელის სრულყოფილ ადამიანად. “ხორბლის უმეცარი” მისი მუდმივი ეპითეტია, თან სდევს მას ტექსტიდან ტექსტში, სადაც კი იხსენიება იგი. სამაგიეროდ, როგორც ენქიდუს, მას აქვს დიდი ძალა, რაც შიშის გარს სცემს ცივილიზებულ ქვეყანას. ის ექსპანსიურია, მიიწევს წინ, როგორც ენქიდუ თავისი ჯოგითურთ, მაგრამ შუმერი იგერიებს მას, როგორც მონადირე იგერიებს ენქიდუს:

“მას ჟამს მართუ, ხორბლის უმეცარი, მთელს შუმერს და აქადს შემოადგა, მაგრამ ურუქის კედელი ფრინველთსაჭერ ბადესავით გადაეფინა უდაბნოს...”

ურუქმა თავისი მითოსური ბადით მოიგერია მართუ, მაგრამ ის სხვა გზით შეიჭრა შუმერის ცივილიზაციაში. გამოჩნდა ქალღმერთი, შუმერული ქაბალუ-ქალაქის მეფე-ღვთაების ასული, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ მართუ და მართუს ხალხი

“მუღამ უღაბნოში დაეხეგება,
ტყავებით არიან შემოსილნი,
კარვებია მათი საცხოვრებელი,
უმი ხორცია მათი საჭმელი,
არ იციან სახლი, არ იციან ქალაქი,
როცა კვლებიან, არ იმარხებიან,” –

შეიყვარა მართუ. დაქალების კითხვაზე, როცა მათ ამგვარად დაუხასიათეს ველური, “კიდევ მოსურვებ მისთხოვლე მართუს?” ქალწული არ დაუბრკოლებია მართუს ბარბაროსობას, მისი პასუხი ურყევი და ლაკონიური იყო: “მართუს მივთხოვლები”. და ჩაისიძა თავის ქალაქში.

გავყვეთ ენქიდუს გზას. ვიღრე კაცობრიული ბედის მაგარებელი ეს უცხო კაცი უღაბნოდან ურუქს მიაღწევდეს, ვნახოთ რა ქალაქია იგი და რა ხდება მის გაღაგანში. ურუქი უპირატესად ქალღმერთის ქალაქია. შუმერულ ეპოქაში ამ ქალღმერთს ინანა ერქვა, “ცის დელოფალი”. ურუქში იდგა მთელი შუმერისთვის სათაყვანო ტაძარი ენანა – “ციური სახლი”, სადაც თქმულების თანახმად ენმერქარის აფქალს ანუ ბრძენკაცს (ერთ-ერთს იმ მითოსურ შვიდ ბრძენთაგან, ჩვენი ეპოსის პროლოგში რომ არიან ნახსენები) ჩამოუყვანია ციდან ინანა. მას ჰყავს გულის რჩეული საგროფო – მწვემსი ღუმუმი, მოკვდავი კაცი, რომელიც ქალღმერთის სიყვარულის წყალობით ღვთაების რანგში ამაღლდა, მისივე სიტყვებით “მე უბრალო კაცი არა ვარ, მე ქალღმერთის ქმარი ვარ”. იგი ძველ ქალაქ ბადთიბირიდან წამოსული, – ამ ქალაქის მეფედ იხსენიებს მას შუმერულ მეფეთა სია, – საბედისწეროდ დაუკავშირდა ურუქს, მის მოსაზღვრე ველებს, სადაც მწვემსავდა ინანასეულ წმინდა ფარას და საიდანაც პერიოდულად მიჰყავდათ მიწის სულელებს ქვესკნელში. ისევე როგორც მითოსურ ხანაში ინანა აირჩევს მწვემს ღუმუმის თავის ქმრად, ასევე ისტორიულ ხანაში იგი ირჩევს მეფეს, აგრეთვე მწვემსად წოდებულს, ღუმუმის კვალზე, და საკრალური ქორწინებით ეუღლებს. თუ ღუმუმი ამბობს

ერთგან “მე იგი ვარ, ვინც წმიდა მუხლებზე, ინანას მუხლებზე როკავს”, მს-გავსი ნართაულობით, რითაც გამოხატულია შეუღლების უკიდურესი აქტი, ინანა მიმართავს თავის რჩეულს, მეფეს: “ბრწყინვალე ხბოსავით იროკებ ჩემს წმიდა კალთაზე” საკრალური ქორწინების რიტუალში, რომელიც პირველ ბიძგს აძლევდა ქვეყნის ნაყოფიერებას, ინანას როლში გამოდიოდა გაძრის მხევალი და ამ დროს მისი სახელი იყო იშხარა, არა მხოლოდ მისი, არამედ ყოველი ქალწულისა სიძესთან შეხვედრისას ქორწინების პირველ დამეს. რადგან იშხარა წარმოადგენდა ინანას ასპექტს ვითარცა ხორციელი სიყვარულის ქალღმერთისას. მის ნიშანს, ღრიანკალს, დაეინახავთ სახვით ხელოვნებაში, კერძოდ, ცილინდრულ საბეჭდავებზე, გამოსახულს სარეცლის ქვეშ, რომელზედაც შეუღლებული წყვილი წევს.

ამ წეს-ჩვეულებამ, როგორც მრავალრიცხოვანი ტექსტები მოწმობს, ახალშუმერულ ეპოქამდე მოაღწია და სრულდებოდა იგი ურის III დინასტიის დროს ქალაქ ურში, ხოლო მისი დაცემის შემდეგ ქალაქ ისინში, სადაც გაღაინაცვლა იმპერიის დედაქალაქმა. მაგრამ იგი სავსებით ქრება სხვა შუმერულ გრაფიკებთან ერთად ბაბილონურ ხანაში, როცა ნაგულისხმევია გილგამეშის აქალური ეპოსის შექმნა. ამ დროის ადამიანთა შეგნებაში, როგორც ჩანს, იგი გააზრებულ იქნა ბარბაროსული ხანის ამორალურ ჩვეულებად და ამგვარივე ნეგატიური შეფასებით მოხვდა აქალურ ეპოსში. იგი აღარ არის კურთხეული ღვთაებრივი კანონით და მთლიანად მიწერილია ურუქის მეფის თვითნებობას, რაც, ეპოსის მიზანდასახულობის მიხედვით, უნდა აღიკვეთოს. თხრობის დასაწყისშივე ურუქი წარმოდგენილია გილგამეშის ბარბაროსული მოქმედების ასპარეზად. მაინც რას სჩადის ისეთს ურუქის მეფე, რომ მისი ქვეშევრდომნი იძულებულნი გამხდარიან, შეევედრონ ღმერთებს, შეუქმნან მას თანასწორი ძალის ორეული, რომელიც წინ აღუდგება მის ძალადობას და შვება მიეცემა ურუქს? რაში გამოიხატება მისი საქციელი? ტექსტში ვერ შევხვდებით გილგამეშის მოქმედების დაწვრილებით აღწერას სწორედ იმის გამო, რომ ეპიკოსს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს იმ ძველ საკრალურ რი-

ტულზე. მაგრამ მან იცის, რომ რიგული დაკავშირებული იყო სექსუალურ მომენტთან და ამიგომაც ამ მოტივზე აგებს იგი გილგამეშის დახასიათებას, ოღონდ ეპოსის აშურულ ვერსიაში ეს გადმოცემულია სხვაგვარტყმით, ნართაულად; წარმოჩენილია დაუოკებელი ფიზიკური ენერგია, რომელიც, ერთი მხრივ, ვლინდება ბრძოლის ქინში, მეორე მხრივ, თავის წმინდა სახითაც: “არ უშვებს გილგამეშ ქალწულს დედასთან, // ასულს გმირისას, სასძლოს მოყმისას”. ამრიგად, გილგამეშის ენერგია ორი მიმართულებით იცლება, ერთი სახიდან მეორეში გადადის, როგორც იშთარის მაგალითზე ვხედავთ, რომელიც მორიგეობით წარმართავდა სასიყვარულო და საბრძოლო საქმეებს. ერთსა და იმავე ჰიმში იგი წარმოდგენილია ომის ქალღმერთად – “ოდეს მე, ქალღმერთი ბრძოლაში ვიყივლებ” და სიყვარულის გამრიგედ – “მამრის დიაცისთვის დამამშვენებელი, დიაცის მამრისთვის დამამშვენებელი”. იშთარის ამ ორი ასპექტის უკიდურეს და უზომო გამოვლენას აუჯანყდა ურუქის მოსახლეობა. ამგვარად წარმოსახავს გილგამეშის თვითნებობას აშურული ვერსიის ავტორი.

ბეგლბაბილონურ ვერსიაში, რომელიც აშურულზე ადრინდელია, უფრო კონკრეტულად არის წარმოდგენილი ეს მოტივი. აქ აშკარად ისმის გამოძახილი საკრალური ქორწინებისა, კერძოდ, მისი ერთ-ერთი სახეცვლილებისა, რომელიც “პირველი დამის უფლების” სახელწოდებით გახდა ცნობილი. ურუქის გზაზე მომავალ ენქიდუს შეეყრება დაღვრემილი ურუქელი კაცი და კითხვაზე, – “რა გაგჭირვებიაო”, ასეთ ამბავს მოახსენებს: “სანთიობოში ვერავინ დადის, // მორჩილებაა მოკვდავთა ხვედრი. // ერს დაეკისრა გოდრების ბიღვა, // მხიარულ დიაცებს ერის გამოკვება. // მხოლოდ გალაენიან ურუქის მეფისთვის // ხმინებს საქორწილო დაფდაფი...// სხვათა წილხვედრილ სასძლოს ეულლება, // პირველად იგი, შემდგომად სასიძო...”

ენქიდუს ფერი ეცვლება ამ ამბის მოსმენისას. ეს მნიშვნელოვანი მომენტია: გულში მან უკვე მიიღო გადაწყვეტილება, იგი მომზადებული შედის ურუქში, იცის, რა უნდა მოიმოქმედოს, იცის ამ ადგილის ზუსტი მისამართიც,

სადაც გილგამეშს უნდა შეხვდეს. მართლაც, მათი პირველი შეხვედრა სანთიობოსთან ხდება, სადაც “გაშლილია იშხარასთვის სარეცელი” და სადაც გილგამეში აპირებს ჩვეულებისამებრ შესვლას, მაგრამ ამჯერად ვერ შევა, რადგან ენქიდუ ღონიერი მუხლით გადაუღობავს სანთიობოს კარს. ამ აქტით ენქიდუმ გილგამეშის წინანდელ ცხოვრებას გადაუღობა გზა და იშთარის ამორალურ კულტისთვის სამუდამოდ ზურგი შეაქცევინა.

ენქიდუსთან დამეგობრებით მასში გაიღვიძა შამაშის, მზიური ღმერთის, მნეობრივმა საწყისმა, რადგან სწორედ შამაშია მეგობრობის სულისჩამდგმელი, იგია ის ღმერთი, რომელიც “მარტოსულ მოყმეს მეგობარს აპოვინებს”. მის წინაშე იღება მეგობრობის ფიცი, როგორც ვიცით ეგანას თქმულებიდან, სადაც მეგობრობის მოწადინე გველი და არწივი მაღალ მთაზე აღიან და იქ, შამაშის თანდასწრებით, აღუთქვამენ ერთმანეთს ერთგულებას. გილგამეშ-ენქიდუს მეგობრობასაც შამაშის ხელი იფარავს, შამაში მიუძღვება მათ სიკეთის დამკვიდრების გზაზე. მან აღძრა ისინი ხუმბაბასკენ გასალაშქრებლად, რათა გაეჩეხათ კედარის უღრანი და მზის სხივისთვის გზა გაეკაფათ; შამაში მფარველობს მათ ამ საშიშ გზაზე და შამაშივე ესარჩლება მათ ღმერთების წინაშე, როცა ისინი ერთ-ერთის სიკვდილს გადაწყვეტენ. ამიერიდან, როგორც იგყონენ, შამაშის ძალი დასადგურდა “მათ შიგანში”.

იშთარი

მაგრამ დაწუნებული და შეურაცხყოფილი დელოფალი იშთარი ეცდება აღიდგინოს ურუქში თავისი შეღახული უფლებები, უფრო სწორად, გაახსენოს გილგამეშს მის მიერ უკუგდებული საკრალური ქორწინების ძველი წესი. კედარის გყეში ლაშქრობიდან დაბრუნებულს, მისი ღიღების აპოთეოსში, როდესაც იგი ენქიდუსთან ერთად მოადგება ურუქის კედლებს, ვნებიანი თვალთ გადამოხედავს იშთარი და შესთავაზებს გაიზიაროს მისი სიყვარუ-

ლი. “შენ ქმარი იყავ, მე ცოლი ვიქნები!” – ასე ეგყვიოს საქორწინო რიტუალის სიგყვებით. ეს წინადადება მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო ურუქის მეფისთვის. როგორც ვიცით, ეს იყო მისი არა მხოლოდ პრივილეგია, არამედ საღვთო ვალი, რომელიც შედიოდა მეფის ფუნქციებში და უსათუოდ უნდა აღესრულებინა, თუკი სურდა ქვეყნის მეფედ დარჩენილიყო. გმირის მნეობრივი სიმალის შესანარჩუნებლად და სრულყოფილების კიდევ ერთ საფეხურზე ასაყვანად ეპიკოსმა უარი ათქმევინა მას ამ წინადადებაზე, რადგან მის თვალში ეს იშთარი აღარ არის ის დიდებული ქალღმერთი, დედოფალი, როგორც ჩანს იგი შუმერული ხანის ძეგლებში ან, თუნდაც, მის თანადროულ საგაძრო ჰიმნოგრაფიაში. იშთარის ის სახე, რასაც მკვახე სიგყვებით ამხელს გილგამეში, მოდის არა საღვთო კულგიდან, არამედ დესაკრალიზებული მითოსიდან, რომელიც დროთა ვითარებაში შეივსო მლაპრული ეპიზოდებით. ხალხის წარმოდგენაში იშთარი, როგორც ჩანს, გარდაისახა ვერაგ ქალღმერთად, რომელიც ბოროტი განზრახვით სიყვარულის ქსელში აბამს მიმნლობ და გულუბრყვილო არსებებს და მერე დუპავს, თითოეულს – სხვადასხვანაირად. მთარული მლაპრების პერსონაჟები იყვნენ ალბათ, ის არსებანი, რომელთა გრაგიკულ ბედს გაუსხენებს გილგამეში მისი სივერავის დასამტკიცებლად. ესენია: “ჭრელი ფრინველი”, რომელსაც რაგომდაც ფრთები დაუღეწა; “ლომი”, თოთხმეტი ხარო რომ გაუთხარა; “ცხენი”, ჭენებით გაოფლილს წყალი რომ ასვა; “მწყემსი”, აკეონის მსგავსად მისსავე ძაღლებს რომ დააგლეჯინა; მებაღე იშულანუ, რომელმაც მათგან განსხვავეებით უარყო მისი სიყვარული, რის გამოც ქალღმერთმა ობობად აქცია; მეექვსეა – თამუზი (შუმ. დუმუზი), შუამდინარული მითოსის გრაგიკული ფიგურა, უდროოდ დაღუპული მწყემსი, როგორც ნაყოფიერების ყველაღვთაება, სემონების გარდაუვალ წრებრუნვას დამორჩილებული, რომლის სიკვდილში არანაკლები წვლილი მიუძღვის მის საგროფო ქალღმერთს, თავის სანაცვლოდ რომ ჩაგზავნა ქვესკნელში, თუმცა თავაღვე მართავს წელიწდეულ გლოვას დაღუპულზე. მაგრამ ამ ეპიზოდში, სადაც სეკულარული

მითოსი ეპოსის ლოგიკას არის დამორჩილებული, თამუში იშთარის უმიზემო მსხვერპლია: “თამუშ, საყვარელს შენი სიყრმისას, // წლიდან წლამდე გლოვა გაღუწყვიტე”. რატომ, რისთვის? – არ ამუსტებს ეპიკოსი.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ დაღუპულთა რიცხვი ექვსია, არასრული რიცხვი. საკრალური (ჩვენს ეპიზოდში: ზღაპრული), ამრით იგი არც არის ნამდვილი რიცხვი, დამოუკიდებელი ოდენობა. იგი მიისწრაფვის შესავსებად უახლოესი რიცხვისაკენ. მეშვიდე დაღუპული გილგამეში უნდა იყოს. იშთარი იწყებს თამუშით და უნდა დაასრულოს გილგამეშით, რომლითაც შეიკვრება მისი ავბელითი სასიყვარულო წრე. მაგრამ, როგორც ზღაპრებში ხდება, სწორედ ის იმარჯვებს, ვისი ცდაც საკრალურ რიცხვზე მოდის, იქნება ეს რიცხვი სამი, შვიდი, ცხრა თუ თორმეტი. ამ გარდაუვალი წესის ძალით გილგამეში უარყოფს ქალღმერთის სიყვარულს. მაგრამ ეპოსში ამ აქტს სხვა მოტივიც უღევს საფუძვლად. პირველ რიგში, ეს არის მისი თავისუფალი ნების გამოვლინება, რადგან იგი არა მხოლოდ უარყოფს იშთარის სიყვარულს, არამედ გმობს კიდევ, ავინებს მთარული ანდაზებით – “ღრიჭე კარი ხარ, ქარის ვერღამჭერი, // სასახლე – მამრთა დამღუპველი, // კუპრი – დამსვრელი მისი მზიდველის, // ...კირქვა ხარ, ზღუდით მონაშალი, // ...ხამლნი, პაგრონის ფერხთა მკბენელნი”. ნართაულად, მაგრამ გულისრევამდე მისული მიზლით, როცა მებაღე იშულანუს სიგყვებს უმეორებს – “ღეღა თუ არ მიცხოვს, სხვა პურს ვერ შევჭამ, // პური ვით ვიგემო, ავი და ბინძური?” ამ უარისყოფაში, საბედისწერო ჟამს, – მას მხარში უღვას შამაში თავისი მზიური ეთოსით, – გმირი გამოიჩენს სულიერ სიმშვიდეს, რომ არ დასცეს სანთიობის კართან მიღწეული სიმაღლე, იგი ფხიზლობს, არ ხიბლავს იშთარის მაცდური დაპირებები სიბილწესთან შიარების წილ – ოქროვანი ეტლები, ქარიშხლის რაშები, ამა ქვეყნის ღიდება (“შენს წინაშე მუხლს მოიყრიან თავად ხელმწიფენი, მეპურნი მთავარნი”), ნაყოფიერების სასწაულნი: სამ-სამად მომგები თხის არვე, მარჩბივად – ცხვრები, რასაც აღუთქვამს საკრალური, მისთვის უწმიდური, ქორწინება ქალღმერთთან.

რა მოელის გილგამეშს ამ უარისთვის, რასაც ქალღმერთის შეურაცხყოფაც დაერთო თან? მის “წინამორბედს” იმთარის საგრფიალო ისტორიაში, მებაღე იმულანუს ქალღმერთი შეეხო ღვთიურ-მაგიური შეხებით და ობობად აქცია. მაგრამ იგი უშუალოდ ვერ ეხება გილგამეშს, რომლის სხეულში ორი მესამედი ღვთაებრივი ხორცი ღვას. გამწარებული ქალღმერთი, ეპოსის მიხედვით, უბრალოდ, ჭირვეული ქალი, მიეჭრება ცის ღმერთის კარს ჩივილით – “გილგამეშმა გამიხსენა ჩემი სიავენი, // ჩემი სიავენი და მწიკულებანი”, რაზეც ცის ღმერთი, მის მამად სხენებული – “ჭეშმარიტად შენ გამოიწვევდი, // და გილგამეშმაც გაგიხსენა სიავენი...” – უპასუხებს თავისი ასულის დანაშაულში დარწმუნებული. არაფრის გაგონების მსურველი, ისტორიამღე მისული ღია-ცი თავისი უარისმყოფელის დასასჯელად მოითხოვს “შეციურ მოზვერს”, თუ არადა, იმუქრება ქვეყნიერების წესრიგის გაუკუღმართებით: “შევლეწავ ბჭეებს ქვესკნელისას, // და ახალ წესებს დავამყარებ, // მკვდრებს ამოვიყვან, ცოცხლების შემჭმელთ // და მკვდრები ცოცხალთ აღემატებიან”. ხოლო “შეციური მოზვერი”, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს იმთარის, “მძვინვარე ფურის”, მამრულ სახეცვლილებას, – იგია რისხვა მისი, – ამგვარი ბუნებისაა: მისმა გამოჩენამ შვიდწლიანი უნაყოფობა და შიმშილი უნდა დაასაღვუროს ქვეყანაში. თუ გაყვებით მითოსის ლოგიკას, ეს ასეც უნდა მოხდეს: საკრალური ქორწინების გაუქმებას გარდაუვალად უნდა მოჰყვეს სტიქიური უბედურება, ამ კერძობაში, მოზვერის სახით გაცხადებული, რომლის ცეცხლოვან სუნთქვაზე პირი ეღება მიწას და თავის ნაპრალებში შთანთქმით ემუქრება ქვეყანას. მოზვერმა-გვალვამ უნდა გადაბუგოს მიწის პირი, მსგავსად ქართული თქმის წითელი ხარისა, რომლის ნამოვარზე ბალახი არ ამოდის. გილგამეშმა საკრალური რიგუალის უარყოფით თავად გამოიწვია ნაყოფიერების მტერი – გვალვა და თავადვე უნდა აარიდოს იგი ქვეყანას.

გმირები კლავენ მოზვერს, რასაც იმთარის უფრო მეტი დამცირება მოჰყვება. ახლა ენქილუ მეგობრის მოსარჩლე და მისი მზნობის დამცველი, შიგ მუბლში რომ აძგერა მოზვერს მახვილი, შეუტევს იმთარს არნახული თა-

ვხედობით: ბეჭს მოჰგლეჯს მოზვერს, – ბეჭს თუ “მარჯვენა მხარს”, რომელიც სამსხვერპლო ნაწილად ითვლებოდა, ჩვეულებრივ, რიგუალებში, – და ესვრის ქონგურზე მდგარ ქალღმერთს მის ყურთათვის მანამდე გაუგონარ, ცინიკურ სიტყვებთან ერთად: “ნეტავ შემეძლოს შენი შეპყრობა, // ჭეშმარიტად მასავით გავხდიდი, // გადაგვიდებდი მხრებზე მის ნაწლავებს!” ასე მოექცეოდნენ ურუქ-ქალაქის უკანასკნელ მეძავს, ხოლო იშთარი მიიღებს ამ “შესაწირავს” და შამხათებით გარშემორტყმული მასზე გოლებას წამოიწყებს. ამაზე შორს სეკულარიზაციით გამოწვეული პროფანაცია ვერ წავიდოდა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ეპიკოსი თითქოს თანაუგრძნობს და ნიშნის მოგებით აღწერს ამ პროფანაციულ ქმედებებს, ის იძულებულია გზა მისცეს სასჯელსაც, რომელსაც სიწმიდის ხელმყოფელი გმირი იმსახურებს.

ხელიხელჩაკიდებული გილგამეშ-ენქიდუ შედიან ურუქში, სადაც ურუქელი ასულნი – წინააღმდეგ მათი ღვთაებრივი დედოფლისა – ხოგბა-დიდებით ეგებებიან გამარჯვებულთ: “გილგამეშ ბრწყინვალეა მოყმეთა შორის, // ენქიდუ ქებულია მამაცთა შორის!” ამას მოჰყვება ლხინი, ლხინს – ძილი, ძილს – საბედისწერო სიმზარი, სადაც ენქიდუს ეცხადება ღმერთების ნება, რომ ორ მეგობარში ერთი აუცილობლად უნდა მოკვდეს, ენქიდუ უნდა მოკვდეს.

მათი დიდებისა და სიხარულის მწვერვალზე, როცა ღმერთებსაც კი შესწვდნენ და აღარ ეპუებიან, როცა დაამარცხეს დაუმარცხებელი, სწორედ მაშინ დაესმება წერტილი ერთ-ერთის სიცოცხლეს. თერთმეტგლიანი აგონიისა და სიმზარეული კოშმარების შემდეგ, როცა მან იხილა საკუთარი თავი, ცოცხლივ შავეთში ჩამავალი, – ხოლო მანამდე მწარედ წყევლიდა შამხათს, თავის მაცდუნებელს და მშობლიური ველებიდან “სიკვდილის ქალაქში” შემოტყუებულს, მერე კი შამამის შეგონებით აღამიანად სიკვდილის უპირატესობაში დაჯერებულმა, უკან წაიღო წყევლის სიტყვები და საბოლოოდ დალოცა ქალი, თავისი კაცყოფელი, – მეთორმეტე დღეს კვდება ენქიდუ აცრემლებული მეგობრის თვალწინ.

მაძიებელი გმირი

ამ ამბის შედეგად ეპოსის მწიგნობრივი პათოსი გადაირთვება ახალ რეგისტრში და ცოცხლად დარჩენილი გმირიც განიცდის ფერიცვალებას. სიკვდილი კაცისა, რომელთანაც შეხვედრამ თავის ღრობე ახალი გმით წარმართა მისი ცხოვრება, ახლა საფუძველიანად შეძრავს მის გონებას და სულის სიღრმიდან ამოუჭივტივებს მანამდე უცნობ განცდებს, დაფარულ შიშს საკუთარი არსებობის გამო. თუ აღრე ვილგამეშისთვის სიკვდილი იყო მუდამ სხვათა სიკვდილი და მას არ ეხებოდა, ახლა, როცა მოკვდა მისი ღვიძლი, მისი ორეული, დარწმუნდა, რომ სიკვდილი არ ყოფილა უცხო და შორეული; მან ახლოს იგრძნო მისი სუნთქვა და, რაც იგრძნო, აღმოხდა – “სიკვდილი მიწვევს საძილე ოთახში!” ის გამართავს გლოვას, ბარით შეძრავს ცას და მიწას, მოუხმობს საგოდებლად სულიერ-უსულოს, მთელ ბუნებას, რომ შეუსვენებლივ იგირონ მასთან ერთად, თითქოს მისი მეგობარი ქვეყნიერების პირველმკვდარი ყოფილიყოს. მერე თავისი აღსასრულის გარდუვალობით გულშეძრული დააგდებს ქალაქს, ფუფუნებას, გაცუდებულ მეფობას და გაიჭრება ველად, უდაბნოში, მისი მეგობრის მიტოვებულ სამშობლოში. მხეცქმნილი თითქოს თავიდან იწყებს ცხოვრებას ახალი ფიქრებით და საზრუნავით.

ამ დასაკარგავში ვხედავთ ერთხანს (ეს ადგილი ხარვეზიანია დედანში) ლომისგყოსანს, ერთი ფიქრით გასენილს – “ნუთუ მეც მოვკვდები ენქიდუს დარად?”, – თავადაც სიმბოლურად მკვდარს, რადგან უდაბნო ქვესკნელის წინკარია, დუმუმის გაუჩინარების ადგილი, ადგილი საგოდებელი, სადაც მითოსური ხანიდან მის ღრომდე დაკარგულ გულისწორს მისტიროდა ინანას სგირი. ახლა მარტოსული მოყმე, ახლოს არვისგამკარებელი, მისტირის თავის მეგობარს, – თვალწინ უღვას მხიარული ღღეები, ლაშქრობები, ხუმბაბას განადგურება, მეციურ მოზვერთან ბრძოლა და კიდევ სხვა თავგადასავალი, – მისტირის საკუთარი თავისადმი სიბრალულით აღვსილი: “ვით მოვისვენო

ანუ ვით დავედუმდე, // ძმობილი ჩემი მიწად გარდაიქცა. // ნუთუ მის მსგავსად მეც დავიძინებ // და ვერასოდეს ვეღარ ავღვები?”.

დასრულდება უდაბნოში უაზროდ ხეგიალი და ისევ სიკვდილის შიში თუ სიკვდილ-სინოცხლის ილუმალებათა შეცნობის წყურვილი ახალი ლაშქრობისკენ აღძრავს. მაგრამ ეს ლაშქრობა არ ჰგავს წინანდელს, იგი სხვაგვარ გმირობას მოითხოვს მისგან. გზაზე არ შეხვდება შთასანთქმელად დაღირებული გველეშაპი, არც ასთავიანი ურჩხული, მაგრამ მოელის სხვა განსაცდელი, უფრო საშიში, ვიდრე ხუმბაბა იყო ან ზეციერი მოზვერი. ვერ უშველის თავის ანაბარა დარჩენილს და არც დასჭირდება ფიზიკური ძალ-ღონე. სულიერ ძალთა უკიდურესი მოკრება იქნება საჭირო, რომ შეუპოვრად გაიაროს მორიელ-კაცების შემზარავ ელვარებაში, უკან მოუხედავად განვლოს თორმეტმიჯნაინი გვირაბი, – სადაც “მრქელია წყვილია, ნათელი არ ჩანს”, – შამაშის კვალზე, ძეხორციელს რომ არ გაუვლია მანამდე, ისევ გააღწიოს სამზვოზე და არ მოიხიბლოს მღაპრული წალკოცის ხილვით, იქ რომ დახვდება, და სამუდამოდ შიგ არ ჩარჩეს; არ გაუტყდეს გული როცა შამაში, მისი მფარველი, სიბრალულით გადმოხედავს და ეტყვის, რომ ამოა მისი გარჯა – “ეჰა, გილგამეშ, რად დაეხეგები, // სუნთქვას მარადიულს ვერ მოიპოვებ!” იგი მაინც მიდის კაცურის ზღვარს გადაცილებული, – კითხვა-კითხვით “მარქვით, მასწავლეთ გზა უთანაფიშთისკენ”, – და მიადგება ოკეანის ნაპირს, სადაც დახვდება ქალი ვინმე სიღური, “მელვინე ქალი”, რომელიც ეცდება დააბრუნოს ურიქიდან დაძრული კაცი, შეაგონოს, რომ აღამიანი არ გაჩენილა უკვდავებისთვის, არც სიკვდილ-სინოცხლის საიდუმლოს საძიებლად, რომ არ უნდა ეძებოს იმაზე მეტი, რაც ღმერთებს მიუციათ მისთვის:

“აწ სავსე გქონდეს სტომაქი, გილგამეშ!
მოილხინე ღლითა და ღამით,
ღლენიადაგ მართავდე ნადიმს,
ღლითა და ღამით როკვიდე, მღერდე,

სპეგაკი გეცვას ტანზე სამოსელი,
თავს განიბანდე, ტანს განიბანდე,
ზრუნავლე შვილზე, ხელთ რომ გეჭირება,
შენს მკერდზე ისაროს მეუღლემ შენმა, –
რამეთუ ესაა ხველრი მოკვდავისა”.

ამას შთააგონებს სირინოზი გილგამეშს, ყინვა-არმურისგან სახეღამწვარს, ძილმიუკარებელს, მშიერ-მწყურვალს, ტანზე სამოსელშემოცვეთილს, რომელსაც თითქოს უნდა მონატრებოდა მყუდრო ცხოვრება და ურუქული ფუფუნება. მაგრამ მან სწორედ ამგვარი ყოფა, ვითარცა არაჭეშმარიტი, მოიგოვა უკან და არ დაბრუნდება, ვიდრე არ მიაღწევს აღამიანურ შესაძლებლობათა უკანასკნელ ზღვარს. უთანაფიშთის სამყოფელია ეს მიჯნა, იმ კაცისა, რომელსაც ძველი ანდრემის თანახმად უკვდავება მიანიჭეს ღმერთებმა და ამიგომაც უნდა ფლობდეს სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოს. იქ მისაღწევად თავს უნდა იღვას ძებორციელისგან ჩაუღენილი – უნდა გადალახოს “სიკვდილის წყლები”, რომელთაც ერთადერთი ციური შამაში გადალახავს ყოველდღიურად, როცა ბრუნდება დედის სახლისკენ ოკეანის სიღრმეში. ამრიგად, კვლავ შამაშის გზას მიჰყვება იგი, თუმცა ამ ღმერთმა შუაგზაზე გადაუწყვიტა თითქოს იმედი.

შორეთში, “მდინარეთა დასაბამს” იქით აღარაფერია, იქ არის ქვეყნის კიდე, იქ მთავრდება სამყარო. უთანაფიშთიც უკანასკნელი არსებაა, რომელსაც გზის დასასრულს უნდა შეხვდეს. მხოლოდ კაცისგან, მისი მსგავსი არსებისგან, უნდა მოისმინოს უკანასკნელი პასუხი და გაბრუნდეს უკან.

მთელი თავისი გამწარებული არსებით, “სიკვდილის წყლების” გადალახავი, წარდგება იგი წინაპრის წინაშე, განუმეორებს ყველაფერს, რასაც ეუბნებოდა სიღურის და ყველა შემხვედრს, – თავგადასავალს, ამბავს მეგობრობისას, იმ მეგობართან გაყრის ამბავს, ურუქიდან წამოსვლის მიზეზს, – და გულში გაბეპირებულის ამოძახილზე – “აწ შენ გიხილე, უთანაფიშთი, //

სიკვდილს ნუ ვიხილავ, რისაც მეშინის! // ამბავი მამცნე სიკვდილ-სიცოცხლისა”, – წინაპარი, რომლის იმედით გამოიარა განჯვის გმები, იმ სიღური-სირინოზივით კი არ ეცლება გაახსენოს სიამენი ამა სოფლისა და დაუამოს ნალველი, არამედ როგორც კაცი კაცს პირდაპირ გასცემს პასუხს კითხვაზე და დაუხატავს ამაოების ნალვლიან სურათს, ეგყვის:

“აუცდენელია, გილგამეშ, უწყალო სიკვდილი.
განა სამუდამოდ ვიშენებთ სახლებს?
განა სამუდამოდ ირგყმის ბეჭედი?
განა სამუდამოდ იყრებიან ძმები?
განა სამუდამოდ მძულვარებენ მტრები?...” –

მაგრამ მაინც, – არ ცხრება შთამომავალი, – ხომ ჰქონია გამონაკლისი ამ სასტიკ კანონს? მაშ გაბაგებინე, უთანაფიშთი, – ევედრება ნეგარ წინაპარს, – როგორ წარუდექე ღმერთების კრებულს და იმ კრებულმა უკვდავება როგორ მოგანიჭა? შთამომავალი ვერ აცყობს წინაპარს რამე განსხვავებას, – შორეთში დასახლებული კაცი მისი მსგავსი აღმოჩნდა (შესაძლოა, გილგამეშს უპირატესობის გრძნობაც კი გაუჩნდა მისი ხილვისას, როგორც ორი მესამედი ღვთაებრიობის მაგარებელს); მაგრამ გარეგნულ მსგავსებაში როდი ყოფილა საქმე. წინაპარს უნიკალური ბედი ჰქონია: მისი ბედი გადამწყდარა ქვეყნიერების ტრაგიკულ დღეებში; იგი ყვება საყოველთაო კატასტროფის ამბავს, ერთხელ კიდევ გაიცოცხლებს განცდაში და მსმენელსაც განაცდევინებს წარღვნის შემზარავ სანახაობას; მას გაუვლია წარღვნის წყლები, უხილავს უკანმოქცეული ქაოსი, ის დასაბამიერი დრო, როცა “მთელი სამყარო მღვაიყო ოდენ”; ხმელეთთან ერთად შთანთქმულა წარღვნის მორევში და მასთან ერთად კვლავ აღმოცენებულა ქაოსიდან; და ის ცრემლი, რომელიც წასკდა ძველი სამყაროს განადგურების მხილველს, სიხარულის ცრემლად შეიცვალა, როცა ხელავდა განახლებულ ქვეყნიერებას – მზით განათებულ ცას და მიწას.

ამ კოსმიურ საიდუმლოებასთან ზიარებული კაცი ერთი საფეხურით უნდა ამაღლებულიყო, ამიგომაც აკურთხა იგი ენლილმა: “აღრე უთანაფიშითი კაცი იყო, ამიერიდან ღმერთი უნდა იყოს ჩვენი მსგავსი”. უთანაფიშითის გაუკვდავება ისეთი გამონაკლისი იყო კაცობრიობის ისტორიაში, როგორც წარღვნის მოვლენა, რაც ღმერთების აღთქმით აღარ განმეორდება. ყოველ შემთხვევაში, გილგამეშის საუკუნეს იგი ვერ მოუსწრებს, რომ მისთვის შეიკრიბონ ღმერთები და სასწაულებრივად მიანიჭონ უკვდავება, – ასე ეცყოდა წინაპარი, მისი უკანასკნელი იმედი. წინაპარმა არა მხოლოდ უთხრა სიგყვიერად, არამედ მიმართა უკიდურეს ღონეს: მოულოდნელი განსაცდელი მოუვლინა, რომ ცლაში დაემგვიცებინა მისთვის აღამიანის უსუსურობა სიკვდილის წინაშე, რაკი სხვანაირად ვერ დააჯერებდა ამ შეუპოვარ კაცს. მან მოიხმარა გრძნეულების უნარი – იგი ხომ იყო მაგიის ღმერთის, ენქის, მოსავი და რჩეული, და წარღვნის დროს მისგანვე ხსნილი, – მოჰგვარა ძილი, სიკვდილის გყუპისცალი – “აბა, თუ იფხიზლებ ექვს დღეს და შვიდ დღეს”, – და გმირთაგმირი, რომელსაც თითქოს არაფერი დარჩა ქვეყნად დაუმარცხებელი, რომელმაც ურუქიდან ქვეყნიერების კიდემდე ძღვევამოსილად განვლო კაცთაგან უვალი გზა, სიკვდილივით წაიღო ძილმა – “ჰა, კაცი გმირი, უკვდავების მძებნელი”, ამბობდა მისი შემყურე წინაპარი, – და ასე იქნებოდა მდებარე უსულო გვაშივით და იძინებდა “უთვალავი წლები” (რისი გახსენებაც ჰმარავდა დღენიადაც), რომ კვლავ წინაპრის მაგიურ შეხებას არ გამოეფხიმლებინა. რა შვიდი დღე-ღამე და რა შვიდი საუკუნე, ხოლო გამოეფხიმლებულს მოეჩვენა, რომ მხოლოდ ერთ წამს მოერია ძილქუში.

ამ უბრალო, თუმცა სასტიკმა “ექსპერიმენტმა” საბოლოოდ მოუსპო მრავალგანჯულ გმირს უკვდავების მოპოვების ყოველგვარი იმედი. იგი მიადგა უკანასკნელ მღვარს, რომლის მიღმა არ იგუღვება არც რეალური, არც მლაპრული სამყარო. მამბარა, რომელმაც გასტყორცნა იგი შორეულ გზაზე, ბოლომდე გაიშალა, ამოიწურა ყოველი შესაძლებლობა, ეპოსის დროც იწურება, – “აწ რა ვიღონო, უთანაფიშითი, სად წავიდე?” – ეკითხება წინაპარს.

პირველად მარცხდება იგი თავის მრავალფათერაკიან თავგადასავალში, ხელცარიელი ბრუნდება უკან, წინააღმდეგ იმისა, როგორც ხდება საგმირო ეპოსში თუ ზღაპრებში, როცა გმირი ბევრი მარცხის შემდეგ ამბის დასასრულს უსათუოდ იმარჯვებს, ეწევა მიზანს – მიაგნებს უკვდავების წყაროს ან ხელთ იგდებს ჯადოსნურ საგანს და თავის ქვეყანაში მიიტანს ფათერაკიანი მგზავრობის ჯილდოდ და დასტურად. გილგამეში ამგვარს ვერაფერს წაიღებს უთანაფიშთისგან; ვერ წაიღებს განჭაბუკების ბალახსაც, თანამგრძნობელმა წინაპარმა რომ აპოვინა შეუძლებელი უკვდავების სანაცვლოდ; მან დაკარგა ბალახი, რისთვისაც ოკეანის ფსკერამდე ჩაღრმავდა (და “სიღრმე იხილა”), გველმა მოსტაცა იგი და იქვე მის თვალწინ მისი გულის დასაწყვეტად გამოსცადა თავის თავზე მცენარის ძალა: მყისვე გადაიძრო ძველი პერანგი, განიახლა ქვეწარმავალმა სიჭაბუკე.

უაუქნევა

ამ უკანასკნელი განსაცდელით მთავრდება ეპოსი, მთავრდება ერთბაშად, მოწყვეტით, თითქოს ეპიკოსს არ ეყო ქანი ან არ ჩათვალა საჭიროდ, რომ უმწვერვალეს სიმაღლემდე აეყვანა ხელმოცარული გმირის ღრამა; მაგიური ბალახის ასე უაზროდ და შემთხვევით დამკარგავი, – თუმცა გარკვეული აზრით ეს ფაქტი, შეიძლება, არც ჩაითვალოს შემთხვევითობად: უღაბნოს მცხუნვარებაში დამაშვრალმა კაცმა ვერ გაუძლო ცთუნებას და ცივი მაგრილებელი წყლის გულისათვის დაუღვევრად მიაგოვა ნაპირზე ძვირფასი განძი, – ხელიდან გამშვები ერთადერთი საჩუქრისა, რისი გამოგანებაც შეეძლო “შორეთიდან” მის შემბრალებელ უთანაფიშთის, არ შეძრავს გოდებით ცას და მიწას, მაშინდელივით, როცა მეგობრის დაკარგვისას კოსმიური გლოვა გამართა; ხველრს შერიგებული ჩაიკეცება იქვე, საბედისწერო აღგილზე და ცრემლმდინარი შესტირის ურ-შანაბის, ერთადერთ კაცს ამ უღაბურ გზაზე:

“რისთვის დამიშვრნენ მკლავნი, ურ-შანაბი?
ძარღვებში სისხლი რისთვის მეწურება?
სიკეთე ჩემთვის ვერ მოვიპოვე –
მიწის ლომისთვის ვზრუნავდი თურმე.
ახლა შორს მიაქვს მღვის ტალღებს ბალახი...”

უშუალოდ ამის შემდეგ იწყება ურუქისკენ უკუქცევა, რომლის დრო უკიდურესად შეკუმშულია, თითქოს გილგამეში სხვა, უმოკლესი გზით ბრუნდება თავის ქვეყანაში, – არ გამოჩნდება არც მაცდური სიღრმი, ნიშნის მოგებით რომ დახვდეს წინ ხელმოცარულ მოგზაურს, არც მორიელ-კაცთა სადარაჯოს შეხვდება სადმე, “მარჩბივ მთებს”, რომელთა წიაღ გადიოდა მზე-შამაშის ყოველდღიური სავალი, არც შამაში ჩანს მის ციურ თანამგზავრად, არც სხვა სახიფათო მიჯნები. მხოლოდ ლაკონურად აღინიშნება სივრცის, თითქოს სიმზარეული, გადალახვა მხოლოდ ეპოსისათვის ჩვეული სტერეოტიპით – “ოც ბერუს მანძილზე ამტვრიეს პური, ოცდაათ ბერუზე სათევი მოაწყვეს”. მეტი არაფერი. მან ერთხელ უკვე გაიარა უძნელესი, ადამიანურ შესაძლებლობათა მღვარს გადაცილებული გზა, რომელიც მეტად აღარ უნდა განმეორებულყო. იგი ბრუნდება სხვა გზით, სხვა გამოცდილებით, უკვე სხვა კაცი, რომელმაც თუმცა ვერ მიაღწია თავიდან დათქმულ მიზანს, მაგრამ ბრუნდება სხვა ცოდნით და გამოცდილებით აღსავსე, მხილველი მოკვდავთაგან უნახავი საიდუმლოებისა და სიღრმისა, შთამბეჭდელი წარღვნამდელ ამბავთა და თავად წარღვნისა, რომ საბოლოოდ მარად სახსენებელ ქვაზე ამოეკვეთა “ყოველი განცდილი” – აქ დედანი ამბობს: “ყოველი დანაშრომი”, რადგან მისი მოგზაურობის მისტერიული ამრი ამ სიტყვებში მარხია: “შორი გზით იარა, დაშვრა და დაბრუნდა”.

საგულისხმოა, რომ ეპოსი მისი პროლოგის სტრიქონებით მთავრდება, მაგრამ ამჯერად ამ სიტყვებს თავად გილგამეში წარმოთქვამს. ურუქის საა-

რაკო გალავნით მოქაღული მიმართავს ურ-შანაბის, მეგლეაურს, რომელმაც თითქოს იმიტომ მოაცილა იგი სმელეთის გზებით, რომ უკან წაელო ურუქის ამბავი, უთანაფიშთისთან მის ელიზიუმში, გაელო ხიდი წარმავალ აწმყოსა და მარადიულობას შორის. ისევე როგორც პრეისგორიული შვიდი ბრძენკაცის ღვაწლმა უშორესი წარსული აწმყოსთან დააკავშირა:

“ურუქის მღუღებე აღი, გაიარე, ურ-შანაბი,
საძირკველს დახედე, აგური მოსინჯე,
იქნებ გამომწვარი არ იყოს აგური,
იქნებ შვიდ ბრძენკაცს ლიბო არ ჩაელოს!”

ამ მიმართვით მთავრდება გილგამეშის ეპოსის მეთერმეტე დაფა (ჩვენს თარგმანში: ეპოსის ბუნებრივი დასასრული. მაგრამ მოგვიანებით, – ალბათ მაშინ, როცა რიცხვ „თორმეტს“ საკრალურობა მიენიჭა, – ეპოსს დაემატა მეთორმეტე დაფა, რომელიც წარმოადგენს ვრცელი შუმერული პოემის ბოლო ნაწილის სიგყვასიგყვით თარგმანს (“ენქიდუ ქვესკნელში”). ოღონდ ეს დამატება ორგანულად ვერ ეთვისება შინაარსს: ამ დაფაში ენქიდუ ცოცხალია და მეორედ კვდება, აწ სრულიად სხვა მიზეზით. კვლავ აღიძვრის სიკვდილ-სიცოცხლის თემა: გილგამეში გამოიხმობს ენქიდუს (ამ დაფაში იგი მის მონად იხსენიება, როგორც ყველა შუმერულ თქმულებაში) სულს ქვესკნელიდან და აამბობინებს შავეთის ბინადართა ამბავს.

გილგამეშის ამქვეყნიურ თავგადასავალს სხვა დასასრულიც აქვს, ოღონდ ეს უკვე ეპოსს აღარ ეკუთვნის, არამედ კულტისა და რწმენის სფეროს: როგორც სიკვდილ-სიცოცხლის კითხვის მძაფრად განმცდელი და გულისხმისმყოფელი, იგი “ინიშნება” მკვდართა მსაჯულად და შავეთის სხვა ღმერთებს ამოუღება მხარში. გილგამეშს ვხედავთ ქვესკნელში არა უბრალო მკვდრად, არამედ მისი სახელი იხსენიება შამაშის, ნერ-

გალის – ქვესკნელის მეუფის გვერდით, უფრო მეტიც: იგი გათანაბრებულია ნერგალთან – “გილგამეში ნერგალია, რომელიც ქვესკნელში ზის”. თავისი ვნებული სიცოცხლის სანაცვლოდ სიკვდილის შემდეგ მან დიდება დაიმკვიდრა, როგორც შავეთს ჩამავალთა პაგრონმა და მეოხემ. გვიანდროინდელ ბიბლიოთეკაში მრავლად ინახებოდა რელიგიური შინაარსის დაფები, სადაც გილგამეში ღვთაების რანგშია აყვანილი. აი, მისი სახე, ვითარცა ქვესკნელის განმგებლისა:

“გილგამეშ, სრულყოფილო მეფევე, ანუნაქთა მსაჯულო, რომელიც მოიხილავ ქვეყნის კიდეებს! ქვესკნელის განმგებელო, ქვემოურთა (ე. ი. მკვდართა) ბატონო, შენ მსაჯული ხარ და ღმერთივით ჭვრეც ყოველივეს. ქვესკნელში ღვახარ და სამართალს ადასრულებ. შენმიერი სამართალი არ შეიცვლება, შენი ნაბრძანები არ დაივიწყება! შენ დაჰკითხავ, შენ გამოიძიებ, შენ ასამართლებ, შენ ჭვრეც და ყოველივეს აწადმართებ. შამაშმა განგებანი და განაჩენნი შენ მოგანლო. მეფენი, დიდებულნი, უფლისწულნი შენს წინაშე ქედს იხრიან. შენ ჭვრეც მათ ნიშებს და მათ მოწვევნაღს შენ განაგებ!” როგორც ეგვიპტის ფარაონი ერწყმოდა სიკვდილის შემდეგ ოსირისის ბუნებას, ასევე გილგამეშმა შეიზავა შამაშის არსი, მზიური ღმერთისა, რომლის გზაზე არაერთხელ უვლია სიცოცხლეში.

გილგამეში, განსხვავებით შუმერულისგან (იხ. “გილგამეშის სიკვდილი”), აქადურ ეპოსში არ კვდება, არ ჩადის ქვესკნელში, არ ხდება მისი ერთერთი მსაჯულთაგანი. იგი აღამიანად ბრუნდება ქვეყნის დასასრულიდან და აღამიანადვე რჩება. ეს არის აქადური ეპოსის პათოსი. ქვესკნელში იგი მსაჯულია, ხოლო ქვეყანაში მის უკვდავსაყოფად ურუქის კედელია და ასპარეზობები, რომლებიც მის სახელზე იმართება. ერთი შუმერულ-აქადური ბილინგვა გვაუწყებს: “გილგამეშის თვე. მეცხრე ღღეს (ან ცხრა ღღეს) ჭაბუკები ერთმანეთთან საჭიდაოდ ქალაქის კარიბჭესთან გამოდიან”.

* * *

მსოფლიო მწერლობის უძველესი ეპოსის “გილგამეშიანის” აღმოჩენად შეიძლება ჩაითვალოს ლონდონელი ჯორჯ სმითი – ყოფილი სტამბის მუშაკი, ლურსმული ტექსტების ამწყობი, შემდგომში სწავლული ასირიოლოგი; აღმოჩენის თარიღად – 1872 წელი, როცა ჯორჯ სმითმა გამოარკვია, რომ მის მიერ ბრიტანეთის მუზეუმში მიკვლეული დაფა, წარღვნის ამბავი რომ ეწერა ზედ, შეადგენდა ვრცელი, თორმეტდაფიანი ეპოსის ერთ მცირე ნაწილს. მას შემდეგ, ასი წლის მანძილზე ახალი აღმოჩენებით ივსებოდა ეპოსის ტექსტი, და მასზე დღეს უფრო მეტი რამ ვიცით, ვიდრე ასი წლის წინათ მისმა პირველადმოჩენმა იცოდა. მაგრამ სრული სახით იგი მაინც არ მოღწეულა ჩვენამდე: დღესდღეობით ხელთა ვვაქვს ეპოსის მხოლოდ ორი მესამედი ნაწილი.

ჩვენამდე შემორჩენილი ფრაგმენტები მოწმობს რამდენიმე ვერსიის არსებობას: ერთია მოკლე ძველბაბილონური ვერსია, რომელიც ძვ. წ. XVIII-XVII სს.-ით თარიღდება. კოლოფონების მიხედვით მისი სათაურია “აღმაგებული [კაცთა] ზედა” (შუთურ ელი); მეორეა – ვრცელი ამურული, ე. წ. ნინევეური, რომელიც მეფე ამურბანიფალის (668-627 წ. ძვ.წ.) ბიბლიოთეკის ნანგრევებში აღმოჩნდა და XII-XI სს.-ით არის დათარიღებული. ეს ვერსია თორმეტი დაფისგან შედგება და ბიბლიოთეკის კატალოგებში შეტანილი იყო სათაურით “რომელმა სიღრმე იხილა” (შა ნაკაბა იმურუ); მესამეა – პერიფერიული, ანუ ვერსიები, რომლებიც სავარაუდოდ შუამდინარეთის (ამურისა და ბაბილონის) ფარგლებს გარეთ არის შექმნილი უფრო ადრე (ძვ. წ. XV-XIV სს.), ვიდრე ნინევეური ვერსია ჩამოყალიბდებოდა. ასეთებია: ფრაგმენტები ძველი ისრაელის ქალაქ მეგიდოლან, სულთან-თეფედან და ბოლამ-ქოიდან (მცირე ამია).

ეპოსის პოპულარობას მოწმობს მისი ფრაგმენტები ხეთურ და ხურიტულ ენებზე, რომლებიც თავისუფალი თარგმანების შთაბეჭდილებას გოვებს, თუმცა, შესაძლოა, ისინი დამოუკიდებელი ვერსიები იყოს. გილგამეშის ეპო-

სის ფრაგმენტები აღმოჩენილია ჩრდილო სირიის ნაქალაქარ ებლაში, რომელიც, როგორც ქალაქ-სახელმწიფო, ძვ. წ. III-II ათასწლეულში ყვაოდა. როგორც ფრაგმენტებიდან ჩანს, ამ ქალაქ-სახელმწიფოში ეპოსის თავისებური ვარიანტი შექმნილა, რომელიც საგრძნობლად უნდა ყოფილიყო განსხვავებული ძველბაბილონური ვერსიისგან. სამწუხაროდ, მეტისმეტი ფრაგმენტულობის გამო მათი გამოყენება თარგმანში ვერ მოხერხდა.

მიუხედავად ძველბაბილონური ვერსიის აღიარებული ორიგინალობისა და სიძველისა, აშურული ვერსია წარმოადგენს კანონიკურ ტექსტს და ამოსავალს იმ ჰიპოთეტური მთლიანობის დასადგენად, სადაც ყველა სხვა ვერსია პოულობს თავის ადგილს. იგი გვიჩვენებს ეპოსის განვითარების ერთ-ერთ და საბოლოო ეტაპს, რომლის შემდეგ იგი აღარ გადამუშავებულა. აშურბანიფალის ბიბლიოთეკაში დაცული ტექსტი (არის აზრი, რომ ზოგიერთი დაფა თავად აშურბანიფალის მიერ არის ჩაწერილი). წარმოადგენს გილგამეშის ეპოსის უკანასკნელ სახეს და მასშია ასახული უკანასკნელი თვალსაზრისი მის შინაარსზე და მიზანდასახულობაზე ეს გარემოება, უპირველეს ყოვლისა, ჩანს პროლოგში და გვიან დამატებულ მე-12 დაფაში. თუ ძველბაბილონური ვერსია იწყებოდა უშუალოდ გილგამეშის პორტრეტით, როგორც მე-2 დაფის კოლოფონიდან ჩანს, აშურული ვერსიის ავტორი გარკვეული მხატვრული და იდეური მოსაზრებებით ეპოსს იწყებს პროლოგით, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი ინტერპოლაციად მიიჩნევს. ამგვარი ინტერპრეტაცია ამოსავლად ძველბაბილონურ ვერსიას გულისხმობს, რომელიც არც შედგენილობით და არც იდეურად არ ემთხვევა მოგვიანო აშურულ ვერსიას. მაგრამ არ იქნებოდა მართებული ამ ახალი გადამუშავებისადმი ინტერპოლაციის ცნების მიყენება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში არა თუ პროლოგი, არამედ ბევრი სხვა პასაჟი, რაც ძველ ვერსიაში არ არსებულა, ინტერპოლაციად უნდა ჩაითვალოს. აქ უფრო საქმე გვაქვს ახალ შემოქმედებასთან. აშურული ვერსიის სათაური (“რომელმან სიდრმე იხილა...”) გარკვეული თვალსაზრისის გამოხატველია, ისევე როგორც მე-12 დაფის მიმატების ფაქტი. დაფათა ამ რიცხვის გამო ძველი მკვლევარები გილგამეშის ეპოსს

მიიჩნევენ ასგრალური მიზანდასახულობის შემცველ ნაწარმოებად, სადაც თითოეული დაფა თითქოს დაკავშირებულია ზოლიაკოს სახლთან, რომელსაც მშესთან ერთად გადის სოლარული გმირი გილგამეში. თუმცა ყურადღებას იპყრობს გმირის თანაზიარება მშის ღმერთთან როგორც ეპოსში, ისე ხოთონურ კულტში, და მისი სვლა მშის გზაზე (შამაშის გზაზე), მაგრამ რამდენადაც ეს გენდენცია სხვა პუნქტებში (დაფების შეფარდება წელიწადის თვეებთან ან ზოლიაკოს ნიშნებთან) არ ჩანს, ამდენად ძნელი ხდება ამ თვალსაზრისის გაზიარება. დღეს იგი უარყოფილია მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობის მიერ.

თითოეული დაფა მთავრდებოდა შემდეგი შინაარსის მინაწერით, კოლოფონით: “დაფა მეამდენე. ვინც სიღრმე იხილა. გილგამეშის ნაკვეთი. თანახმად ძველი დედნისა ჩაწერილია და შემოწმებული”. ზოგიერთ დაფას ახლავს შენიშვნა: “არ დასრულებულა” (*ნუ-გილ*), ბოლო დაფას – “დასრულდა” (ალთილ). ზოგიერთი კოლოფონი ჩაწერის თარიღსაც იძლევა. უახლესი ჩანაწერები ელინისტურ ხანას ეკუთვნის (ძვ. წ. 127 წ.). ერთი ვერსიის მე-10 დაფა სელევკოსისა და ანტიოქოსის ბაბილონში მეფობით (ძვ. წ. მე-3 ს.-ის დასაწყისი) არის დათარიღებული. დაუზიანებელი, სრული სახით თითქმის არც ერთი დაფა არ არის შემონახული. სტრიქონთა შორის ინტერვალის ზომა საშუალებას იძლევა განისაზღვროს სტრიქონთა რაოდენობა თითოეულ დაფაში: 300 სტრიქონი, რაც 12 დაფის კვალბაზე იძლევა 3600 სტრიქონს (საგულისხმოა, რომ ეს რიცხვი წარმოადგენს ერთ-ერთ მრგვალ რიცხვს შუამდინარული თვლის სამოცობით სისტემაში – 60×60).

ეპოსის მთლიანი ტექსტი პირველად გამოიცა გასული საუკუნის დასაწყისში – P. Jensen, Assyrisch-babylonische Mythen und Epen, Berlin, 1900, ახალი ფრაგმენტების შევსებით – 1930 წელს: Reginald Campbell Thompson, The Epic of Gilgamesh: text, transliteration, and notes, Clarendon Press, Oxford. ბოლოს, დიდინის ინტერვალის შემდეგ, 2003 წელს კვლავ გამოქვეყნდა ეპოსის ლურსმული ტექსტების კორპუსი გრანსკრიპციითა და ინგლისური სიგყვასიგყვითი თარგმანითურთ, რომელიც სამოცდაათი წლის განმავლობაში მოპოვებულ

ფრაგმენტებს შეიცავს: A.R. George, *The Babylonian Gilgamesh Epic: Introduction, Critical Edition and Cuneiform Texts*, 2 vols. Oxford: Oxford University Press, 2003, XXXXVI, 986 გვ. ლურსმული გექსტის გრანსკრიპცია მოცემულია წიგნის პირველ ტომში (531-741 გვ.). თუ 1930 წლის გამოცემაში სხვადასხვა ვერსიისა და რედაქციის 108 ფრაგმენტი იყო გამოქვეყნებული, ახალი გამოცემა 184 ფრაგმენტს შეიცავს, მათგან 25 მანამდე სრულიად უცნობი იყო.

საქართველოში, გასაგები მიზეზების გამო, დღია ინგერესი ამ უძველესი ეპოსისადმი. პირველად იგი თარგმნა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და სწავლულმა მიხეილ (მიხაკო) წერეთელმა (1878-1965), რომელიც ექვთიმე თაყაიშვილის რჩევით დაინგერესდა ასირიოლოგიით და სწავლობდა მეცნიერების ამ დარგს ლონდონის, ლაიპციგისა და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებში, ასირიოლოგიის ძლიერ ცენტრებში. ოციან წლებში, იმ დროს, როცა გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე ჯერ კიდევ თითო-ოროლა თარგმანი არსებობდა, ხოლო სხვა ევროპულ ენებზე საერთოდ არც იყო თარგმნილი. მ. წერეთელმა გამოაქვეყნა ქართული თარგმანი ცალკე წიგნად, რომელიც ამჟამად ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა და ამიგომაც საჭიროდ მიმაჩნია მისი სატიტულო წარწერის მთლიანად მოგანა: “გილგამეშიანი: ბაბილონური ეპოსი მესამე ათასწლეულისა ქრ. წ. ბაბილონურ გექსტთაგან თარგმნილი მ. წერეთლის მიერ მთარგმნელის შენიშვნებითურთ. გამოცემა კონსტანტინეპოლის ქ. კ. სავანისა კონსტანტინეპოლი. საბეჭდავი ქართველთა კათოლიკე სავანისა 1924”. ამ წიგნში, რომელიც შეიცავს 138 გვერდს, მთლიანად არის ნათარგმნი იმ დროისათვის არსებული ფრაგმენტები გილგამეშის ეპოსისა. თარგმანს ერთვის ორიგინალური გამოკვლევა, სადაც გამოვლენილია პარალელები ჰომეროსის პოემებთან, დანტეს “ჯოჯოხეთთან”, მსოფლიო ფოლკლორულ ნიმუშებთან და, რაც მთავარია, “ვეფხისტყაოსანთან”. “მოვიგონოთ, – წერს მთარგმნელი გამოკვლევაში, – ჩვენი უკვდავი რუსთაველის ქმნილებაც, “ვეფხისტყაოსანი”: ვაჭრა ტარიელისა ნესტანის საქებუნელად, ცხოვრება მისი მხეცებთან, ვეფხისტყაოსნობა, ლომ-ვეფხის ხოცვა, კვება ნადირის ხორციითა

– ეს სომ გილგამეშის საქმეც იყო...” (გვ. 107). მანვე პირველმა გაამახვილა ყურადღება მეგობრობის საერთო მოტივზე ამ ორ ეპოსში, აგრეთვე სხვა მოტივებზე, განსაკუთრებით: “შევადართო აგრეთვე ლოცვა ავთანდილისა ცის მნათობთადმი და ლოცვა გილგამეშისა შამაშისადმი, სინისადმი და იშგარისადმი – ღმერთთადმი, რომელნიც ბაბილონელთა წარმოღვენით ცის მნათობნიც იყვნენ” (გვ. 108). ეს უსათუოდ საგულისხმო პარალელია, მით უმეტეს, რომ ორივეგან ლოცვა მნათობთა მიმართ გზაში ხდება, ხოლო გზაც ორივე ეპოსში მნიშვნელოვანი კონცეპტუალური მომენტია. შორს წაგვიყვანდა მ. წერეთლისეული გამოკვლევის თუნდაც მერევე განხილვა, ის კი უნდა აღინიშნოს, რომ ასირიოლოგიისა და, კერძოდ, გილგამეშის ეპოსის შესწავლის იმდროინდელი ღონისათვის იგი ქართული ფილოლოგიური მეცნიერების ძვირფასი შენაძენი იყო. მეცნიერი ამ პრობლემატიკას შემდგომ აღარ შეჰხებია და, სამწუხაროდ, არც “გილგამეშისანი” მეორე გამოცემაზე უბრუნია.

მ. წერეთლის “გილგამეშისანი” შემდეგ გილგამეშის ეპოსის სამი განსხვავებული თარგმანი გამოქვეყნდა:

აკადემიური თარგმანი:

1. გილგამეშის ეპოსი, აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო მ. კიკნაძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობა, 1963. ეს არის აკადემიური, ბჭკარელული თარგმანი ყველა ვერსიისა და ფრაგმენტისა, ახლავს ვრცელი ფილოლოგიური ხასიათის კომენტარები და გამოკვლევა.

მხატვრული თარგმანები:

2. გილგამეში, “რომელმან სიღრმე იხილა...”, აქადურიდან თარგმნა მ. კიკნაძემ, “ნაკადული”, 1963. ეს არის მხატვრული თარგმანი.

3. გილგამეშისანი, ძველი შუამდინარული ეპოსი, აქადურიდან და შუმერულიდან თარგმნა მ. კიკნაძემ, “განათლება”, თბ., 1984. ეს გამოცემა საგრძნობლად არის გადამუშავებული: გადახალისებულია ენობრივი ქსოვილი, ტექსტში ჩამატებულია ზოგიერთი, მანამდე გამოუყენებელი ფრაგმენტი, ზო-

გჯერ შეცვლილია ფრაგმენტთა თანამიმდევრობაც, რის გამოც დედნისეულ დაფებს აღარ დაემთხვა თარგმანისეული დაყოფა თავებად; სწორედ ამიტომ თავებს ეწოდა არა “დაფა”, არამედ “კარი”; მეთორმეტე დაფის ტექსტი, როგორც ეპოსისთვის არაორგანული, გადატანილია დამატებაში, იმ ტექსტთან, რომლის ნაწილსაც იგი წარმოადგენს. ერთიანი ტექსტის აღქმის გასაადვილებლად ცალკეული ეპიზოდები დასათაურებულია მთარგმნელის მიერ და ფრჩხილებშია ჩასმული იმის ნიშნად, რომ ისინი დედნისეული არ არის. მ. წერეთლის კვალზე ნაწარმოების სათაურად ნაცვლად “გილგამეშისა” ან “გილგამეშის ეპოსისა” დასმულია “გილგამეშიანი”.

ორიოდე სიტყვა ჩვენი თარგმანის ახალი გამოცემის ტექსტის შესახებ. იგი ძირითადად იმეორებს 1984 წლის თარგმანის ტექსტს, მაგრამ ბუნებრივია, ახალ გამოცემაში აისახებოდა ის მასალა, რომელიც ეპოსის ორიგინალური ტექსტის უკანასკნელ გამოცემაშია წარმოდგენილი (იხ. ბემთ: A..R. George, *The Babylonian Gilgamesh Epic*). კერძოდ, ახალი სგრიქონებით შეივსო პროლოგი, რომელიც არის გილგამეშის ერთგვარი Curriculum vitae; ენქილუზე გილგამეშის გლოვის ტექსტს ასევე შეემატა სგრიქონები, რამაც კიდევ უფრო დრამატული ვახადა ეს პასაჟი. სგრიქონები ჩაემატა ხუმბაბასა და უთანაფიშთის ეპიზოდებს, გასწორდა მოგიერთი უზუსტობა. უნდა ითქვას, რომ ბევრი ახლადგამოვლენილი ტექსტი იმდენად ფრაგმენტულია, რომ მხატვრულ თარგმანში მისი გამოყენება არ ხერხდება. მას მხოლოდ ეპოსის შესწავლისთვის, კერძოდ, ეპიზოდების დასაზუსტებლად შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა.

ზურაბ კიკნაძე

1983/2009

დაფა პირველი

(წინკარი – შესხმა)

- 1 რომელმან სიღრმე იხილა, ქვეყნის საფუძველი,
ყოველი შეიცნო, შთაიბეჭდა,
იღუპალებანი ვინც სრულად განჭვრიტა, –
სიბრძნის მფლობელმა, ყოველის მეცნაურმა,
საუნჯეს მიაგნო, გახსნა დაფარული,
მცნება მოგვიგანა წარღვნამდელ დღეთა.
შორი გზით იარა, დამაშვრალი დაბრუნდა;
ქვაზე ამოკვეთა ყოველი განცდილი.
ურუქის ქალაქს მღუღე შემოავლო –
- 10 წმიდა ეანას კურთხეულ ბეღელს.
ახელე მღუღეს, ლარივით გამართულს!
ქვაკუთხედს დახელე – მის ღარს ვინ შექმნის!
მღურბლს ხელი შეახე, შორიდან მოგანილს!
ეანას მოადექ, იშთარის სამყოფელს,
რის ღარს მომავალი ვერ შექმნის მეფე!
ურუქის მღუღეზე ადი, გაიარე,
საპირკველს ჩახელე, აგური მოსინჯე, –

იქნებ გამომწვარი არ იყოს აგური?
 იქნებ შვილ ბრძენკაცს ლიბო არ ჩაელოს?
 20 იხილე დაფათა სკივრი კელარისა,
 გახსენი მისი ბრინჯაოს საკეგი,
 ამოილე ლაქვარდის დაფა, წაიკითხე
 ყველა გასაჭირი, გილგამეშს რაც გადახდა.
 ყველა მეფეზე უპირატესია,
 ურუქის მამაცი ნაშიერი, მრქენელი ხარი,
 წინ მიდის – წინამძღოლია,
 უკან მიდის – თავის მოძმეთა იმედია,
 ძლიერი ნაპირი, მცველი თავისი ხალხისა,
 მძევნვარე ტალღა, ქვის კედლის მნგრეველი,
 30 ლუგალბანდას მომვერი, სრულქმნილი ძალისა,
 დიდებული ფურის ბუბუნაწოვი, ფურ-ნინსუნასი,
 მაღალია გილგამეში, სრულქმნილი, გარდამცემი,
 გამხსნელი მთიანეთის გადასასვლელთა,
 გამთხრელი ჭებისა მათთა ფერდობებზე,
 ვრცელ ზღვათა წიაღმსვლელი მზის აღმოსავლამდე,
 სამყაროს კიდეთა მომხილველი, სიცოცხლის მძებნელი.
 მპოვნელი უთანაფიშთისა თავისი ძალით.
 აღმდგენელი საკურთხეველთა, წარღვნამ რომ წალეკა,
 კაცთათვის წესთა დამამკვიდრებელი.
 40 ვინ არის მისი მსგავსი მეფეთა შორის?
 და გილგამეშივით ვინ იტყვის: “მეფე ვარ!”
 გილგამეში აქვს სახელად შობითგანვე,
 აღბევებულია კაცთა მოღვმაზე,

განში ღმერთების ხორცი ჩაღვმია,
ორი მესამედი ღმერთია, ერთი მესამედი კაცი,
მისი სხეულის საგი ბელეტცერიმ გამოსახა,
მისი აღნაქვისი ნუდიმმუდმა სრულყო,
თავს ადგას ურუქის სამეფო გვირგვინი,
მომზვერივით დადის ქედმაღალი,
50 გოლი არა ჰყავს ლახგის მოქნევაში,
ურუქ-ფარეხში მიდი-მოღის,

(გილგამეშის გვაობა)

დაფდაფის ხმაზე ამხედრებს მეომრებს.
იღუმალ დრგვინავენ ურუქის მოცმენი:
“არ უშვეებს გილგამეში ვაჟს თავის მამასთან,
ასულს დედასთან,

დღედაღამ გვაობს ქედმაღალი.
იგი ხომ მწყემსია ურუქ-ფარეხის?
იგი ხომ ჩვენი მწყემსი და მეფეა?
ძლიერი, ბრწყინვალე და ბრძენთაბრძენი?
60 არ უშვეებს გილგამეში ქალწულს საქმროსთან,
მეომრის ასულს, სასძლოს მოცმისას.”

შეესმათ ღმერთებს მათი ჩივილი:
“თქვენ შექმენით ამაყი ხარი ურუქ-ფარეხში,

გოლი არა ჰყავს ლახტის მოქნევაში,
დაფლაფის ხმაზე ამხედრებს მეომრებს.
არ უშვებს გილგამეშ ვაქს თავის მამასთან,
ასულს დედასთან.

- დღედაღამ მძვინვარებს მისი ზვაობა,
მათი ჩივილი მოესმა ანუს.
70 “არურუ!” შესძახეს, “დიდებულო!”
“არურუ, შენი შექმნილია მამაცი მამრი.
შექმენი ახლა მისი ორეული,
მის გულის გრიგალს გაუგოლდეს!
დაწყვილდნენ, ურუქს შვება მოეცეს!”

(ენქილუს შექმნა)

- რა ესმა არურუს სიგყვები იგი,
ცის ღმერთის ხატი გულში ჩაისახა.
მერმე განიბანა ხელნი არურუმ,
თიხა მოზილა, ველზე დააგდო,
ველად მოავლინა გმირი ენქილუ,
80 ველთა ნაშიერი ნინურთას ძალისა.
ბანჯგვლებს დაუფარავს სხეული მისი,
თმები მოზრდია დედაკაცვიით,
ნისაბას დარად აჰყრია ვარჯები.
არ იცის ხალხი, არც მკვიდრი მხარე,
განთ სუმუკანის სამოსი მოსავს.

ქურციკთან ერთად საძოვრად ღაღის,
ფარასთან ერთად წყაროს ეწაფება,
პირუტყვთან ერთად წყლით გულს იჯერებს.

(მონადირის ამბავი)

90 ვინმე მონადირე, მახეთა დამგები,
წყაროს წინ შეეყრება ენქილუს.
ერთ ღღეს, მეორე ღღეს, მესამე ღღეს
წყაროს წინ შეეყრება ენქილუს.
შეხედავს მონადირე, სახე მოექცევა:
ჯოგს შემოჰყოლია მის სანახებში!
შეშინდა, გახევდა, დაღუმდა,
გული შეუღონდა, სახე მოედრებლა,
წუხილი შევიდა მის შიგანში,
სახე გაუხდა შორი გზით მავალის.

100 მონადირემ დაძრა ბაგე, ამეტყველდა,
ასე ეუბნება მამამისს:
“მამავ, ვიხილე მე მოცმე ვინმე,
უღაბნოდან ჯოგს შემოჰყოლია,
მტკიცეა ძალი მისი ამ ქვეყნად,
ანუს ლაშქარივით განმტკიცებულა.
მარადქამს ველად იარება,
მარადქამს ჯოგთან ერთად წყაროს ეწაფება,

მარადქამს წყაროს წინ უწყვია ფეხები,
შევშინდი, ახლოს ვერ მივედი.
აავსო თხრილები, ჩემი დათხრილი,
110 დაშალა მახენი, ჩემი დაგებული,
ხელიდან მაცლის უდაბნოს ნადირს,
აღარ მანებებს ველზე ნადირობას.”

დაძრა მამამისმა ბაგე, ამეგყველდა,
ასე ეუბნება მონადირეს:
“ურუქ-ქალაქში მკვიდრობს გილგამეში,
არავინ უვის თავისზე ძლიერი,
მგკიცეა ძალი მისი ამ ქვეყნად,
ანუს ლაშქარივით განმგკიცებული.
წადი, ურუქისკენ იბრუნე პირი,
120 ამცნე ამბავი იმა მოყმისა,
როსკჰს მოგიჩენს, თან წაიყოლე –
ველურს გახედნის ძლიერი მამრივით.
ოდეს ველური ჯოგს წყალთან მიიყვანს,
შემოიძარცვოს ქალმა სამოსელი,
გამოაჩინოს სიმწიფე თვისი;
შეხედავს ველური, მიუახლოვდება, –
ჯოგი ბურგს შეაქცევს, მის ველზე გაზრდილი.”

ესმა მონადირეს რჩევა მამისა,
გასწია, ურუქისკენ იბრუნა პირი.

- 130 დაძრა მონადირემ ბაგე, ამეტყველდა,
ასე ეუბნება გილგამეშს:
“გილგამეშ, ვიხილე მე მოყმე ვინმე,
უდაბნოდან ჯოგს შემოჰყოლია,
მტკიცეა ძალი მისი ამ ქვეყნად,
ანუს ლაშქარივით განმტკიცებულა.
მარადქამს ველად იარება,
მარადქამს ჯოგთან ერთად წყაროს ეწაფება.
მარადქამს წყაროს წინ უწყევია ფეხები,
შევშინდი, ახლოს ვერ მივედი.
- 140 აავსო თხრილები, ჩემი დათხრილი,
დაშალა მახენი, ჩემი დაგებული.
ხელიდან მაცლის უდაბნოს ნადირს,
აღარ მანებებს ველზე ნადირობას.”

გილგამეშმა დაძრა ბაგე, ამეტყველდა,
ასე ეუბნება მონადირეს:
“წადი, მონადირევ, წაიყოლე შამხათ როსკიპი,
როცა ველური ჯოგს წყალთან მიიყვანს,
შემოიძარცვოს ქალმა სამოსელი,
გამოაჩინოს სიმწიფე თვისი.

- 150 შეხედავს ველური, მიუახლოვდება,
ჯოგი ბურგს შეაქცევს, მის ველზე გაბრდილი.”

(ენქილუს შეცდენა)

- წავიდა მონადირე, წაიყოლა შამხათ როსკიპი.
გზას გაჰყვნენ, მგზავრობას შეუდგნენ.
დათქმულ ველამდე სამ დღეში მივიდნენ;
ჩასაფრდნენ როსკიპი და მონადირე;
ორი დღე ისხდნენ წყაროს ნაპირას.
ბოლოს მოვიდა ჯოგი წყლის სასმელად,
მოვიდნენ მხეცები, წყლით გულს იხარებენ,
მათ მოჰყვა ენქილუს, ველზე ნაშობი.
- 160 ქურციკთან ერთად საძოვრად დადის,
გარეულ ჯოგთან წყაროს ეწაფება,
მხეცებთან ერთად წყლით გულს იჯერებს.
იხილა შამხათმა ველური კაცი,
მოყმე გარეული, ველთა წიაღისა.
“ჰა, იგი, შამხათ, შეიხსენ მკერდი
და კალთა შენი გადაიშიშვლე;
ოდეს დაგინახავს, ახლოს მოდგება.
დაე, აილოს სიმწიფე შენი,
ნუ დაიმორცხვებ, წაართვი ჯანი.
- 170 სამოსი დაფინე, ზელ დაგაწვება,
ღიაცის საქმე უქმენი ველურს
როს ვნება მისი გარსშემოგენტება,
ჯოგი ბურგს შეაქცევს, მის ველზე გაზრდილი.”

- მაშინ შამხათმა შეიხსნა მკერდი,
 და კალთა თვისი გაღაიშიშვლა,
 ენქილუმ აილო სიმწიფე მისი,
 ქალმა არ იმორცხვა, ჯანი წაართვა,
 სამოსი დაფინა, დააწვა ენქილუ.
 დიაცის საქმე აჩვენა ველურს.
- 180 და ვნება მისი გარსშემოენთო.
 ექვს ღღეს და შვიდ ღამეს ნერბავდა შამხათს,
 და რა დაუცხრა ენქილუს ვნება,
 პირი იბრუნა თავის ჯოგისაკენ;
 ხედავს ენქილუ – გარბის ქურციკი,
 და ველურ ჯოგსაც ბურგი უქცევია.
 წამოხტა ენქილუ – შეკვრია სხეული,
 მუხლები დაუღვა, ჯოგს ველარ მიჰყვება.
 დასუსტდა ენქილუ, ვერ ირბენს ძველებურ,
 მაგრამ გაბრძენდა, განევრცო გონება.
- 190 მობრუნდა, შამხათს მუხლებთან დაუჯდა.
 შეჰყურებს ენქილუ სახეში როსკიპს,
 და რასაც შამხათ როსკიპი ეგყვის,
 ისმენენ მისნი სასმენელნი.
 ასე ეუბნება ენქილუს როსკიპი;
 “მშვენიერი ხარ, ღვთისდარო ენქილუვ,
 რად დაძრწი ველად გარეულ ჯოგთან?
 მოდი, გალაგნიან ურუქს წამომყევი,
 მიგიყვან ბრწყინვალე, ღვთაებრივ სახლში,

ანუს და იშთარის ბინად მიგიყვან!
200 სად გილგამეშია, სიქველით სრული,
ხალხზე რომ მძლავრობს მოზვერივით,
შეიყვარებ შენს თავზე უმეტეს,
რაკი შენც მისი მსგავსი ყოფილხარ.
წამო, დააგდე უდაბნოს საწოლი!”

ასე მოუთხრობდა ენქიდუს შამხათი.
სიგყვა შეიწყნარა, მიენლო ნაუბარს
და რჩევა ქალისა გულში ჩაუვარდა.
მეგობარს ნაგრობს ველურის გული,
და ასე ეგყვის ენქიდუ როსკიპს:
210 “შამხათ, გალაგნიან ურუქს წამიყვანე,
მიმიყვანე ბრწყინვალე, ღვთაებრივ სახლში,
ანუს და იშთარის ბინად მიმიყვანე.
სად გილგამეშია, სიქველით სრული,
ხალხზე რომ მძლავრობს მოზვერივით,
არ შევეპუები, ამაყად ვეგყვი,
ვიყვირებ ურუქში: უძლეველი ვარ!
ეს მე ვარ, ბელი ვინაც იცვალა,
ძლევა მოსილია ველთა ნაშიერი!”
“წავიდეთ, ენქიდუ, მე შეგახვედრებ,
220 ვიცი გილგამეშის ბინა-სამყოფელი.
წავიდეთ, ენქიდუ, გალაგნიან ურუქს,
სად ხალხი ბრწყინავს დიდებულ სამოსში,
სადაც ზეიმია მარადეჟამიერი,

სადაც უტკბილესი გალობა ისმის,
სადაც როსკიპთა ტურფაა ანაქესი,
სიმწიფით ჰყვავიან სურნელით საფსენი,
თავად დიდკაცებსაც საწოლს არ უყოფენ.
ჰოი, ენქიდეუ, ლხინის უნახავო,
გიჩვენებ გილგამეშს კაცს დალხინებულს,
230 იხილე იგი, მის სახეს შეხედე,
სიქველით მშვენია და მამრულ ძალით,
სიმწიფით ჰყვავის სხეული მისი.
ვერ შეედრები ძალით გილგამეშს,
იგი არ ისვენებს არც დღით, არც ღამით.
ენქიდეუ, განაგდე შენი სიამაყე!
მეციურ შამაშს უყვარს გილგამეში,
ანუმ ენლილმა და ეამ განუვრცეს გონება.
ვიდრე მოხვიდოდი შენი ველებიდან,
სიმმრად გხელავდა ურუქში გილგამეში.

(გილგამეშის სიმბრები)

240 ადგა გილგამეში სიმბრის ასახსნელად,
ასე ეუბნება დელას:
“დელავ, მესიმბრა წუხელ სიმბარი:
ვითა ღვთაებრივი ანუს მხედრობა
მომვლენოდნენ მეცის ვარსკვლავები.
ჩემს წინ ეცემოდა ვარსკვლავი ერთი:

აწევა ვცადე, სიმძიმემ დამძალა;
წაღება ვცადე, ვერ დავძარი.
ურუქის ერი იღვა მის უკან,
ერი შეიკრიბა მის წინაშე,
250 ხალხი აწყდებოდა ირგვლივ,
მოყმენი ახლოს ჯგუფდებოდნენ,
ჩვილი ბავშვებით ფეხებს უკოცნიდნენ.
მე კი მოვეხვიე ვითარცა სასძლოს,
და შენს წინაშე დავაგდე იგი,
რათა სწორგეყო იგი ჩემს მიმართ.”

დედა გილგამეშისა, ბრძენი, ყოვლისმცოდნე,
თავის ძეს ასე ეუბნება;
ფური ნინსუნა, ბრძენი, ყოვლისმცოდნე,
ასე ეუბნება გილგამეშს:
260 “შეცის ვარსკვლავი რომ გაჩნდა შენს წინაშე,
ანუს ძალასავით შენ წინ რომ დაეცა,
რომ სცადე აწევა, სიმძიმემ დამძალა,
რომ სცადე წაღება, და ვერ დასძარი,
მერმე ჩემს წინაშე რომ დააგდე,
რათა სწორმეყო იგი შენს მიმართ,
ვითარცა სასძლოს რომ მოეხვიე, –
სანდო მოყვასია, მეგობრის მხსნელი;
დიდია ძალი მისი ამ ქვეყნად,
ანუს ლაშქარივით განმტკიცებულა,
270 ვითარცა სასძლოს რომ გადაეხვიე –

არ მიგატოვებს იგი არასოდეს.
ესე არს ახსნა შენი სიზმრისა.”

მეორედ ესიზმრა გილგამეშს სიზმარი,
აღვა და შევიდა ქალღმერთთან დედასთან,
ასე ეტყვის მას, დედას, გილგამეში:
“დედავ, კვლავ მესიზმრა წუხელ სიზმარი:
ნაჯახი ეგლო გალაენიან ურუქში.
შეგროვილიყვნენ გარშემო მისა,
ურუქის ერი იღვა მის ახლოს,
280 ხალხი შეიკრიბა მის წინაშე,
მოყმენი ირგვლივ აწყდებოდნენ.
ავიღე, შენს ფერხთით დავაგდე იგი,
ცოლივით შემიყვარდა, მოვეხვიე,
და შენ სწორჰყავი იგი ჩემს მიმართ.”

დედა გილგამეშისა, ბრძენი, ყოვლისმცოდნე,
ფური ნინსუნა, ბრძენი, ყოვლისმცოდნე,
ასე ეუბნება თავის ძეს;
ნინსუნა ბრძენი, ყოვლისმცოდნე,
ასე ეუბნება გილგამეშს:
290 “კაცია ნაჯახი იგი, რომ იხილე,
სასძლოსავით რომ გადაეხვიე,
მერმე ჩემს ფერხთით რომ დააგდე,
რათა სწორმეყო იგი შენს მიმართ,
სანდო მოყვასია, მეგობრის მხსნელი;

დიდია ძალი მისი ამ ქვეყნად,
ანუს ლაშქარივით განმტკიცებულა.
ესე არს ახსნა შენი სიზმრისა.”
დაძრა გილგამეშმა ბაგე, დედას ეუბნება:
“დედავ, მრჩეველი ენლილის ნებით მოხდეს!

300 იქნებ შევიძინო მრჩეველი მეგობარი“.
ამ სიზმრებს ნახულობდა გილგამეში.
შამხათი უამბობდა გილგამეშის სიზმრებს,
ორნი ესიყვარულებოდნენ ერთმანეთს.

დაფა მეორე

(ენქილუს განკაცება)

- 1 მაშინ განიპობს სამოსელს შამხათ:
ერთი სამოსლით ენქილუს შემოსავს,
მეორე სამოსლით თავად იმოსება.
ხელს ჩასჭიდებს, ღმერთივით მიუძღვის
მწყემსთა სადგომისკენ, სადაც ფარეხია.
შემოეხვევიან მწყემსები ენქილუს,
ასე იბრაახავენ ერთმანეთს შორის:
“ეს მოყმე გილგამეშს ჩამოჰგავს ტანით,
ტანით მაღალია და ძვალმსხვილი.
10 ალბათ ენქილუა, ველებს მკვიდრი,
ანუ მხედრობის ძალი შესძენია.
რბე ველურ ცხოველთა უწოვია,
ქურციკის ჯოგთან ბალახი უძოვია.”

საჭმელი დაუდეს, –
ღუმს და აკვირდება:
არ იცის ენქილუმ საჭმელის ჭამა

- და სმა სასმელისა არ უსწავლია.
დაძრა როსკიპმა ბაგე,
ასე ეუბნება ენქიდუს:
20 “იგემე, ენქიდუ, ჭამადი,
საზრდო სიცოცხლისა,
და შესვი სასმელი
ქვეყნის წესისამებრ.”
იგემა ენქიდუმ ჭამადი ძლომამდე,
და შვიდი კათხა სასმელი შესვა.
განცხრა, შეეცვალა გუნება,
გული მოელხინა, სახე გაუნათდა.
ხელი მოისვა ფაჩვნიერ განზე,
მეთით დაიზილა, კაცად გადაიქცა.
30 ჩაიცვა სამოსი, სიძეს დაემსგავსა,
მოილო მახვილი ლომების დევნად,
რათა მოესვენათ ფარეხში მწყემსებს.
მგლებს დაერეოდა, ლომებს შეიპყრობდა,
როს სარქლებს ეძინათ.
ენქიდუ მათი მფარველია,
კაცი მღვიძარე, უებრო მოყმე.
- იხარებს როსკიპთან ენქიდუ.
თვალს აღაპყრობს, კაცს დაინახავს,
ასე ეუბნება როსკიპს:
40 “შამხათ, კაცს მოუხმე! რისთვის მოსულა?
დაე, ნაუბარი მისი მოვისმინო.”

კაცს დაუძახა შამხათ როსკიპმა,
კაცი მოვიდა, შეხედა ენქილუს.
“მოყმევ, სად ისწრაფვი? რა გაგჭირვებია?”
დაძრა მოყმემ ბაგე,
ასე ეუბნება ენქილუს:
“სანთიობოში ვერავინ დაღის,
მორჩილებაა მოკვდავთა ხვედრი:
ერს დაეკისრა გოდრების ზიდვა,
50 მხიარულ დიაცებს – ერის გამოკვება.
მხოლოდ გალაგნიან ურუქის მეფისთვის
ხმიანებს საქორწინო დაფლაფი;
გილგამეშისთვის, გალაგნიან ურუქის მეფისთვის,
ხმიანებს საქორწინო დაფლაფი.
წილხვედრილ სასძლოს იგი ეუღლება,
პირველად იგი, შემდგომად სასიძო.
ღვთიური განგებით ასე ბრძანებულა:
ჭიპის მოჭრისას კაცს ბედი უწყდება.”
60 რა მოისმინა მოყმის ნაუბარი,
ფერი ეცვალა სახეზე ენქილუს.

(ორთაბრძოლა)

წინ მიდის ენქილუ, უკან როსკიპი.
რა შეაღწიეს გალაგნიან ურუქში,
ერი გარშემო შემოეკრიბა.
გალაგნიან ურუქის შუკად რა შედგნენ,

ხალხის კრებული ასე იტყოდა:
“ეს მოყმე წააგავს გილგამეშს,
მაღალია და ძვალმაგარი.
ველურ ცხოველთა რძე უწოვია,
ბალახი უძოვია ქურციკის ჯოგთან.
70 დღენიადაგ ილოცებს ურუქი,
გაიხარებენ ურუქის მოყმენი:
ძალგულოვანი გამოჩნდა გმირი.
გილგამეშს, მოყმეს პირმშვენიერს,
ღვთისდარი მეტოქე მოევლინა.”

გაშლილა იშხარას ღამის სარეცელი.
მივა გილგამეში, ღამით დაიძინებს,
შეეუღლება ღვთაებრივ იშხარას.
შუკად ენქილუ მოემართება,
სანთიობოსკენ გილგამეშს გზას უღობავს.
80 ურუქის ქვეყანა იკრიბება მის ახლოს,
ხალხი აწყდება ირგვლივ,
მოყმენი ჯგუფდებიან ირგვლივ,
ჩვილი ბავშვებივით ფეხებს უკოცნიან.
იხილა ველური მოყმე გილგამეშმა:
უხვი ვარჯები მხრებზე აფენია.
დაიძრა, პირისპირ დაუდგა,
ერთურთს გაუსწორდნენ ფართე ალაგას.
კარი ჩაუკეცავს ენქილუს ფეხით,
სანთიობოში შესვლას არ ანებებს.

- 90 მაშინ შეიბნენ მოზვრებივით,
ზღურბლი შეარყიეს, კედელი იძრა.
შეიბნენ ენქილუ და გილგამეში მოზვრებივით,
ზღურბლი შეარყიეს, კედელი იძრა.
და რა ჩაიძუხლა მიწად გილგამეშმა,
იმწამსვე გული რისხვისგან დაუცხრა,
მღელვარე მკერდი დაუმშვიდდა.
მღელვარე მკერდი რა დაუმშვიდდა,
ასე ეუბნება ენქილუ გილგამეშს:
“ჰგავს, ერთადერთი ხარ დედისგან შობილი,
100 გალავნის ფურის, ნინსუნასაგან.
და მამრთა ზელა თავი აგიზიდავს,
ენლილს მოუცია ხალხზე მეუფება.”
აკოცეს ერთმანეთს და ძმობა შეჰფიცეს.

(ენქილუს შვილება ნინსუნასგან)

- დედასთან მიჰყავს გილგამეშს ენქილუ,
ფარების ფურთან მიჰყავს ენქილუ.
დაძრა ბაგე გილგამეშმა,
ასე ეუბნება დედას:
“ჰა, კაცი იგი, უდაბნოთ მოსული,
ძალღონით სავსეა იგი ამ ქვეყნად,
110 ანუს ლაშქარივით განმგვიცებულა.
სანთიობოს კარში გაღამიდვა,

შიგ შესვლა აღარ დამანება,
მოზვრებივით შევებით ერთმანეთს,
ზღურბლი შევარყიეთ, კელელი იძრა.
არა ჰყოლია ენქიდუს სწორფერი,
ველად დაიბადა, ტოლი არ ჰყოლია,
თმები ეზრდებოდა ვითარცა ნისაბას,
ველური მხეცების ძუძუ უწოვია,
ბალახი უძოვია ქურციკის ჯოგთან.
120 აჰა, მოვიყვანე იგი შენს წინაშე,
აჰა, სწორ ჰყავი შენი ძის მიმართ.”

მაშინ დაძრა ბაგე ნინსუნამ,
ასე ეუბნება თავის ძეს, გილგამეშს:
“შვილო, მეგობარი შეგიძენია,
არ მიგატოვებს იგი არასოდეს!”

მერმე მიუბრუნდა ენქიდუს ნინსუნა,
ასე ეუბნება გალაგნის ფური,
ასე მიუთხრობს სასურველ ამბავს;
“ძლიერო ენქიდუე, მე არ მიშობიხარ,
ჩემი წიაღის არ ხარ ნაშიერი.
130 ამიერიდან ამიყვანიხარ,
ჩემი ძისადმი შეწირულთ მიგათვლი, –
ქურუმ ქალებთან და ღვთისმხეველებთან.”

ქელბე ჩამოკიდეს ენქიდუს ნიშანი,
ქურუმმა ქალებმა ხელი ჩაჰკიდეს
და აღიდებდნენ ღვთიურნი ასულნი.

დაფა მესამე

(გილგამეში კედარის დაპყრობას განიზრახავს)

- 1 ნალველი ავსებს ენქიდუს შიგანს,
დადარდიანდა, გირილად დაჯდა,
ცრემლით ევსება თვალები ენქიდუს,
გული უღონდება და მწარედ ოხრავს.
მაშინ მიჰხედა ძმობილს გილგამეშმა,
ხელი ჩაჰკიდა, მხარზე მოეხვია.
“ცრემლებით თვალები რად აგვსებია,
რამ შეგიღონა გული, რად ოხრავ?”
ასე ეუბნება ენქიდუ გილგამეშს:
- 10 “ოხვრამ, მეგობარო, ყელი შემისუთა,
მკლავი მომიდუნდა, ძალ-ღონე მეღვევა.”

მაშინ დაძრა ბაგე გილგამეშმა,
ასე ეუბნება ენქიდუს:
“კედარის ტყეში მკვიდრობს ხუმბაბა,
წავიდეთ, მოვკლათ კედარის მცველი,
გავჩეხოთ მალნარი კედარისა,

- მიწის პირისაგან აღმოვეფხრათ ბოროტი,
ყოველი ბოროტი, რაიც სძულს შამაშს...”
დაძრა ბაგე ენქიღუმ,
20 ასე ეუბნება გილგამეშს:
“მთებში გადავეყრივარ ხუმბაბას, ძმობილო,
ოდეს დავყვებოდი გარეულ ჯოგებს.
ერთ ბერუს მანძილზე ტყეებს აზანზარებს,
ვის ძალუცს მის გულში შეღწევა?
ხუმბაბას ღრიალი – ხმა გრიგალისა,
ხუმბაბას პირი – პირი ცეცხლისა,
ხუმბაბას სუნთქვა – სუნთქვა სიკვდილისა,
რად განგიზრახავს ამგვარი საქმე,
უსწორო ომი, ხუმბაბას დამხობა?”
- 30 დაძრა ბაგე გილგამეშმა,
ასე ეუბნება ენქიღუს:
“მე მაინც ავალ მის მთიანეთში,
კედარის ტყეში მაინც შევალწევ.
ვნახავ ბილიკებს კედროვანისას,
სადაც ხუმბაბას სამყოფელია.
მე წინ გავიჭრები, შენ უკან მომღევდე,
დიდი ჩუგლუგები გვექნება ორივეს.”
- დაძრა ბაგე ენქიღუმ,
ასე ეუბნება გილგამეშს:
40 “როგორ შევალთ, გილგამეშ, კედარის ტყეში?”

კედარის მცველი მძლავრი მებრძოლია,
ხუმბაბა შამაშს განუმტკიცებია,
ადაღს მრისხანებით აღუესია,
და კედროვანის ხეთა დასაცავად
ხალხის დაშინება ენლილს მიუნდვია.”

დაძრა ბაგე გილგამეშმა,

ასე ეუბნება ენქიდუს:

“ვის აულწევია ცათამღი, ძმობილო?

50 მარტოღენ ღმერთები სუფევენ შამაშთან.

კაცთა ნათესავის ღლენი დათვლილია,
ოღენ ქარია ნალვაწი მისი.

ძმობილო, სიკვდილს დაუშინებხარ,
სიქველეს შენსას ძალი გამოსცლია!

შენს უწინარეს მე გავიჭრები,

უკან მომძახოდე: მიდი, ნუ გეშინის!

უკეთუ დავეცი, სახელს ღავიმკვიდრებ:

შეაკვდაო მეფე გილგამეში

კედარის ღარაჯს, მძვინვარე ხუმბაბას.

60 ჩემმა ნაშიერმა, ჩემს სახლში შობილმა,

როს გკითხოს, – გვამცნეო იგი ამბავი,

როგორ დაეცაო ქველი გილგამეში,

ჩემი წინაპარი, ძმობილი შენი, –

მაშინ მოიხსენებ სიქველეს ჩემსას.

ახლა მაგ უარით გულს ნუ დამიღონებ,

ხელს მე თვით აღემართავ,

კედროვანს დავამხობ,
მარადიულ სახელს დავიმკვიდრებ.
წამო, მეგობარო, მჭედლები დავსაქმოთ,
დაე, საჭურველი თვალწინ ჩამოგვისხან.”

- 70 წავიდნენ ერთად, მჭედლები დასაქმეს.
დასხდნენ ხელოსნები საქმის აღსრულებად:
თვალწინ ჩამოუსხეს დიდი ჩუგლუგები,
სამ-სამი ბილთუ წონის ნაჯახები.
დიდი სატევრები თვალწინ ჩამოუსხეს,
და მახვილები ორ-ორი ბილთუ.
ქარქაში მათი – მანა ოცდაათი,
ოქრო ოცდაათი – ვადის ვარაყი.
საჭურველი მოიღეს ორთავემ,
ათ-ათი ბილთუ თითოთ იგვირთა.
- 80 ურუქის ჭიშკარს, შვიდურდულიანს,
სასმენად მისა ერი მოაწყდა,
ხალხით აღვსილიყო ურუქის შუკები,
რათა ეხილათ ქველი ვილგამეში.
დაძრა ბაგე ვილგამეშმა,
ურუქის მოყმეებს ეუბნება:
“მისმინეთ, ურუქ-ფარების მოყმენო!
ურუქის მოყმენო, ბრძოლებში გაწვრთნილნო!
ვბედავ, მივდივარ შორეულ გზაზე, სადაც ხუმბაბაა,
ბრძოლას ვაპირებ, რომელიც არ ვუწყვი,

- 90 გზა დამილოცეთ, რომ წავიდე,
კვლავ თქვენი სახე მშვიდობით ვიხილო,
ურუქის კარიბჭეში გულმხიარული შემოვიდე,
დავბრუნდე და ახალწლის ზეიმი ორგზის გავმართო,
ახალწლის დღეები ორგზის ვიზიემო,
ფურ-ნინსუნას წინაშე დაფლავი ახმიანდეს!”
ენქიღუ უხუცესებს რჩევას აძლევს,
ურუქის მოყმეთ, ბრძოლებში გაწვრთნილებს:
“უთხარით, ნუ წავა კედარის ტყეში,
გზა იგი სავალი არ არის,
- 100 კაცი იგი სახილველი არ არის,
კედარის ტყის მცველი უბრძოლველია,
პირი მისი ცეცხლია, სუნთქვა მისი – სიკვდილი,
სამოც ბერუზე ესმის ტყის შრიალი,
ვინ არის მის ტყეში შემსვლელი?
პირველი ადადია, მეორე – თავად.
ვინ შეჰბედავს იგიგებს შორის?
ხელყოფისგან კედარის დასაცავად
ხალხის დამინებად განაწესა ენლილმა.
მის ტყეში შემსვლელს მუხლი ეკეცება.”
- 110 ურუქ-ფარეხის უხუცესნი
მოვიდნენ, დასხდნენ მის წინაშე.
და ასე ეგყოლა მათ გილგამეში:
“ისმინეთ, გალავნიან ურუქის უხუცესნო,
გალავნიან ურუქის ერნო, ისმინეთ!

ასე იტყვის მეფე გილგამეში:
მივდივარ, რათა ვიხილო იგი,
ვისი სახელიც ქვეყნებს აზანზარებს.
მე მას შევიპყრობ კელარის ტყეში,
ვითარ მძლავრია თესლი ურუქისა,
ვამცნობ მთელ ქვეყანას.
ხელს აღვმართავ და კელარს გავჩეხავ,
მარადიულ სახელს ღავიმკვიდრებ.”

ურუქ-ფარეხის უხუცესნი
გილგამეშს სიტყვას უბრუნებენ:
“ჯერეთ ჭაბუკი ხარ, გილგამემ,
გული გერჩის!
რას ეპირები, თავად არ უწყი.
გვსმენია, ხუმბაბა, უცხო ქმნილებათ,
ვინ გაუსწორდება მის იარაღს?
130 ერთ ბერუს სივრცეზე მალნარს აზანზარებს,
ვის ძალუცს მის გულში შელწევა?
ხუმბაბას ღრიალი – ხმა გრიგალისა,
ხუმბაბას პირი – პირი ცეცხლისა,
ხუმბაბას სუნთქვა – სუნთქვა სიკვდილისა.
რად განიმრახე ამგვარი საქმე,
უსწორო ომი, ხუმბაბას დამხობა?
სამოც ბერუმე ესმის ტყის შრიალი,
ვის შეუძლია მის გულში შელწევა?”

140 ყურად არ ილო მრჩეველთა სიგყვა,
თვალი მიაბრუნა, ძმობილს გაუღიმა,
და ასე ეგყვის გილგამეშ ენქილუს:
“თუნდაც გვეშინოდეს, უკან არ დავიხევთ,
წავალთ კედროვანში, ხუმბაბას მოგვკლავთ,
კედარს გავჩეხავთ, სახელს დავიმკვიდრებთ.
წამო, ძმობილო, ეგალმახს მივიდეთ,
ნინსუნას წინაშე, მაღალ დედოფლისა.
ბრძენია ნინსუნა, უწყის ყოველი,
ნაბიჯებს წრფელად წარგვიმართავს.”

150 ხელი ხელს ჩაჰკიდეს, მიდიან,
ეგალმახს მიდიან გილგამეში და ენქილუ,
ნინსუნთან, დიდ დედოფალთან.
ადგა და ეახლა ქალღმერთს, თავის დედას, გილგამეში,
და ასე ეგყვის გილგამეში ნინსუნს:
“ნინსუნ, გამიბედავს ამგვარი საქმე:
შორ გზას ვადგივარ, სადაც ხუმბაბაა,
ბრძოლას ვაპირებ, რომელიც არ ვუწყვი,
ლაშქრობად ვმხედრდები, რომელიც არ ვუწყვი.
გვედრები, დამლოცე, რომ წავიდე,
კვლავ შენი სახე მშვიდობით ვიხილო,
160 ურუქის კარიბჭეში გულმხიარული შემოვიდე,
დავბრუნდე და ახალწლის ზეიმი ორგზის გავმართო,
ახალწლის დღეები ორგზის ვიზეიმო,
შენს წინაშე დაფლავი ახმიანდეს!

ვიდრე მივდივარ, არ მოვბრუნებულვარ,
ვიდრე კედარის ტყეს მივალწევდე,
ვიდრე მძლავრ ხუმბაბას მოვაკვდინებდე,
ვიდრე აღმოვფხვრიდე მიწის პირისაგან
ყოველ ბოროტებას, შამაშის საქულველს, –
შამაშის წინაშე მეოხად მეყავ.”

(ნინსუნას თანადგომა)

- 170 ფურ ნინსუნს ემწარა გილგამეშის სიტყვები.
შვიდგზის შევიდა საბანელში,
სურნელოვან წყალში თავი განიბანა,
სამოსი ჩაიცვა სხეულის საშვენი,
ჩაიცვა ფარაგი, გულმკერდის საშვენი,
დაიდგა თავზე ბრწყინვალე გვირგვინი,
და წმიდა წყალი აპკურა მიწას.
აჰყვა საფეხურებს, ბანზე ავიდა,
ბანზე ავიდა და საკმეველი მიართვა შამაშს.
უკმია შამაშს საკმეველი და ხელნი აღაპყრო:
180 “რაკი მარგუნე შვილად გილგამეში,
დაუცხრომელი სული რად ჩაუდგი!
აწ შენ აღგიძრავს და მიემართება
შორეულ გზაზე, სადაც ხუმბაბაა,
პირისპირ დგება უცნობი ბრძოლის,
უცნობ ლაშქრობად ამხედრებულა.
ვიდრე მიდის და არ მობრუნებულა,

ვიდრე კედარის გყეს მიაღწევდეს,
ვიდრე მძლავრ ხუმბაბას მოაკვდინებდეს,
ვიდრე აღმოფხვრიდეს მიწის პირისაგან
190 ყოველ ბოროტებას, შენს საძულველს, –
იმ დღეს დაბრუნდეს, რომელსაც დაუთქვამ.
აიას შენი არ ეშინოდეს,
სძალი აია მარად გახსენებდეს,
ანლო გილგამეში ღამის მოღარაჯეთ,
ოდეს მიმწუხრისას ჩაესვენები.

[.]

კედარის გყეში გილგამეშის ლაშქრობისას,
დღე გახანგრძლივდეს, ღამე გახანმოკლდეს,
სარგყელი ერგყას, ფართედ აბიჯებდეს,
ღამით კარავი მზად ჰქონდეს საყოფელად,
200 ოდეს გილგამეშ-ენქიდუ და ხუმბაბა შეიბმებიან
მიუქროლე, შამამშ, ხუმბაბას დიდი ქარიშხლები,
ცამეტი ქარი აღიდრას, ხუმბაბას სახე დაუბნელონ,
და გილგამეშის იარაღი მისწვდეს ხუმბაბას,

[.]

დაე, ღმერთებმა, შენმა ძმებმა, ძღვენი მოგართვან,
აიამ, ღიღმა სძალმა, თავისი სუფთა კალთით
ოფლი მოგწმიდოს!”

ფური ნინსუნი შამამშის წინაშე სათხოვარს იმეორებს:
“შამამშ, გილგამეში არ არის ღმერთი, ერთი თქვენგანი?
შენთან ერთად ცას არ ინაწილებს?
მთვარესთან ერთად კვერთხს არ ინაწილებს?”

- 210 აფსუს ეასავით ბრძენი არ არის?
ირნინისთან ერთად შაეთავიან ხალხს არ განაგებს?
ნინგიშზილასთან ერთად უკანმოუქცეველ
ქვეყნად არ მკვიდრობს?”
[.....]

(გზის დალოცვა უხუცესთაგან)

- მაშინ მოუტანეს დიდი სატევარი,
მშვილდი და კაპარჭი ხელში ჩააბარეს,
ვეება მშვილდი ანშანის ქვეყნისა.
ხელში მოიმარჯვა დიდი ჩუგლუგი,
და სატევარი სარტყელში გაირჭო.
ვიდრე გავილოდნენ ურუქის ჭიშკარს,
ვიდრე შორეულ გზას დაადგებოდნენ,
220 გარს აწყდებოდა ურუქის ერი,
ჰკითხავდნენ: ურუქს როდის დაბრუნდები?
უხუცესობა ერთხმად აკურთხებდა,
და რჩევას ატანდა გზაზე გილგამეშს:
“მშვიდობით დაუბრუნდი ურუქის ყურეს.
ნუ დაენდობი საკუთარ ძალას,
თვალი გიჭრიდეს, თავი დაიცავ,
წინ მიმავალი თანამგზავრს იხსნის,
იცის ბილიკები, მეგობარს დაიფარავს,
ენქილუ მუდამ წინ მიგიძღოდეს:

- 230 გმებზე ნავალია, იცის მისადგომნი,
 და ყველა ხვეული ხუმბაბას ბილიკთა.
 ბრძოლის მნახველია, ომში გამოცდილი.
 ენქილუმ მეგობარი დაიცვას, თანამგზავრი იხსნას!
 მისი თავი მის ცოლებს დაუბრუნოს!
 დაე, აგისრულოს შამაშმა ნაგვრა,
 და შენგან თქმული თვალით გახილვინოს.
 შენთვის განამზადოს გმები გაუვალი,
 გათელოს გმები შენდა სავალად,
 შენთა ფერხთათვის შელეწოს მთები.
- 240 ღამემ მოგიგანოს ნანაგრი ამბავი,
 ლუგალბანდას მარჯვენა გფარავდეს,
 მხარში ამოგიდგეს შენდა გამარჯვებად.
 რა მოკლავ ხუმბაბას, ასე რომ ესწრაფვი,
 გახსოვდეს, ფერხნი განიბანე.
 ჟამს მიმწუხრისას ჭა ამოთხარე,
 ანკარა წყალი გედგას მათარაში,
 რათა მარადლე შამაშს უღვრიდე.
 ენქილუმ, ჩვენი კრებულიდან გაბარებთ მეფეს,
 დაგვიბრუნე, ჩაგვაბარე მეფე!”
- 250 მაშინ ღაძრა ბაგე ენქილუმ,
 ასე ეუბნება უხუცესთა კრებულს:
 “ეს მე ვარ, ენქილუ, ვინაც გილგამეშს
 მძლავრ ხუმბაბასკენ სალაშქროდ მიჰყვება!
 ვიდრე მიღის და არ მობრუნებულა,

ვიდრე კედარის გყეს მიაღწევდეს,
ვიდრე მძლავრ ხუმბაბას მოაკვდინებდეს,
თუნდაც თვე გავიდეს, – არ მივატოვებ,
თუნდ წელი გავიდეს, – არ მივატოვებ!
ახლა კი გაჰყევ შენს გზას, გილგამეშ!
260 ნუ შეგეშინდება, მცველად მიგულე:
მე ვუწყი ხუმბაბას ბინა-სამყოფელი,
ყველა ბილიკი, სადაც ის დადის.”

მაშინ დაძრა ბაგე გილგამეშმა,
ასე მიმართავს უხუცესთა კრებულს:
“იმედით მავსებს ძმობილი ჩემი,
ენქილუ, ჩემი თანამაგალი.
აწ კი ჭეშმარიტად გეცყვით, უხუცესნო:
აჰა, მივდივარ გულმხიარული.”

ოდეს მოისმინეს მისი ნათქვამი,
270 შორეულ გზაზე ასე გაისგუმრეს:
“გვალე, გილგამეშ, გზა მშვიდობისა!
ღვთაება შენი შენს გვერდით ვლიდეს,
და ნატვრას თვალით გახილვინებდეს,
შამაში ბოროტს აგაშორებდეს,
ნაბიჯებს ბრძნულად წარგიმართავდეს!”

დაფა მეოთხე

(მგზავრული სიმრები)

- 1 ოც ბერუს მანძილზე გაგეხეს პური,
ოცდაათ ბერუზე სათევი მოაწყვეს.
სამ ღღეში განვლეს თვენახევრის სავალი.
შამაშის წინაშე ჭა ამოთხარეს,
შესაწირავი ჩაყარეს ჭაში.
მერე გაემართნენ ღამის გასათეველ.
შუალამისას გაუგყდათ ძილი.
ადგა გილგამეში სიმმრის ასახსნელად
და ასე ეგყვის მეგობარს, ენქიდუს:
10 “ადექ, გაჰხელე მთათა მწვერვალებს!
ღვთისმიერი ძილი განმეშორა.
ძმობილო ჩემო, ვიხილე სიმმარი,
რაოდენ უცხო, მძიმე, საშინელი!
ვებულრავებოდი გარეულ ხარებს,
ხმელეთს არყევდა მათი ღმუილი,
ბული მიწიდან ცამდე აღიოდა,
ერთის წინაშე მუხლებზე ჩავიჩოქე,

შემიპყრო, მკლავში ჩამეჭიდა
და ღონემიხლილი მიწად დავეცი.
20 მერმე მოვიდა ვილაც, აღმადგინა,
წყალი შემასვა თავის მათარიდან.”

ამგვარად უხსნის ენქილუ სიმზარს:
“ღმერთი ყოფილა, ვინაც მიგვიძღვება,
და ხარი იგი ხარი არ ყოფილა!
ხარი რომ იხილე, მცველი შამაშია,
გაჭირვებაში ხელს გამოგვიწვდის.
ვინც წყალი გასვა თავის მათარიდან,
შენი საკუთარი ღვთაებაა,
ლუგალბანდაა შენი მწყალობელი.
30 იმგვარი საქმის გვიწევს აღსრულება,
რაიც ამ ქვეყნად ჯერ არ მომხდარა.”

ოც ბერუს მანძილზე გაგეხეს პური,
ოცდაათ ბერუზე სათევი მოაწყვეს.
შამაშის წინაშე ჭა ამოთხარეს,
შესაწირავი ჩაყარეს ჭაში.
მერე გაემართნენ ღამის გასათევად.
და ძილი, ღამის ნიაღვარი,
ღვარად მიეღვარა გილგამემს.
შუალამისას გაუგყდა ძილი
40 და ამგვარ სიმზარს უამბობს ენქილუს:
“ხომ არ მალვიძებდი? რაგომ გამელვიძა?

ენქილუ, მეგობარო, ვიხილე სიზმარი.
პირველ სიზმარზე შემზარავია
მეორედ მზანებული სიზმარი.
სიზმრად, ძმობილო, მთა მომიახლოვდა,
ძირს ღამცა, ფერხნი გამიკავა.
იმპლავრა შუქმა შემზარავმა
და მოყმე ვინმე თვალწინ მომეველინა,
მოყმე ამქვეყნად უმშვენიერესი.
50 გორაკის ძირთან მიმიყვანა,
წყალი მასვა და გულზე მომეშვა,
მიწას ღამადგინა ჩემივე ტერფებით.”

ასე ეუბნება ენქილუ გილგამეშს:
“წამო, მეგობარო, აზრი მოვიკრიბოთ.
უცხოა ყოველი მზანებული,
მხოლოდ მთა იგი არ არის უცხო.
ნუ შეგეშინდება, შიში განიშორე,
კეთილი ნიშანი გამოგიჩნდება:
60 მოყმე, ვინც იხილე, გმირი შამაშია,
ვისაც მიაპყარ მზერა შენი,
სხეული შენი ვინც იხსნა ჯადოსგან,
ის ივლის შენთან ყოველ გასაჭირში.
მთა, შენგან ხილული, არის ხუმბაბა.
შევიპყრობთ ხუმბაბას, მოვაკვდინებთ,
და მის გვამს ველად გადავაგდებთ.”

ოდეს განთიადმა მტრედისფრად ინათა,
კვლავ გზას გაუდგა ორი მეგობარი.
ოც ბერუს მანძილზე გატეხეს პური,
ოცდათ ბერუმე სათევი მოაწყვეს.
70 შამაშის წინაშე ჭა ამოთხარეს
და მიწაყრილზე შედგა გილგამეში,
შესაწირავი ჩაყარა ჭაში.
“მთაო, მოავლინე სიმმარი...”
და მთამ მოავლინა სიმმარი...
სწრაფად გადიქროლა გრილმა ნიავექარმა,
და გილგამეში მიწად მიაწვინა,
ხორბლის თავთავივით თავი დაუმიძიმა.
ნიკაპით დაეყრდნო მუხლის თავებზე.
და ღამის ღვარი – ძილი ჩაელვარა.
80 შუალამისას გაუტყდა ძილი,
ადგა, ეუბნება მეგობარს თვისას:
“ხომ არ მიხმობდი? რაგომ გამელვძიძა?
არ მომკარებინარ, რაღაგომ შევეკრთი?
ღმერთს არ ჩაუვლია? რაღამ გამაშეშა?
ძმობილო, ვიხილე მესამე სიმმარი,
სიმმარი იგი, რომელიც ვიხილე,
თავიდან ბოლომდე შემზარავია:
გრგვინავდა ზეცა, მიწა გუგუნებდა,
ღღე იღრუბლებოდა, წყვილიაღი დგებოდა,
90 ელავდა ელვა, ალი ენთებოდა,
ზრქელი ღრუბელი სიკვდილს აწვიმებდა.

ელვა რა გაქრა, ხანძარიც ჩაქრა,
და რაც ეცემოდა, ნაცრად იქცეოდა.
გავიღეთ ველად, აზრი მოვიკრიბოთ.”

ასე აუხსნა ენქილუმ სიმზარი:
“კეთილად ახდება შენი სიმზარი,
ნიშანი მისი კეთილად მოჩანს:
დავამხობთ ხუმბაბას, გავჩეხავთ კედარს,
და ბოროტს აღმოვფხვრით მიწის პირისგან.”

100 რა მიუახლოვდნენ ტევრის მისადგომებს,
ასე ეუბნება ენქილუ გილგამეშს:
“გაიხსენებდე ურუქში ნათქვამს,
დროა, აღსრულდეს იგი დანაქადი.
ქვეყანას ამცნე, რაზომ ძლიერი ხარ,
გილგამეშ, ურუქის ღირსო ნაშიერო!”
რა ესმა გილგამეშს ძმობილის სიბყვები,
გაუხალისდა იმედით გული.

მძვინვარე ხარივით თავი რა აღმართა,
ერთი იყვირა მთელი ხმით ხუმბაბამ,
110 შორიდან ყვირის ბყეთა მოღარაჯე.
მეორედ იყვირა მთელი ხმით ხუმბაბამ.
ხუმბაბა – ხმა მისი გრიგალი.
მესამედ იყვირა მთელი ხმით ხუმბაბამ...
მაშინ განახენა ენქილუმ ბაგენი, ამეცყველდა,

ასე ეუბნება გილგამეშს:

“ტყის გულში ნუ შევალო, ძმობილო ჩემო,
გული შემიღონდა, მკლავეები მომერღვა.”

მაშინ გილგამეშმა განახვინა ბაგენი, ამეცხველდა,

ასე ეუბნება ენქილუს:

120 “ენქილუს, გული რამ შეგიღონა?

ხომ გაგივლია ბევრი განსაცდელი,
გამოცდილი ხარ მრავალ ბრძოლაში!
სამოსელს ჩემსას რა შეეხები,
მყისვე დაგტოვებს სიკვდილის შიში.
ლომის ხმას ბაძავდეს შენი ხმიანება,
თითქოს დაფლაფზე ვცემდეთ ყიჟინას,
გული აგეხება ბრძოლის სურვილით,
განრღვეულ მკლავეებში ძალა აღვიდგება.

130 აღდეგ, მეგობარო, ერთად შევიდეთ,
მომყევი, სიკვდილს ნულარ ახსენებ,
სიფხიბლე მართებს გულად მებრძოლსაც,
უფრორე ფრთხილობს წინ მიმავალი,
რომ დაიფაროს თავის თანამგზავრი.
ომში დაცემულნი დიდებას იხვეჭენ.”

ასე მიადგნენ გორაკს ამწვანებულს,
დადუმდნენ, შედგა ორი მეგობარი.

დაფა მეხუთე

(კედარის ტყეში)

- 1 დგანან და მალნარს შესტყერიან,
აკვირდებიან კედარის წვეროკინს,
აკვირდებიან ტყეში შესასვლელს.
ხუმბაბას ნავალზე კვალი დაჩენილა,
გბები გამართულა კეთილსავალი.
ხელავენ გორაკს კედროვანისას,
ირნინის საყდარს – ღვთაებრივ სამყოფელს.
კედარს სიუხვე მათ წინ აღუმართავს:
ჩრდილი აქვს კეთილი, შვებით აღსავსე.
- 10 იმრდება ეკლნარი, იმრდება ბუჩქნარი,
კედარს უსურვაში გარს შემოხვევია.

ერთ ბერუს მანძილზე შევიდნენ ტყეში.
და რა გაიარეს ორი მესამელი,
ცული იმარჯვა ხელში გილგამეშმა
და ერთი კედარი წამოაქცია.
ოდეს მოესმა ხმა იგი ხუმბაბას,

განრისხდა ხუმბაბა, მთელი ხმით ყვირის:
“ჩემს კელროვანში ვინ შემოსულა!
ხე ვინ შეურაცხყო ჩემს მთებში გაზრდილი?
20 კელარი ჩემი ვინ წამოაქცია?”

ხუმბაბას ღრიალი – ხმა გრიგალისა,
ხუმბაბას პირი – პირი ცეცხლისა,
ხუმბაბას სუნთქვა – სუნთქვა სიკვდილისა.
შვიდმაგი პერანგი მოსავს ხუმბაბას,
შვიდმაგი ელვით ელავს ხუმბაბა,
შვიდმაგი ელვა ანათებს კელროვანს.

ასე ეუბნება გილგამეში ენქიდუს:
“ქმობილო, უკეთუ შევევებით ხუმბაბას,
ელვა გაქრება ამ კორიანტელში,
30 ელვა გაქრება, სინათლე ჩაქრება.”
ასე ეუბნება ენქიდუ გილგამეშს:
“ქმობილო ჩემო, შეიპყარ ფრინველი,
სად გაგექცევიან ბარგყები მისი?
მერმე მოვიძიოთ ელვის ნაპერწკლები,
ბარგყებივით რომ იფანტებიან.”

ცრემლი ეღვრება თვალთაგან გილგამეშს,
ასე ევეღრება მეციერ შამაშს:
“შენ აღმძარ, შამაშ, და მეც გავემართე
შორეულ გზაზე, სადაც ხუმბაბაა,

- 40 პირისპირ ვლგავარ უცნობი ბრძოლის.
დღემ მოაწია ურუქში დათქმულმა:
მომაკვლევინე მძლავრი ხუმბაბა,
რათა ამოვძირკვო მიწის პირისაგან
ყოველი ბოროტი, შენი საბუღველი.
ახლა შემეწიე, ჰე, გმირო შამაშ,
ახლა დაგვიფარე ხუმბაბას რისხვისგან.”
შამაშმა შეისმინა გილგამეშის ვედრება,
მაღლით ჩამოსძახის ზეციური შამაში:
“მიუახლოვდით, ნუ შეშინდებით,
50 მიჰყევით, ვიღრე ბინად შევიდოდეს.
შვიდკეც პერანგში იგი იმოსება,
ერთი ჩაუცვამს, ექვსი დარჩენია.”

- აუშვა შამაშმა მძაფრი ქარები,
რვა ქარი უბერავს ხუმბაბას ირგვლივ,
ქარნი უბერავენ ხუმბაბას თვალებს,
ზურგში უბერავენ ხუმბაბას ქარები,
და მას არ ძალუცს წინ წაწევა,
და არც გაბრუნება უკან არ ძალუცს.
მაშინ კი დაცხრა მრისხანე ხუმბაბა,
60 ასე ევედრება მეფე გილგამეშს:
“გამიშვი, გილგამეშ, ბატონად მეყავ.
და მე ვიქნები მსახური შენი.
კვლარის ხეები ხარკად მომიძღვნია,

კედარის ხეები, ჩემს ტყეში გაზრდილი.
კედარს მოგიჭრი, სახლებს აგიგებს...”

დაძრა ბაგე ენქიღუმ, ასე ეუბნება გილგამეშს:

“ხუმბაბას სიტყვას ნუ დაუჯერებ,
ხუმბაბას ცოცხლად ნუ დასტოვებ.
ხუმბაბას თუ არ მოაკვდინებ,

- 70 ურუქ-ქალაქში ველარ დაბრუნდები.”
შეესმა გილგამეშს მეგობრის სიტყვა,
მარჯვენა ხელში ნაჯახი იმარჯვა,
და ქელზე დასცა იგი ხუმბაბას,
შემდეგ ენქიღუმ, მისმა მეგობარმა.
მესამე დარტყმაზე დაეცა ხუმბაბა,
დადუმდა ხუმბაბა ცნობამიხდილი.
ხუმბაბა, მცველი, რა მიწად დასცეს,
ორ ბერუს სივრცეზე შეირხა კედარი.
მასთანვე დასცა კედარი ენქიღუმ,
80 ხმაური მისწვდა ხერმონს და ლიბანს,
შემდეგ დამშვიდდა მთელი მთიანეთი,
დამშვიდდა ყველა მთაგრეხილი.

მოიღეს ბაღე ვრცელზე უვრცელესი,
ჩამოხსნეს რვა გუ წონის სატევარი,
და სხვა საჭურველი იმავე წონისა.
გახსნეს იღუმალი ბინა ანუნაქთა.

წამოაქცევდა ხეებს გილგამეში,
ტოტებს კი ენქილუ კაფავდა.
ასე ეუბნება ენქილუ გილგამეშს:
90 “გილგამეშ, გავჩეხეთ კედარის ტვერი,
ახლა კი გავიდოთ მსრებზე ნამორები
და გავაგანოთ ევფრატის დინებას.
შამაშის წინაშე წყალი დავღვაროთ.”

შუბზე ააგეს ხუმბაბას თავი,
და ძღვნად მიართვეს ზეციერ შამაშს.

დაფა მეექვსე

(იშთარის შეგინება)

- 1 და რა იშრომეს, წვირი განიშორეს,
უხვი ვარჯებით მხრები განიშვენეს.
ყრია წარწყმედილი, ჰმოსავთ განწყმედილი,
რიღე მოუსხამთ, ბალთები შეუკრავთ..
ოდეს დაიდგამს გვირგვინს გილგამეში,
მაღალი იშთარი ვნებით გადმოჰხედავს
და თვალს დაადგამს მშვენებას მისას.
“მოდო გილგამეშ, მეუღლედ მეყავ!
მე მომიძღვენი ნაყოფი შენი!
- 10 შენ ქმარი იყავ, მე ცოლი ვიქნები.
ოქროს და ლილაქვის ეგლს ავაგებინებ,
ბორბლებად – ოქრო, ხელნებად – თითბერი.
ეგლში შეგიკაბმავ ქარიშხლის რაშებს.
შემო ჩვენს სახლში, კედარის სურნელში!
და ჩვენს სასახლეში შენი შემოსვლისას,
ფერხთ დაგიკოცნიან ზღურბლი და გახცი.
და შენს წინაშე მუხლებს მოიყრიან

თავად ხელმწიფენი, ზეპურნი მთავარნი.
ხარკად მოგიძღვნიან ნაყოფს მთა-ბარისას,
20 თხის არვე შენი სამ-სამად გიშობს,
მარჩბივად გიშობენ ცხოვარნი.
ვირი ღაგვირთული ჯორს წამოეწევა,
ეკლის ცხენები სრბოლით განითქმიან,
შენს უღლის ხარებს ცოლს ვინ მოუქებნის?!
დაძრა ბაგე გილგამეშმა, იგყვის,
ასე ეუბნება დიდებულ იშთარს:
“რა ძალმიცს მოცემად, უკეთუ გითხოვე?
უხვად გაქვს სხეულის ზეთი და სამოსი,
უხვად გაქვს პური და საზრდელი,
30 ჭამადი, ღვთაებათა საშეენი,
სასმელი, მეუფეთა საშეენი,
მე წმიდა ხორბლით აგივსებ ბელღებს,
ძვირფასი სამოსით კერპებს შეგიმოსავ,
მაგრამ ცოლად კი ვერ წაგიყვან.
ვის დაიფარავ ქარში და ავღარში?
ღრიჭე კარი ხარ, ქარის ვერღამჭერი,
სასახლე – მამრთა დამღუპველი,
ხარო ხარ, მზაკვრულად გათხრილი,
კუპრი – დამსვრელი მისი მზიდველის,
40 ტიკი – დამსველებელი მისი მზიდველის,
კირქვა ხარ, ზღუდით მონაშალი,
შანა, უცხოეთში ვერმფარავი,
ხამლნი, პაგრონის ფერხთა მკბენელნი.

რომელი მწყემსი გიყვარდა მარად?
რომელი მწყემსი, რომ სათნო ეყავ?
აჰა, საყვარლებს შენსას ჩამოგითვლი:
თამუშს, საყვარელს შენი სიყრმისას,
წლიდან წლამდე გლოვა გადუწყვიტე.
ერთხელ ფრინველი ჭრელი შეგიყვარდა,
50 შეეხე, ფრთენი დაულეწე,
“ჩემი ფრთები!” – გაჰყვირის ტყეებში.
სრულძალოვანი ლომი შეგიყვარდა,
შვიდი და შვიდი ხარო გაუთხარე.
გიყვარდა ცხენი, ომში დიდებული,
დებები, აღვირი, შოლგი გადუწყვიტე,
შვიდ ბერუმე ჭენება გადუწყვიტე,
გაოფლილს წყლის სმა გადუწყვიტე,
დედამისს, ღვთაებრივ სილილის,
გლოვა გადუწყვიტე.
60 მწყემსი თხის არვეთა გიყვარდა,
მარად რომ გიცხოვდა ნაცარში ჰურებს,
მარადლე თიკნებს რომ გიკლავდა,
შეეხე, მგლად გადააქციე,
ელევნებოდნენ მისივე ბიჭები
და მისივე ძალები თეძოებს უგლეჯდნენ.
იშულანუ, მამაშენის მებაღე გიყვარდა,
მარადლე ფინიკის ნაყოფს რომ გიძღვნიდა,
მარადლე ტაბლას რომ გიმკობდა.
თვალი დაადგი და ვნებით აღივსე:

70 ვიგემოთ ძალი შენი, იშულანუ!
ხოლო გეცოდა შენ იშულანუ:
დედა თუ არ მიცხობს, სხვა პურს ვერ შევჭამ,
პური ვით ვიგემო ავი და ბინძური?
ყინვაში ლერწამი ვის დაიფარავს?
ოღეს მოისმინე ნათქვამი მისი,
შეეხე, ობობად აქციე,
წისქვილის ბორბალში დაასახლე,
მაღლა ვერ ადის, ვერც დაბლა ეშვება.
თუ შემიყვარე, მსგავსად მომექცევი.”

(ქალღმერთის რისხვა)

80 რა გაიგონა ეს იშთარმა,
განრისხდა იშთარი, ბეცად აიწია.
წარუდგა იშთარი მამამისს, ანუს,
ანთუს, დედამისს, წარუდგა იშთარი.
“მამავ, შეურაცხმყო გილგამეშმა,
გილგამეშმა გამიხსენა ჩემი სიავენი,
ჩემი სიავენი და მწიკულებანი.”
დაძრა ბაგენი ანუმ, ამეცყველდა,
ასე ეუბნება დიდებულ იშთარს:
“ჭეშმარიტად შენ გამოიწვევდი,
90 და გილგამეშმა გავიხსენა შენი სიავენი,
შენი სიავენი და მწიკულებანი.”

განახვანა იშთარმა ბაგენი, ამეცყველდა,
ასე ეუბნება მამამისს, ანუს:
“მამავ, შემიქმენ ზეციერი მოზვერი,
გილგამეში, დაე, მოაკვდინოს.
და თუ ზეციერ მოზვერს არ შემიქმნი,
შევლეწავ ბჭეებს ქვესკნელისას,
და ახალ წესებს დავამყარებ:
მკვდრებს ამოვიყვან ცოცხლების შემჭმელთ,
100 და მკვდრები ცოცხალთ აღემაგებიან.”

ანუმ დაძრა ბაგე, ამეცყველდა,
ასე ეუბნება დიდებულ იშთარს:
“თუ შეგისრულე, რასაც შენ მოითხოვ,
შვიდ წელიწადს ბზე მოვა ფუტურო,
ხალხისთვის ხორბალი თუ დააგროვე?
თუ აღმოაცენე ჯოგისთვის ბალახი?”
დაძრა ბაგე იშთარმა, ამეცყველდა,
ასე ეუბნება მამამისს, ანუს:
110 “ჯოგისთვის ბალახი აღმოვაცენე.
თუ შვიდ წელიწადს ბზე მოვა ფუტურო,
ხალხისთვის ხორბალი მოგროვილი მაქვს,
ბალახი, ჯოგისთვის აღმოცენებული.”

(ცის ხარი)

- რა ესმა ანუს ნათქვამი მისი,
თხოვნა აღუსრულა დიდებულ იშთარს.
ბეციერი მოზვერი ურუქს ჩამოგზავნა,
მოადგა ევფრაგს ბეციერი მოზვერი.
მოზვერის სუნთქვაზე გაიპო მიწა,
ასი ურუქელი ნაპრალში ჩავარდა.
- 120 მეორე სუნთქვაზე გაიპო მიწა,
ორასი ურუქელი ნაპრალში ჩავარდა.
მესამე სუნთქვაზე გაიპო მიწა,
ენქილუ ჩავარდა ნაპრალის გულში.
ამოხტა ენქილუ, რქებში მოეჭიდა,
დორბლი მიაშხეფა მოზვერმა სახეში
და მიუცყლაშუნა სიბრქე კულისა.
- დაძრა ბაგე ენქილუმ, ამეცყველდა,
ასე ეუბნება გილგამეშს:
“ბევრგან ვისახელეთ, მოყვასო, თავი,
130 აწ როგორ ვძლიოთ ბეციერ მოზვერს?”
“ძმობილო, მივუხვდი ხრიკებს მოზვერისას,
ჩვენ ძალგვიცს მისი მოკვდინება.
ამოვგლეჯ გულს და შამაშს მივართმევ,
ხელოსნებს მოვუხმობ – რქები შეუფასონ.
ბეთით სავსე რქებს ლუგალბანდას მივართმევ.
თუ ხარი მეძგერა, კულზე მოეჭიდე,

- მე კი რქებს შუა ვუგმირავ მახვილს.”
 მისღევს ენქილუ მეციერ მოზვერს
 და ეჭიდება კულის სიზრქეში.
- 140 მაშინ მოიხელთა ქამი გილგამეშმა –
 რქებს შუა უგმირა მახვილი.
 რა მოკლეს მოზვერი, გული ამოგლიჯეს
 და დაღვეს იგი შამამის წინაშე.
 უკან დაიხიეს, შამამს დაუჩოქეს
 და შემდეგ დაჯდა ორი მეგობარი.
 ავიდა იშთარი ურუქის ბლუღებზე,
 ქონგურზე შედგა, წყევლა გადმოღვარა:
 “ვაი, გილგამეშს, რომ შეურაცხყო,
 მომიკლა მეციერი მოზვერი!”
- 150 რა ესმა ენქილუს იშთარის სიგყვები,
 ხარს ბეჭი მოჰგლიჯა, წინ დაუგლო:
 “ნეგავ შემეძლოს შენი შეპყრობა,
 ჭეშმარიტად მას დაგამსგავსებდი,
 გადაგკიდებდი მხრებზე მის ნაწლავებს!”
- იხმო იშთარმა შეწირული ასულნი,
 იხმო შამხათები და ხარიმათები,
 და ხარის ბეჭზე გლოვა წამოიწყო.
 ხოლო გილგამეშმა ხელოსნებს უხმო,
 მესაჭურჭლენი შეკრიბა ყველა.
- 160 სიზრქეს რქებისას აქებენ ოსტაგნი:
 “ოცდაათი მანა მათი საფირონი,

ვარაყი – სიმრქე ორი თითისა.
ექვეს გურ ზეთს დაიგვეს ყანწი თითეული.”
სანელსაცხებლედ უძღვნის გილგამეში
დიდ ლუგალბანდას, თავის ღვთაებას,
და მის ბრწყინვალე სადგომში დაჰკიდებს.

170 ეფვრაგის წყალში ხელი განიბანეს
და უკუმოიქცნენ ხელჩაკიდებულნი –
ასე ვიდოდნენ ურუქის შუკებში.
მათ მზერად შეკრბა მთელი ურუქი.
ურუქელ ასულთ, მეჩანგე ქალებს,
ასე უყიოდა გილგამეში:
“ვინ არის ბრწყინვალე მოყმეთა შორის?
ვინ არის ქებული მამაცთა შორის?”
ასე პასუხობდნენ მეჩანგე ასულნი:
“გილგამემ ბრწყინვალეა მოყმეთა შორის!
ენქილუ ქებულ არს მამაცთა შორის!”

180 სასახლეში გამართა ღვინი გილგამეშმა.
ეძინათ მოყმეთ, საწოლში მწოლარეთ,
ეძინა ენქილუს: ხედავდა სიმზარს.
და აღდგა ენქილუ სიმზრის ასახსნელად,
ასე ეუბნება მეგობარს:
“მეგობარო, რას ბჭობენ დიდი ღმერთები?”

დაფა მეშვიდე

(ენჭიღუს ვნებანი)

- 1 ისმინე, მეგობარო, წუხანდელი სიზმარი:
კრებულად ისხდნენ დიდი ღმერთები,
ანუ, ენლილი, ეა და შამაში.
ასე მიმართავდა ანუ გმირ ენლილს:
რამეთუ მოკლეს ზეციერი ხარი,
მოკლეს ხუმბაბა, კელროვანის მკვიდრი,
ერთი მათგანი, ვინც კედარს კოდავდა,
უნდა მოკვდინებულ იქნას.
- ენლილი იტყვის: “მოკვდეს ენჭიღუ!
10 ხოლო გილგამეში არ უნდა მოკვდეს!”
მაშინ მიუბრუნდა შამაში გმირ ენლილს:
“განა არ მოკლეს შენივე ბრძანებით
ხუმბაბა და ზეციერი მოზვერი?
რად უნდა მოკვდეს უცოდველი ენჭიღუ?”
რისხვით მიუბრუნდა შამაშს ენლილი:
“შენ თავად მსგავსი ხარ ერთი მათგანისა,
რაკი ღლე ცისმარე დადიხარ მათთან!”

- გილგამეშის წინ იწვა ენქილუ,
ღვარად სდიოდა გილგამეშს ცრემლი:
- 20 “ტკბილო მეგობარო, შენს წილ გამამართლეს!
ნუთუ მომელის მკვდრის სულთან ჯდომა,
სიკვდილის სულის ბჭეთა წინაშე?
ნუთუ ჩემს ძმობილს ველარ ვიხილავ?”
განახვანა ბაგენი ენქილუმ, ამეცყველდა,
ასე ეუბნება გილგამეშს:
“მეგობარო, საქმენი ჩვენი გავისხენოთ,
რაიც ჩავიდინეთ შამაშის რჩევით.
კედარის ხისგან კარი გამოვთაღეთ,
მის გამო შემემთხვა სენი უკურნელი.”
- 30 თვალნი მე აღაპყრო სნეულმა ენქილუმ,
კარს ესიციყვება ვითარცა სულიერს:
“ჰოი, უსულგულო კარო ხისათ,
არ გაგაჩნია შესმენის ნიჭი –
ოც ბერუს მანძილზე ხე გამოგიძებნე,
გამოგიჩიე მაღალი კედარი.
შენს ფიცრებს ამ ქვეყნად ტოლი არ უღევთ,
ექვსი გარია შენი სიმაღლე,
და ორი გარი სიგანე შენი.
შეგქმენ, წამოგიღე, ნიპურში გაკურთხე,
- 40 ღირსი ურდულებით ფრთები დაგიმშვენე.
მცოდნოდა, კარო, ეს დღე ბედკრული,
და საზღაური ჩემი შრომისა,

ნაჯახს აღვმართავდი, მოვჭრიდი ლელიანს,
ლერწმით შეგიკრავდი წყეულ კარედებს.
დაე, წაგიღოს უცხოთა მეფემ,
დაე, ამოშალოს სახელი ჩემი,
ჩემს წილ სახელი თვისი ამოკვეთოს!”

- რა შემოესმა ნათქვამი ესე,
მყის მწარედ აგირდა;
- 50 რა ესმა გილგამემს ენქიდუს ნათქვამი,
მყისვე თვალთაგან ცრემლი დაედინა.
დაძრა ბაგე გილგამეშმა, ამეგყველდა,
ასე ეუბნება ენქიდუს:
“უცნაურს რად ამბობ გალაგნიან ურუქში,
ბრძენკაცო, უცნაურს გული რად გიზრახავს?
კეთილ არს სიმზარი, თუმც შიში მოაქვს,
კაცს შიში იგი ხესავით აშრობს.
კეთილი სიმზარიც შიშის მომგანია,
სიმზარი ცოცხალს ანადვლიანებს,
- 60 ცოცხალს მწუხარება წილად ხვდომია,
აწ მე ვილოცებ ღმერთების მიმართ,
ღვთაებას შენსას მე შევევეღრები,
ვინძლო შეგიწყალოს ღმერთების მამამ,
ვინძლო გულმოწყალე გექმნეს ენლილი,
ურიცხვი ოქროთი შევეუმკობ ქანდაკს.”
ასე ეუბნება გილგამემს ენქიდუ:
“ფუჭად დახარჯავ, ძმობილო, ოქროს,

ღმერთების სიკცვა გარღუვალია,
მოკვდავთა ნათქვამს იგი არა ჰგავს.
70 სიკცვა, გამოსული მათ ბაგეთაგან,
არ შებრუნდება, გარღუვალია.
ნაყარი წილი არ შებრუნდება.
ძმავ, გადამიწყდა იგი ბედისწერა,
მოკვდავს რაც ეწვეა აღრე თუ გვიან.”

თავი აღაპყრო სნეულმა ენქიდუმ,
მზერა მიაპყრო შამაშის ძალას,
შამაშის წინაშე ეღვრება ცრემლები.
ასე ევეღრება ენქიდუ შამაშს:
“ღოვლათი დაუესე წყეულ მონადირეს,
80 მკლავი მოუღუნე, მზერა დაუშრიგე,
გზა-კვავი აებნას შენს წინ მონადირეს,
თვალწინ გაურბოდეს ნანაგრი ნადირი,
სურვილს ვერ ეწიოს მონადირე!”
გული მიუწვევს შამხათის წყეველად:
“აწ მოდი, შამხათ, ბედს გადაგიწყვეტ,
სამარადისოდ რომ არ შეწყდება,
საშინელი წყეველით დაგწყეველი,
და წყეველა იგი სწრაფად მიგხვდება:
საგრფომ აღერსი შენი მოიძულოს,
90 დაე, შეგიყვარდეს შენივე ნაყოფი,
მონა ქალების ბედი შეგშურდეს!
სახლში დაგისვაროს ეზოს საქონელმა,

თავად ისვრებოდე შენსავ განავალში.
მეკეცის ქურასთან ძალღვივით თბებოდე.
გმის პირი იყოს შენი სამყოფელი
და ზღუდის ჩრდილი სადგომად გექმნეს.
შენს ფერხთა წინაშე შარდავდეს კაცი,
მთვრალი და ფხიბელი სახეში გცემდეს,
უშვერი სიგყვით სახელს გიხსენებდნენ,
100 რამეთუ მაცდური საფრხე დამიგე,
უკურნებელი სენი შემაძმთხვიე.”

მოესმა შამაშს მისი ნათქვამი
და ჩამოსძახა შორეულ ბეცით:
“რად შეაჩვენებ შამხათს, ენქიდუე,
ვინაც ღვთაების ღირსად დაგაკურა,
ვინც ღვინო გასვა მეფეთა საშვენი,
ვინაც ღიღებული სამოსით შეგმოსა,
გილგამეშ ქველი მოგცა თანამგზავრად.
110 ახლა გილგამეში, ღვიძლი მეგობარი,
განგასვენებს ღიღებულ საწოლზე,
ღირსეულ საწოლზე განგასვენებს.
დაგავანებს შვების სამყოფელში,
სამყოფელში მარცხენა მხარისა.
მიწის მთავარნი ფერხთ დაგიკონნიან,
შენთვის ააგირებს ერს ურუქისას,
ღირსეულ გლოვას გაგიმართავს,
და ღვთის მხევალნი წესებს აგიგებენ.

თავად შენს შემდგომად განს აღარ განიბანს,
ლომის ცყავს ჩაიცვამს ველად მთარული.”

- 120 რა ესმა ენქილუს გმირი შამაშისა,
მყისვე დაუცხრა მრისხანე გული.
და რა დაუცხრა მძვინვარე გული,
და რა შეინანა ენქილუმ წყევა,
დაძრა ბაგე, ამეცყველდა:
“მოდი, შამხათ, ბედს გადაგიწყვეტ,
ჩემმა ბაგემ რომ დაგწყველა, ახლა დაგლოცავს:
დაე, საყვარელი შენი დაგიბრუნდეს,
დაე, სანაგრელს გულისას ეწიო,
დაე, უყვარდე მეფეთ და დიდებულთ,
130 დაე, გეშოროს შეურაცხმყოფელი.
ბერი შენს ხილვაზე წვერებს შეარხევდეს,
ჭაბუკი სარცყელს შეიხსნიდეს.
დაე, მოგართმევდნენ ოქროს და საფირონს.
დაე, შემგინებელს მიეზღოს სასჯელი,
კერა დაეშრიგოს, ბელელი დაევისოს.
ღმერთების წინაშე შეჰყავდე ქურუმს.
შენი გროფობისათვის ცოლი დაუტევონ,
თუნდ იყოს დედა შვილი შვილისა.”

(შავეთში)

- წევს სარეცელზე სნეული ენქიდუ,
140 წევს სარეცელზე სრულიად მარგო.
დილით გაანდო მეგობარს სატკივარი:
“მეგობარო, წუხელ სიმზარი ვიხილე,
გრგვინავდა ზეცა, მიწა ბანს აძლევდა,
ვიდექი მარგო ამ ხმაურში.
ბნელსახიანი გამოჩნდა კაცი,
პირისახით ანზუს მსგავსი იყო,
ხელები მისი – თათები ლომისა,
განთ ესხა ფრთები არწივისა,
ფრჩხილებად არწივისვე კლანჭები.
თმებში ჩამეჭვიდა, დამძლია.
- 150 სამოსი ჩემი განს შემომამარცვა
და ასე შიშვლად ჩამძირა უფსკრულს.
თვისი სხეულის ორეულად მაქცია,
მხრები დამიფარა ფრინველის ნაკრტენით.
შემიპყრო, შავეთს ჩამიყვანა,
წყვდიადის სახლში, ირქალას ბინად,
სახლში, სად შემსვლელი უკან ვერ ბრუნდება,
სახლში, სად მკვიდრთა შუქი წართმევიათ,
მგვერი აქვთ სასმელად, საჭმელად – თიხა,
მოსავთ ფრთოსანთა ნაკრტენის სამოსი
- 160 და ნათელს ვერ ჭვრეგენ წყვდიადის მკვიდრნი.
მგვერი აფენია კარებს და ურღულებს.

და მტვერის სახლში, სადაც მე შევედი,
დამხვდნენ მეფენი გვირგვინმოხდილნი,
და გვირგვინოსანნი, ვინაც განაგებდნენ
ცოცხალთა ქვეყნებს გარდასულ დღეებში,
ვინაც ანუს და ენლილის წინაშე
შემწვარი ხორციით აწყობდნენ სუფრას,
სამსხვერპლო პურებით გაბლას ამკობდნენ,
და მსხვერპლად ანკარა წყალს უღვრიდნენ.

- 170 და მტვერის სახლში, სადაც მე შევედი,
მკვიდრობს ქურუმი და მგალობელი,
მკვიდრობს ქადაგი და შემლოცველი,
მკვიდრობენ საღმრთო ჭურჭლებზე მზრუნველნი,
მკვიდრობს ეთანა, მკვიდრობს სუმუკანი,
მკვიდრობს ქვესკნელის დედოფალი ერეშქიგალი,
და ბელით-ცერის, ქვესკნელის მწერალს,
მუხლი მოუყრია დედოფლის წინაშე.
ხელთ უპყრავ დაფა და აღმოიკითხავეს.
თავი რა აღაპყრო, მე დამინახა,
180 მშერა მომაპყრო, მშერა სიკვდილისა:
“ბედს მოუგვრია ეს კაცი ჩემთან...”
აჰა, ძმობილო, სიზმარი ჩემი.”

(სასიკვდილო სარეცელი)

- რა ღღესაც სიზმარი იხილა,
ღღე იგი მწუხრად მიიწურა.
წევს ენქიღუ ერთ ღღეს, მეორე ღღეს,
სარეცელზე მძიმდება სენი.
წევს ენქიღუ მესამე ღღეს, მეოთხე ღღეს,
სარეცელზე მძიმდება სენი.
190 წევს ენქიღუ მეხუთე ღღეს, მეექვსე ღღეს,
სარეცელზე მძიმდება სენი.
წევს ენქიღუ მეშვიდე ღღეს, მერვე ღღეს,
სარეცელზე მძიმდება სენი.
წევს ენქიღუ მეცხრე ღღეს, მათე ღღეს,
სარეცელზე მძიმდება სენი.
წევს ენქიღუ მეთერთმეტე ღღეს, მეთორმეტე ღღეს,
სარეცელზე მძიმდება სენი.
კვლავ წევს ენქიღუ თავის სარეცელზე,
და ბოლოს უხმობს გილგამეშს, ძმობილს:
200 “ძმობილო, ენლილს დავუწყევლივარ,
არ ვკვლები ომში დაცემულთა დარად,
რამეთუ ბრძოლის მუღამ მეშინოდა.
ვინც ომში მოკვდა, კურთხეულია,
მე კი სარეცელზე სიკვდილი მელის.”

დაფა მერვე

(ენქილუს გლოვა)

- 1 ოდეს განთიადმა მგრედისფრად ინათა,
ამგვარად იგლოვდა ძმობილს გილგამეში:
“ენქილუ, დედას – ქურციკს უშობიხარ,
და მამას – კანჯარს, ველად მოარულს.
ველური ვირები რძეს გაწოვებდნენ,
შენ გზრდიდა ყველა კუდლამშვენებული,
ველური ჯოგი ყველა საძოვრისა!
ენქილუ, გიგირონ კედარის ბილიკთა,
დღედაღამ გიგირონ შეუსვენებლივ!
გიგირონ უხუცესთა ფართო ურუქისა,
10 გიგიროს ყველამ, ვინც კი გვლოცაება!
გიგირონ მწვერვალთა ტყიანი მთებისა!
სადაც მე და შენ ერთად ავდიოდით!
მთქვამდნენ საძოვრები, ვითარცა დედა,
ფისით ცრემლოდნენ კედარის ხენი,
რომელთა შორის რისხვით გაგვიარეთ!

გიგიროს დათვმა, ჯიქმა და აფთარმა,
 ვეფხმა და ლომმა, ჯიხვმა და ირემმა,
 ქურციკმა, ხარმა და ქვეწარმავალმა!
 გიგიროს ულამ, წმიდა მდინარემ.
 20 რომლის ნაპირები ერთად მოგვივლია!
 გიგირონ წმიდა წყლებმა ევფრატისა,
 რითაც დღენიდაგ მათარებს ვავსებდით!
 გიგირონ ურუქის ვაჟთა და ასულთა,
 რომელთა თვალწინ ცის ხარი მოვკალით!
 გიგიროს გუთნისდედამ თავის გუთანთან,
 ტკბილ ალალაში გიდიდოს სახელი!
 გიგიროს მწყემსმა თავის ფარეხში,
 რძესა და ერბოს პირში რომ გაწვდიდა!
 გიგიროს მელუდემ, ლუდს რომ შეგასმევედა,
 30 გიგიროს, ვინაც პურს მოგაწვდიდა,
 გიგიროს, ვინაც სასმელს შეგასმევედა!
 გიგიროს როსკიპმა, ვინაც სხეულზე
 მეთს ტკბილსურნელოვანს გაცხებდა!
 გიგიროს სიძემ, ვინც შენი რჩევით
 გულის სასურველ სასძლოს იძენდა!
 გიგირონ ძმებმა, ვითარცა დებმა,
 შენს გამო თმები გაიშალონ!
 დაგირი, ენქიდუვ, ვით შენი დედ-მამა
 შენს ძველ სანახებში დაგიგირებდა!

- 40 მისმინეთ, მოყმენო, მისმინეთ მე,
მისმინეთ, ფართო ურუქის უხუცესნო, მისმინეთ მე!
ჩემს მეგობარს, ენქილუს ღაფგირი,
მოტირალი ქალივით ცხარედ მოვთქვამ!
ცული მარჯვენისა, იმედი მკლავისა,
მახვილი სარგყელისა, ფარი ჩემს წინაშე,
სამოსი განცხრომისა, ქამარი შვებისა,
ბოროტმა ქარმა შემომადარცვა.
ძმობილო ჩემო უმრწემესო, კანჯართა მღევარო,
მღევარო უდაბნოს ლომებისა!
- 50 ენქილუვ, უმრწემესო, კანჯართა მღევარო,
მთები რომ ერთად გადაგვილახავს,
ზეციერი მოზვერი რომ მოგვიკლავს,
ხუმბაბა მოგვიკლავს, კედროვანის მკვიდრი, –
ახლა რა ძილი გჭირს, რომ შეუპყრიხარ,
ცნობა მიგხდია და ველარ მისმენ?”
ენქილუს თავი ვერ აუწევია;
მკერდზე ეხება – გული არ უძგერს.
სახე დაუფარა ვითარცა სასძლოს,
როგორც არწივი ზედ დაბოინობს,
- 60 მიდამოუვლის მეგობრის ცხედარს
როგორც ძუ ლომი, ლეკვებწაგვრილი.
თმებს იგლეჯს, ირგვლივ მიმოფანტავს,
ხევს და განაგდებს სხეულის მშვენებას.
ექვს ღღეს და შვიდ ღამეს ასე დასტიროდა,

მაგრამ ვერ აღლგა მის ხმაზე ძმობილი.
არ მიაბარა იგი სამარეს,
ვიდრე ნესტოებში მაგლი არ შეუძვრა.

ოდეს განთიადმა მტრედისფრად ინათა,
ძახილით შეჰყარა ერი გილგამეშმა:
70 “ეჰა, ქვისმთლელნო და ოქრომჭედელნო,
ბრინჯაოს ოსტაგნო, მოველით ჩემთან!
მეგობარს ჩემსას ქანდაკი აუგეთ!
ამგვარი იყოს მეგობრის ქანდაკი:
სახე – ალებასტრი და თვალნი – ლილაქვა,
გულმკერდი – ოქრო, კიდურნი – ბრინჯაო.”

დაძრა გილგამეშმა ბაგე, ამეგყველდა:
“ახლა კი ღვიძლმა ძმობილმა შენმა
განგასვენე დიდებულ საწოლზე,
ღირსეულ საწოლზე განგასვენე,
80 და შვების სამყოფელში დაგსვი,
სამყოფელში მარცხენა მხარისა.
მიწის მთავარნი ფერხთ დაგიკოცნიან,
შენს გამო ურუქის ერს ავაგირებ,
შენს გამო მხიარულ ხალხს წუხილით ავავესებ.
თავად შენს შემდგომად ტანს აღარ განვიბან,
ლომის ტყავს ჩავიცვამ, ველად გავიჭრები!”

ოდეს განთიადმა მტრედისფრად ინათა,
სარტყელი შეიხსნა ვილგამეშმა...

(ფრაგმენტული ტექსტიდან ჩანს, რომ ვილგამეშმა თავისი საგანძურიდან გამოიგანა უზომო ოქრო-ვერცხლი და ძვირფასეულობა ღმერთებისთვის შესაწირავად, მერე დახოცა ნასუქალი ხარები და ცხვრები და მეგობრისთვის დაახვავა, რათა მეგობრის სულის მოსაოხხად მთელი ხორცი ქვესკნელის მთავრებისთვის წაეღოთ.)

დაფა მეცხრე

(ველად გაჭრა)

- 1 გილგამეშ ენქიდუს, მეგობარს თვისას,
ცხარედ დასჯირის ველად მოარული:
“ნუთუ მეც მოგკვდები ენქიდუს მსგავსად?
შიგანში წუხილი შემეპარა,
სიკვდილს შევეუშინდი, ველად ვიარები.”

უბარა-თუთუს დისკენ, უთანაფიშთისკენ
გზას დაადგა, სწრაფ მიემართება.
დამით მიადგა მთის უღელტეხილებს,
ლომებს შეეყარა და შეშინდა.

- 10 თავი აღმართა სინისაღმი ვედრებად,
ღვთიური ნათლისკენ ვიდოღნენ ლოცვანი:
“ჰოი, სინ, შენ დამიფარავდე!”
და რა ილოცა, დაწვა გილგამეში.
ოდეს გამოერკვა დამეულ სიმბრიდან,
ხედავს, ლომები ხარობენ სიცოცხლით.
მაშინ გილგამეშმა ხელთ იპყრა ნაჯახი

და სარტყელიდან მახვილი იშიშვლა.
მათ შორის შევარდა ვითარცა ისარი,
გაქლიტა ლომები, ნაკუწად აქცია.
[.....]

(ღრიანკალ-კაცები)

- 20 მაშუ არს სახელი მარჩბივი მთებისა,
რომელთა მწვერვალნი ცარგვალს ებჯინება,
რომელთა ფესვები ქვესკნელს ესკვნება.
მათ ბჭეებს იცავენ ღრიანკალ-კაცები
და ღღენიადაგ დარაჯად უღგანან
ციური შამაშის ჩასვლა-ამოსვლას.
მრისხანე მზერა შემზარავი აქვთ,
მათ გამოხედვას სიკვდილი მოაქვს,
და ელვა მათი მთაგრეხილთ ევლება.
მაშუს მთისძირითან ოდეს მივიდა,
- 30 თვალი შეავლო მათ გილგამეშმა,
შიშით და ძრწოლით სახე დაუბნელდა.
ძალი მოიკრიბა, ახლოს მივიდა.
ღრიანკალ-კაცი თავის ცოლს შესძახის:
“ჩვენკენ მომავალს ღმრთის ხორცი მოსავს!”
ასე ესიტყვება ღრიანკალ-ქალი:
“ორი მესამედი ღმერთია იგი,
ერთი მესამედი – მოკვდავი კაცი.”

- მამრს ეხმიანება ღრიანკალ-კაცი
ღმერთების ნაშიერს სიტყვას ეუბნება:
- 40 “რად გამოგივლია ეგზომ შორი გზა,
რას მოუყვანიხარ წინაშე ჩემსა?
მთა გაღმოგილახავს წიაღსვლად ძნელი,
საით მიდიხარ, დაე, მეც ვიცოდე.”
განახვანა გილგამეშმა ბაგენი, ამეტყველდა,
ასე ეუბნება ღრიანკალ-კაცსა:
“უთანაფიშთისკენ გამიწევია, ჩემი წინაპრისკენ,
რომელიც წარუდგა ღმერთთა საკრებულოს
და მარადიული სუნთქვა მოიპოვა.
სიკვდილ-სიცოცხლის ამბავს გამოვკითხავ.”
- 50 დაძრა ღრიანკალ-კაცმა ბაგე, ამეტყველდა,
ასე ეუბნება გილგამეშს:
“არაფინ ყოფილა გაღმა გამსვლელი,
ამ მთების წიაღ არაფინ გასულა:
თორმეგი ბერუა მთებს შორის სავალი,
ზრქელია წყვდიადი, ნათელი არ ჩანს.
მშის ამოხდომისას იღება ჭიშკარი,
მშის ჩახდომისას იღება ჭიშკარი,
მშის ჩახდომისას გაგიღებ ჭიშკარს,
მთებს შორის გაგიშვებ შამაშის კვალზე.”

(შამაშის გზაზე)

- 60 კვლავ ეტყვის გილგამეში ღრიანკალ-კაცს:
“ნალღელით სავსეა ჩემი შიგანი,
ყინვით და არმურით სახელამწვარი
სულთქმით და ვაებით ამ გზას გადავივლი.
ახლა კი გამიღე მთების ჭიშკარი.”
განახვნა ღრიანკალ-კაცმა ბაგენი, ამეტყველდა,
ასე ეუბნება მეფე გილგამეშს:
“მიჰყევ, გილგამეშ, კვალს შამაშისას,
და მაშუს მთები უშიშრად განვლე,
მთები უღაბური უშიშრად განვლე,
70 მშვიდობით დასრულდეს შენი მგზავრობა.
აჰა, გახსნილია მთების ჭიშკარი!”
და რა მოისმინა ესე გილგამეშმა,
მიენდო სიგყვას ღრიანკალ-კაცისას,
სწრაფად გაემართა შამაშის კვალზე.

- ერთ ბერუს მანძილზე მისვლისას იხილა:
ბრქელია წყვდიადი, ნათელი არ ჩანს,
თვალი ვერ ხედავს ვერც წინ, ვერც უკან.
ორ ბერუს მანძილზე მისვლისას იხილა:
ბრქელია წყვდიადი, ნათელი არ ჩანს,
80 თვალი ვერ ხედავს ვერც წინ, ვერც უკან.
სამ ბერუს მანძილზე მისვლისას იხილა:
ბრქელია წყვდიადი, ნათელი არ ჩანს,

თვალი ვერ ხედავს ვერც წინ, ვერც უკან.
 ოთხ ბერუს მანძილზე მისვლისას იხილა:
 ბრძელია წყვდიადი, ნათელი არ ჩანს,
 თვალი ვერ ხედავს ვერც წინ, ვერც უკან.
 ხუთ ბერუს მანძილზე მისვლისას იხილა:
 ბრძელია წყვდიადი, ნათელი არ ჩანს,
 თვალი ვერ ხედავს ვერც წინ, ვერც უკან.
 90 ექვს ბერუს მანძილზე მისვლისას იხილა:
 ბრძელია წყვდიადი, ნათელი არ ჩანს,
 თვალი ვერ ხედავს ვერც წინ, ვერც უკან.
 შვიდ ბერუს მანძილზე მისვლისას იხილა:
 ბრძელია წყვდიადი, ნათელი არ ჩანს,
 თვალი ვერ ხედავს ვერც წინ, ვერც უკან.
 რვა ბერუს მანძილზე მისვლისას,
 ყვირილი აღმოხდა მკერდიდან გილგამეშს.
 ბრძელია წყვდიადი, ნათელი არ ჩანს,
 თვალი ვერ ხედავს ვერც წინ, ვერც უკან.
 100 ცხრა ბერუს მანძილზე მისვლისას,
 ჩრდილოეთის ქარი ამოვარდა,
 და მიუბერა გილგამეშს სახეზე.
 ბრძელია წყვდიადი, ნათელი არ ჩანს.
 ათ ბერუს მანძილზე მისვლისას იხილა:
 უახლოვდება წყვდიადის საზღვარს,
 აჰა, იწურება ბერუთა რიცხვი.
 თერთმეტი ბერუს მანძილზე მისვლისას,
 შემომდგარიყო დილის განთიადი.

110 თორმეტი ბერუს მანძილზე მისვლისას,
დამკვიდრებულიყო შამაშის ნათელი.
და გილგამეშიც სწრაფად გაემართა,
რათა მოეხილა აღრალთა წალკოგი:
მარჯნის ხეები ნაყოფს დაუხუნძლავს,
ვაზიც მოჭხვევია, ხილვად კეთილი.
შეფოთლილია ლაქვარდის ხეები,
ნაყოფი ასხია ხილვად საამური.

განვლო გილგამეშმა აღრალთა წალკოგი,
აღაპყრო თვალნი შამაშის მიმართ.
მაშინ სიბრალულთ მოჭხედა შამაშმა
120 და ასე ეგყვის მეფე გილგამეშს:
“ეჰა, გილგამეშ, რად დაეხეგები!
სუნთქვას მარადიულს ვერ მოიპოვებ.”
მაშინ გმირ შამაშს ეგყვის გილგამეში:
“მას შემდეგ, რაც მოველე ხეგიალით ველები,
ნუთუ მიწის გულში დავდრიკო თავი?
ნუთუ ვიძინო უთვალავი წლები?
დე, თვალნი ჩემნი მზეს მარად უმზერდნენ,
დე, გავძლე ხედვით მარადი ნათლისა!
განგვმორდეს უკუნი სხივთ მოვანებისას,
130 უჭვრეგდეს მზის თვალს მზეგადასულიც!”

დაფა მეათე

(სიღური)

1 მეღვინე სიღური – ქალი ზღვისკიდელი
ზის და განაზავებს ღვთაებრივ სასმელს;
საბურველი ბურავს, იმალება.
მისკენ წარმართავს ნაბიჯს გილგამეში –
ტყავები მოსავს და თმები მოზრდია.
ტანში კი უღვას ღვთიური ხორცი,
მაგრამ შიგანში სევდა შეჰპარვია,
დამსგავსებია შორი გზით მავალს.

10 შორით აკვირდება მეღვინე სიღური,
გულში იზრახავს და ასე იტყვის,
ასე თათბირობს საკუთარ თავთან:
“კაცისმკვლეელია ის კაცი ალბათ,
საით მიისწრაფვის ასე გაშმაგებით?”
შეხედა მეღვინემ, ჩაკეცა ჭიშკარი,
კარი ჩაკეცა, საგდული მიუგდო.
რა ყურად ესმა გილგამემს ხმაური,

არგანი აღმართა და კარზე დარეკა.
ასე ეტყოდა გილგამეში მელვინეს:
“რა მოგეჩვენა, კარი რომ ჩაკეტე,
20 ჭიშკარი ჩაკეტე, მიუგლე საგლული?
კარებს შეგიმტვრევ, ჭიშკარს შეგილეწავ!”

ასე მიუგებს მელვინე გილგამემს,
ღმერთების ნაშიერს სიწყვას ეუბნება:
“რად გამოგივლია ეგზომ შორი გზა,
რას მოუყვანიხარ ჩემს წინაშე?
მღვა გაღმოგილახავს წიაღსვლად ძნელი,
საით მიდიხარ, დაე, მეც ვიცოდე.”
ასე ეუბნება გილგამეში მელვინეს:
“გილგამეშია სახელი ჩემი,
30 ურუქიდან მოვდივარ, ეანას ტაძრიდან,
მე მოვკალ მცველი კედარის ტყისა.
ხუმბაბა – მკვიდრი კედროვანისა,
მე მოვკალ ხარი ციდან ჩამოსული,
დავხოცე ლომები უღელგეხილებზე.”

ასე ეუბნება მელვინე გილგამემს:
“თუ მოკალ მცველი კედარის ტყისა,
ხუმბაბა, მკვიდრი კედროვანისა,
თუ მოკალ ხარი ციდან ჩამოსული,
თუ ხოცე ლომები უღელგეხილებზე,
40 რაღლა ჩაგცენია ღაწვები,

რად დაგლონებია სახე,
გული რად შეგქმნია ცუდად,
რალად წაგხლომია იერი,
რალად შეგპარვია შიგანში სევდა,
შორი გზით მავალს რად დამსგავსებხარ,
ყინვა-არმურისგან სახე რად დაგწვია,
ქარს რად ეღევენები ველად მოარული?”

ასე ეუბნება გილგამეში მელვინეს:
50 “ლაწვები რად არ ჩამცვივლებოდა,
სახე რად არ დამიღონდებოდა,
გული ცუდად რად არ შემექმნებოდა,
იერი რად არ წამიხდებოდა,
შიგანში სევდა რად არ შემეპარებოდა,
შორი გზით მავალს რად არ დავემსგავსებოდი, –
ყინვა-არმურისგან რად არ დამეწვებოდა სახე,
ქარს რად არ დავეღევენებოდი ველად მოარული, –
ოდეს ძმობილი ჩემი უმრწემესი,
კანჯართა მღევარი, უდაბნოს ლომების,
60 ენქილუ, ძმობილი ჩემი უმრწემესი,
კანჯართა მღევარი, უდაბნოს ლომების,
კედარის მთაში ერთად რომ ავსულვართ,
მოგვიკლავს ხუმბაბა, მცველი კედარისა,
ციური მოზვერი ერთად რომ მოგვიკლავს,
ძმობილი იგი, ძლიერ რომ მიყვარდა,
ჩემი თანამღევი ყველა განსაცდელში,

ენქილუ, ძლიერ რომ მიყვარდა,
ჩემი თანამღევი ყველა განსაცდელში,
მოკვდავთა წერას ვერ წაუვიდა.
ექვს ღღეს და შვიდ ღამეს მწარედ დავგვიროდი,
70 მაგრამ ვერ აღღა ჩემს ხმაზე ძმობილი.
არ მივაბარე იგი სამარეს,
ვიღრე ნესტოებში მაგლი არ შეუძვრა.
სიკვდილს შევეუშინდი ველად მოარული,
მამძიმებს ძმობილის ამბავი,
შორეულ გზებით ველად ვიარები,
მამძიმებს ძმობილის ამბავი.
ვით მოვისვენო ანუ ვით დავღუძდე,
მეგობარი ჩემი, ვინც მიყვარდა, თიხად გადაიქცა,
ენქილუ, ვინც მიყვარდა, თიხად გადაიქცა!
80 ნუთუ მის მსგავსად მეც დავიძინებ,
და საუკუნოდ ველარ ავღვები?
ახლა, მელვინევ, შენს სახეს ვხედავ, –
სიკვდილს ნუ შევხედავ, რისაც მეშინის!”

ასე ეუბნება მელვინე გილგამეშს:
“რას ეძებ, გილგამეშ, რას ესწრაფვი?
უკვდავებას როგორ მიაგნებ?
კაცთა მოდგმა რომ შექმნეს ღმერთებმა,
სიკვდილი კაცთა მოდგმას დაუწესეს,
მარადი სიცოცხლე თავად ირგუნეს.
90 აწ, სავსე გქონდეს სტომაქი, გილგამეშ,

მოილხენდე ღლითა და ღამით,
 ღლენიადაგ ნადიმს მართავდე,
 ღლითა და ღამით როკვიდე, მღერდე,
 სამოსელი სპეცაკი გემოსოს,
 თავს განიბანდე, ტანს განიბანდე,
 ბრუნავდე ჩვილზე, ხელთ რომ გეჭირება,
 შენს მკერდზე ხარობდეს მეუღლე შენი, –
 რამეთუ ესაა ხვედრი მოკვდავისა.”
 ასე ეუბნება გილგამეში მეღვინეს:
 100 “უთანაფიშთისკენ გზა მიმასწავლე,
 ნიშნები როგორია, ნიშნები მაუწყე!
 თუ შესაძლოა, ზღვას გადავლახავ,
 თუ შეუძლოა, უდაბნოს გავივლი.”
 ასე ეუბნება მეღვინე გილგამემს:
 “არასდროს ყოფილა გადასასვლელი,
 და ვინც კი მოსულა ღღეთ დასაბამიდან,
 ვის გადაულახავს ვრცელი ზღვა იგი.
 ოდენ შამაშია ზღვის გადამლახველი.
 შამაშის გარდა ზღვას ვინ გადალახავს?
 110 ძნელია სავალი, გზა ძნელზე ძნელია,
 წყალნი სიკვდილისა საზღვრავენ მისადგომს.
 ზღვის გაღმა მხარეს კიდევ რომ გახვიდე,
 სიკვდილის წყლები წინ დაგხვდებიან,
 ნეგავ რას იზამ მაშინ, გილგამეშ?
 არის ურ-შანაბი ვინმე, მიგასწავლი,
 შორეული უთანაფიშთის მენავა.

მასთან აწყვია ქვები ჯადოსნური,
ტყეთა წიაღში გველს იჭერს იგი.
დაე, მან სახე იხილოს შენი,
120 თუ შესაძლოა, მან გადაგიყვანოს,
თუ შეუძლოა, გაბრუნდი უკან.”

(მენავე ურ-შანაბი)

გილგამეშმა ეს რომ გაიგონა,
მარჯვენა ხელში ნაჯახი იმარჯვა,
სარტყელიდან იშიშვლა მახვილი,
მიეპარა და თავს დააგყდა,
ისარივით მათ შორის დაეცა.
ქვები დაამსხვრია რისხვამორეულმა.
დაბრუნდა, წარდგა ურ-შანაბის წინაშე.
ურ-შანაბი თვალეზში შეჰყურებს,
130 ასე ეუბნება ურ-შანაბი გილგამეშს:
“ვინა ხარ, სახელი შენი მაცოლინე!
მე ურ-შანაბი ვარ, მეზღვაური,
მენავე შორეული უთანაფიშთისა.”
ასე ეუბნება გილგამეში ურ-შანაბის:
“გილგამეშია სახელი ჩემი,
ურუქიდან მოვდივარ, ეანას ტაძრიდან,
მაღალი მთები გადამილახავს,
შორი სავალი შამაშის კვალზე.”

ასე ეუბნება ურ-შანაბი გილგამეშ:
140 “რად ჩაგცენია ლაწვები,
რად დაგლონებია სახე,
გული რად შეგქმნია ცუდად,
რალად წაგხლომია იერი,
რალად შეგპარვია შიგანში სევდა,
შორი გზით მაგალს რად დამსგავსებინარ,
ყინვა-არმურისგან სახე რად დაგწვია,
ქარს რად ეღევენები ველად მოარული?”

ასე ეუბნება გილგამეში მენავე ურ-შანაბის:
“ლაწვები რად არ ჩამიცვივლებოდა,
150 სახე რად არ დამიღონდებოდა,
გული რად არ შემიღონდებოდა,
იერი რად არ წამიხლებოდა,
შიგანში სევდა რად არ შემეპარებოდა,
შორი გზით მაგალს რად არ დავემსგავსებოდი,
ყინვა-არმურისგან რად არ დამეწვებოდა სახე,
ქარს რად არ დავეღევენებოდი ველად მოარული, –
ოდეს ძმობილი ჩემი უმრწემესი,
160 კანჯართა მღევარი, უდაბნოს ლომების,
ენქილუ, ძმობილი ჩემი უმრწემესი,
კანჯართა მღევარი, უდაბნოს ლომების,
კედარის მთაში ერთად რომ ავსულვართ,
მოგვიკლავს ხუმბაბა, მცველი კედარისა,
ციური ხარი ერთად რომ მოგვიკლავს,

- დავამხეთ ხუმბაბა, კელროვნის მკვიდრი,
 უღელტეხილებზე ლომები ვხოცეთ,
 მეგობარი, ძლიერ რომ მიყვარდა,
 ჩემი თანამღევი ყველა განსაცდელში,
 ენქილუ, მეგობარი, ძლიერ რომ მიყვარდა,
 ჩემი თანამღევი ყველა განსაცდელში,
- 170 მოკვდავთა წერას ვერ წაუვიდა.
 ექვს ღღეს და შვიდ ღამეს მწარედ დავეტიროდი,
 მაგრამ არ აღდგა ჩემს ხმაზე ძმობილი,
 არ მივაბარე იგი სამარეს,
 ვიდრე ნესტოებში მაგლი არ შეუძვრა.
 სიკვდილს შევუშინდი, ველად მოარული,
 მამძიმებს ძმობილის ამბავი,
 შორეულ გზებით ველად ვიარები,
 მამძიმებს მეგობრის ამბავი.
 ვით მოვისვენო ანუ ვით დავღუძმდე,
- 180 მეგობარი ჩემი თიხად გადაიქცა.
 ნუთუ მის მსგავსად მეც დავიძინებ,
 და ვერასოდეს ველარ ავღგები?
 ახლა, ურ-შანაბი, შენს სახეს ვხედავ, –
 სიკვდილს ნუ შევხედავ, რისიც მეშინია!
 მახილვინე შორეული უთანაფიშთი!
 მასწავლე, ურ-შანაბი, გზა, როგორ წავიდე,
 რა არის ნიშანი, მომეცი,
 მომეცი ნიშანი მისი!

190 თუ შესაძლოა, ზღვას გადავლახავ,
თუ შესაძლოა, უღაბნოს გავივილი!”

ასე ეუბნება ურ-შანაბი გილგამეშ:
“საკუთარ ხელით გზა ჩაგიკეცავს,
ქვები დაგიმსხვრევია, მოგიკლავს გველი.
ქვები დამსხვრეულა, გველი აღარ ჩანს.
აიღე, გილგამეშ, ნაჯახი ხელში,
შედი ტყეში და ნიჩბები გათალე,
ასოცი ნიჩაბი ხუთგარიანი,
კუპრში ამოაველე, აქ მომიტანე.”

200 გილგამეშმა ეს რომ გაიგონა,
მარჯვენა ხელში ნაჯახი იმარჯვა,
ჩავიდა ტყეში, ნიჩბები გათალა,
ასოცი ნიჩაბი ხუთგარიანი.
კუპრში ამოაველო, მიუტანა.
ხომალდზე ავიდნენ გილგამეში და ურ-შანაბი.
ხომალდი ტალღებში შეაგდეს, გაემგზავრნენ,
სამ დღეში განვლეს თვენახევრის სავალი.
და რა მიაღგნენ წყლებს სიკვდილისას,
ასე ეუბნება ურ-შანაბი გილგამეშ:
“განაგდე, გილგამეშ, სველი ნიჩბები,
210 წყალნი სიკვდილისა ხელზე არ შეგეხონ.
მეორე, მესამე და მეოთხე ნიჩაბი აიღე, გილგამეშ!

მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ნიჩაბი აიღე, გილგამეშ!
მერვე, მეცხრე და მეთათე ნიჩაბი აიღე, გილგამეშ!
მეთერთმეტე და მეთორმეტე ნიჩაბი აიღე, გილგამეშ!”
ასოც ბერუზე შემოელია ნიჩბები გილგამეშს.
მაშინ შეისხნა სარტყელი ურ-შანაბიმ,
გილგამეშმა სამოსელი ტანს შემოიძარცვა
და აფრასავით აღმართა მაღლა.

220 შორით იყურება უთანაფიშთი,
გულში იზრახავს და ასე ამბობს,
ასე თათბირობს საკუთარ თავთან:
“რამ დაამსხვრია ხომალდის ქვები?
ხომალდის პაგრონი არ უნდა იყოს.
იგი, ვინც მოცურავს, უცხოა ჩემთვის.
ვაკვირდები, ვერაფერს მივმხვდარვარ.
ტანში კი უღვას ღვთიური ხორცი,
მაგრამ შიგანში წუხილი შეპარვია,
დამგვანებია შორი გზით მავალს.”

(შორეული უთანაფიშთი)

230 გადმოხდნენ ნაპირზე გილგამეში და ურ-შანაბი.
ასე ეუბნება უთანაფიშთი გილგამეშს:
“ვინა ხარ, სახელი შენი მაცოლინე!
მე ვარ შორეული უთანაფიშთი,

რომელიც წარვუდექე ღმერთთა საკრებულოს
და მარადიული სუნთქვა მოვიპოვე.”
ასე ეუბნება გილგამეში უთანაფიშთის:
“გილგამეშია სახელი ჩემი,
ურუქიდან მოვდივარ, ეანას ტაძრიდან,
მაღალი მთები გადამილახავს,
შორი სავალი შამაშის გზაზე.”

240 ასე ეუბნება უთანაფიშთი გილგამეს:
“რად ჩაგცენია ლაწვები,
რად დაგლონებია სახე,
რად შეგლონებია გული,
რალად წაგხლომია იერი,
რად შეგპარვია შიგანში წუხილი,
შორი გზით მავალს რად დამგვანებხარ,
ყინვა-არმურისგან სახე რად დაგწვია,
ქარს რად ედეენები ველად მოარული?”

ასე ეუბნება გილგამეში შორეულ უთანაფიშთის:
250 “ლაწვები რად არ ჩამცვივლებოდა,
სახე რად არ დამილონდებოდა,
გული რად არ შემილონდებოდა,
იერი რად არ წამიხდებოდა,
შიგანში წუხილი რად არ შემეპარებოდა,
შორი გზით მავალს რად არ დავემგვანებოდი,
ყინვა-არმურისგან სახე რად არ დამეწვებოდა

- ქარს რად არ დავედევნებოდი ველად მოარული, –
ოღეს ძმობილი ჩემი უმრწემესი,
კანჯართა მღევარი, უდაბნოს ლომების,
260 ენქილუ, ძმობილი ჩემი უმრწემესი,
კანჯართა მღევარი, უდაბნოს ლომების,
კედარის მთაში ერთად რომ ავსულვართ,
მოგვიკლავს ხუმბაბა, მცველი კედარისა,
ციური ხარი ერთად რომ მოგვიკლავს,
მეგობარი, ძლიერ რომ მიყვარდა,
ჩემი თანამღევი ყველა განსაცდელში,
ენქილუ, მეგობარი, ძლიერ რომ მიყვარდა,
ჩემი თანამღევი ყველა განსაცდელში,
მოკვდავთა წერას ვერ წაუვიდა
270 ექვს ღღეს და შვიდ ღამეს მწარედ დავევიროდი,
მაგრამ ვერ აღღვა ჩემს ხმაზე ძმობილი,
არ მივაბარე იგი სამარეს,
ვიდრე ნესტოებში მაგლი არ შეუძვრა.
სიკვდილს შევეუშინდი ველად მოარული,
მამძიმებს ძმობილის ამბავი,
შორეულ გზებით ველად ვიარები,
მამძიმებს მეგობრის ამბავი.
ვით მოვისვენო ანუ ვით დავღუძმდე,
მეგობარი ჩემი თიხად გადაიქცა.
280 ნუთუ მის მსგავსად მეც დავიძინებ,
და საუკუნოდ ველარ ავღგები?
ვთქვი, წავალ, ვნახავ შორეულ უთანაფიშთის,

უთანაფიშთის, კაცს საარაკოს.
განველე, მოვიარე ყოველი მხარე,
ძნელად საფალი მთები გადავლახე,
გადავიარე ზღვის შუაგული.
ძილი საამური არ მომკარებია,
სიფხიბლით თავი გავიგანჯე,
შიგანი მწუხარებით ავივსე.

- 290 ვიდრე მივალწვედი სიღურის სადგომს,
განზე შემომაცვთა სამოსი ჩემი,
ვხოცე ღათეები, ვეფხი და აფთარი,
ირემი, ხარი და ქვეწარმავალი...
ხორცს ვჭამდი მათსას, ტყავს განზე ვიცვამდი.
რა ღამინახა სიღურიმ, მეღვინემ,
კარი ჩამიკეგა, ურღული მიუგლო...
კუპრსა და ფისში გავავლე ნიჩბები,
წყალნი სიკვდილისა არ შემხებიან.
აწ შენ გიხილე, უთანაფიშთი,
300 სიკვდილს ნუ ვიხილავ, რისიც მეშინია!
ამბავი მამცნე სიკვდილ-სიცოცხლისა...”

ასე ეუბნება უთანაფიშთი გილგამეშს:
“აუცდენელია უწყალო სიკვდილი:
ვინ არის, ვისაც არ უხილავს სიკვდილი?
ვინ არის, ვისაც სახე სიკვდილისა არ უხილავს?
ვინ არის, ვისაც ხმა სიკვდილისა არ სმენია?
განა სამუდამოდ ვაშენებთ სახლებს?”

- განა სამუდამოდ ირცყმის ბეჭელი?
განა სამუდამოდ იყრებიან ძმები?
- 310 განა სამუდამოდ მძულვარებენ მტრები?
განა სამუდამოდ დიდდება წყალი,
წყალი ყანებზე ნიაღვრის მიმღვრელი?
განა სამუდამოდ პარკშია ჭუპრი?
მზის თვალის მარად მჭვრეგელი თვალი
განა არსებულა დასაბამიდან?
ერთნი არიან მძინარე და მკვლარი,
განა არ ხაგავენ სახეს სიკვდილისას?
განა თავს ეყუღნის მოკვლავი კაცი,
ოდეს ბედისწერის ჟამი მოაწევს?
- 320 დიდი ღმერთები, ანუნაქნი, იკრიბებიან,
მამეთუ, ქალღმერთი, ბედის დამსაზღვრელი,
მათთან ერთად ბედისწერას დასაზღვრავს.
მათ დაუდგენიათ სიკვდილ-სიცოცხლე.
დღენი სიკვდილისა არ გაუმხელიათ.”

დაფა მეთერთმეტე

(წარღვნა)

1 ასე ეუბნება გილგამეში შორეულ უთანაფიშთის:
“აჰა, გიყურებ, უთანაფიშთი:
არ მეუცხოება აღნაგი შენი, ჩემი მსგავსი ხარ!
და შენ თავადაც არ მეუცხოები, ჩემი მსგავსი ხარ!
გული მიმიწევს შენდა შერკინებად,
შენ კი ისვენებ, გულაღმა წევხარ.
მარქვი, ვით წარუდექ ღმერთების კრებულს,
მარადი სიცოცხლე ვით მოიპოვე?”

ასე ეუბნება უთანაფიშთი გილგამეშს:
10 “გაგიმხელ, გილგამეშ, იღუმალ სიგყვას,
განგებას ღმერთებისას გამცნობ:
შენ იცი შურუფაქი, ქალაქი,
ქალაქი, ევფრატის პირას ნაშენი.
ძველი ქალაქი, ღმერთთა სამყოფელი.
წარღვნა განიზრახეს დიდმა ღმერთებმა:
იქ იყო ანუ – მშობელი მათი,

გმირი ენლილი – მრჩეველი მათი,
ნინურთა – მკვირცხლი მორბედი მათი,
ღმერთი ენუგი – მერწყული მათი,
20 ეა, თვალნათელი, მათთან იმრახვიდა.
ქოხს გაუმხილა მათი საიდუმლო:
ქოხო, ყურადიღე, კედელო, ისმინე!
ჰოი, შენ, კაცო შურუჰაკელო,
უბარა-თუთუს ნაშიერო!
სახლი დაანგრიე, ხომალდი ააგე,
განაგდე ღოვლათი, თავი გადირჩინე,
უარყავ ქონება, სიცოცხლე იხსენი!
ყოველი სულდგმული ხომალდს აიყვანე.
ხომალდი იგი, რასაც ააგებ,
30 უნდა ააგო ამგვარი წყობით:
ერთურთს გაუგოლდეს სიგრძე და განი,
აბზუს მაგვარად ჭერი დაჰხურე.
მეც მივხვდი, მივუგე ჩემს უფალს ეას:
სიტყვა, რაც ბრძანე, უფალო ჩემო,
როგორც გავიგე, ისე აღვასრულებ.
მაგრამ რა მივუგო უხუცესობას,
რა ვუთხრა ქალაქს და მისთა მკვიდრთა?
ეამ განახვა ბაგენი, ამეტყველდა,
ასე მეუბნება მის მონა-მორჩილს:
40 შენ კი მათ ამგვარად ეტყოდე:
გავიგე, ენლილს დავუწყევლივარ,
ველარ დავდგები თქვენს ქალაქში,

ველარ გავივლი ენლილის მიწაზე,
ზღვად ჩავალ, ჩემს უფალ ეასთან დავდგები.
თქვენმედ კი სიუხვეს აწვიმებს ეა,
გაგიმრავლდებათ ცაზე ფრთოსანი,
თევზით აივსება მყუდრო ჯილეები,
უხვი ჭირნახული ქვეყანას აავსებს.
გარიჟრაჟისას, დილაადრიაანად,
50 ხორბლის წვიმა იწვიმებს ძლიერად.
ოდეს განთიადმა მგრედისფრად ინათა,
ერი შემოკრბა წინაშე ჩემსა.
სახლებს ანგრევენ, არღვევენ კელლებს,
კუპრიან კალათებს მიდავენ ბავშვები,
და საშენ ხე-ტყეს ძლიერნი მიდავენ.
ხუთ დღეში ავაგე ხომალდის ჩონჩხი,
ერთი იქუა ფართობი მისი,
ათი გარია კელლების სიმაღლე,
ათ გარს გაუსწორდა თხემის კიდეები.
60 მერმე დავხაზე ხომალდის სივრცე:
ექვსი მივუჩინე შენობას სართული,
ცხრაწილ დავყავი წიაღი მისი.
წყალსაკეგები ფსკერზე მოვაწყვე,
საჭე შევარჩიე, დავყარე ნიჩბები.
ქურაში კუპრი სამი საწყაული,
სამი საწყაული ფისი გამოვადნე.
მგვირთავმა მუშებმა მეთი მომიბიძგეს,
ერთი საწყაული გაზეთვამ შთანთქა,

- მენავემ დამალა ორი საწყაული.
70 მურუპაკელებს ვუკლავდი ხარებს,
ცხვარსა და ბაგკანს ყოველდღე ვუკლავდი,
ლუდსა და ბადაგს, მეთსა და ღვინოს
მდინარის წყალივით სვამდნენ ხელოსნები,
თითქოს ზეიმობდნენ ახალწლის დღეებს.
ნელსაცხებელის გავხსენი ჭურჭელი,
სურნელი ზეთი ხელზე გადავისხი.
შამაშის ჩასვლისას მზად იყო ხომალდი;
მაგრამ გაძნელდა ზღვაში შეცურება.
80 ბემოთ და ქვემოთ აყირავეს ხომალდი
და ორ მესამედზე ზღვაში შეაცურეს.

ავშიღე ხომალდზე, რაც კი მებადა,
ავშიღე ხომალდზე ვერცხლი, რაც მებადა,
ავშიღე ხომალდზე ოქრო, რაც მებადა,
ავშიღე ხომალდზე, რაც კი მებადა,
ყოველი სულდგმული ხომალდზე ავსვი.
ავსხი ხომალდზე ჩემი სახლეული,
ავსხი ხომალდზე ველური ნახირი,
და ხელოსნებიც უკლებლივ ავსხი.

- მაშინ შამაშმა დამითქვა ქამი:
90 გარიჟრაჟისას, დილაადრიაანად,
ბეციდან ვაწვიმებ ძლიერად!
შედი ხომალდში და დახში კარი!

ოდეს მოაწია დათქმულმა ჟამმა –
გარიჟრაჟისას, დილაადრიაანად,
ზეციდან იწვიმა ძლიერად.
მაშინ მენიშნა ამინდის სახე,
ხილვად შემზარავი იყო ამინდი.
შევედი ხომალდში, კარები დავგმანე.
გემის დავგმანვისას ფუმურ-ამურუს
100 მთელი დოვლათითურთ მივანდე სასახლე.

ოდეს განთიადმა მტრედისფრად ინათა,
ცის კიდით დაიძრა ბნელი ღრუბელი,
გრგვინავდა ადადი ღრუბლის შუაგულში,
დაწინაურდნენ შულლათ და ხანიშ,
ქარიშხლის მაცნენი მთა-ბარს მოედნენ.
მოდის ერაგალი, ჯებირებს მოანგრევს,
მოვარდა ნინურთა, ნაგუბარს მოდენის.
მოაქვთ ანუნაქებს დიდი ჩირაღდნები,
რათა ელვარებით ხმელეთი გადაწვან.
110 მეცად აიწია ადადის რისხვამ,
ყოველი ნათელი შთაინთქა ბნელში.
მიწა შეიბზარა თიხის ქოთანავით.
ერთ დღეს მძვინვარებდა სამხრეთის ქარი,
მძაფრად უბერავდა, მთებს აყირავებდა
და კაცთა მოდგმას ომივით მუსრავდა.
ველარ ხედავდა მოყვასი მოყვასს
და ცისქვეშეთში არ ჩანდა ხალხი.

- ღმერთები წარღვნას შეუშინდნენ,
განიღვვნენ, ანუს ცალ ავიდნენ,
120 ძაღლებივით მიყუქდნენ ღმერთები,
მეცის გაღავანთან მორჩილად შეჯგროვდნენ.
მშობიარე ქალივით აკივლდა იშთარი,
მოსთქვამდა ხმატკბილი ღმერთთა დედოფალი:
ღღე იგი წყეული მიწად გარდაიქცეს,
როს ღმერთთა კრებულში ბოროტი ვიზრახე!
რად ვიზრახე ბოროტი ღმერთების კრებულში,
ხალხის დასალუპად ომი რად ვიზრახე!
განა ეს ხალხი მე არ მიშობია,
ახლა თევზებივით ზღვას რომ ავსებენ?
130 მის გვერდით სტირიან ანუნაქები,
ტირილად სხედან მორჩილი ღმერთები,
პირი მოუკუმავეს უკლებლივ ყველას.

- ქარი მიმოქროდა ექვს ღღეს და შვიდ ღამეს,
წარღვნის ქარიშხალი ქვეყანას აქცევდა.
ხოლო მეშვიდე ღღის დადგომისას
წარღვნის ქარიშხალმა შეწყვიტა ომი,
ლაშქარივით ხმელეთს რომ ებრძოდა.
ზღვა ღამეუდროვდა, გრიგალი დაცხრა,
და წარღვნის წყლები უკუმიიქცნენ.
140 გავხსენი ერლო, ლოყაზე დამეცა სხივი.
შევხედე ამინდს: დარი დამდგარიყო,
მაგრამ გამწყდარიყო მოღვმა კაცისა,

- ყოველი სულდგმული მიწად ქცეულიყო,
 გადარეცხილიყო მთელი ჭალები.
 მაშინ ჩავიკეცე და ავტირდი,
 დაწვებებე ღვარად მდიოდა ცრემლი.
 თვალი მოვაველე ზღვის ოთხივ კუთხეს –
 ამომბიდულიყო მაღალი ნაპირი,
 ნიცირის ქვეყანას მიდგომოდა ხომალდი;
- 150 ნიცირის მთა ხომალდს აკავებდა,
 ველარ გივტივებდა ხომალდი;
 ერთ დღეს, მეორე დღეს
 ნიცირის მთა ხომალდს აკავებდა,
 ველარ გივტივებდა ხომალდი;
 მესამე დღეს, მეოთხე დღეს
 ნიცირის მთა ხომალდს აკავებდა,
 ველარ გივტივებდა ხომალდი.
 მეხუთე დღეს, მეექვსე დღეს
 ნიცირის მთა ხომალდს აკავებდა,
- 160 ველარ გივტივებდა ხომალდი.
 ხოლო მეშვიდე დღის დადგომისას,
 ამოვსვი მტრელი და გავუშვი;
 წავიდა მტრელი და ისევ დაბრუნდა,
 ვერ პოვა სადგური, უკან მოგრიალდა.
 ამოვსვი მერცხალი და გავუშვი;
 წავიდა მერცხალი და ისევ მობრუნდა,
 ვერ პოვა სადგური, უკან მოგრიალდა.
 ამოვსვი ყორანი და გავუშვი;

- წავიდა ყორანი, წყლების დაშრობა დაინახა;
170 ჭამდა, სკინგლავდა, ყრანტალებდა.
არ მობრუნებულა ყორანი.
მაშინ გამოფუშვი ყოველი პირუტყვი
და ოთხივე ქარისკენ შევწირე მსხვერპლი.
გორაკის წვერზე ვაკმე საკმეველი,
განვაწყვე შვილ-შვიდი ჭურჭელი,
ფსკერზე ღაფაპნიე მურგი და კედარი.
ღმერთებმა იყნოსეს სურნელება,
ღმერთებმა იყნოსეს კეთილსურნელება,
ღმერთები შეესიენ მზორველს მწერებივით.
- 180 იშთარ დედოფალმა, ოდეს მოვიდა,
მაღლა აღმართა დიდებული ფარღული,
ანუმ რომ შეჰქმნა მისდა სიხარულად:
აჰა, ღმერთებო, ჩემი ყელსაბამი:
ვით არ დავივიწყებ თვლებს საფირონისას,
ისე ეს ღლეები მემახსოვრება,
სამარადისოდ არ დავივიწყებ!
დაე, მოვიდნენ ღმერთები საკმეველთან!
ენლილი არ მოვიდეს საკმეველთან!
რადგან არ განსაჯა, წარღვნა მოახდინა
- 190 და ხალხი ჩემი დასაღუპად გაწირა.

ენლილმა, ოდეს მოვიდა იგი,
იხილა ხომალდი, განრისხდა ენლილი,
წყრომით აღივსო იგიგთა მიმართ:

- ნუთუ გადარჩა ვინმე სულიერი,
 ნუთუ მოკვდავი გადურჩა დაღუპვას?
 მაშინ დაძრა ნინურთამ ბაგე, ამეგყველდა,
 ასე ეუბნება გმირ ენლილს:
 ეას თვინიერ ვინ აწყობს საქმეთ,
 ეამ უწყის ყოველი ხრიკი.
- 200 მაშინ დაძრა ეამ ბაგე, ამეგყველდა,
 ასე ეუბნება გმირ ენლილს:
 “ღმერთთა მოძღვარი ხარ, ჰე, გმირო ენლილ!
 წარღვნა განუსჯელად როგორ მოავლინე?
 ცოდვილს მის ცოდვას მიუთვლიდი,
 ბრალეულს მის ბრალს მიუთვლიდი!
 კაცი უცოდველი არ დაღუპულიყო,
 კაცი უბრალო არ დასჯილიყო!
 ნაცვლად წარღვნისა, შენ რომ მოავლინე,
 ლომი მოვლენოდათ: ხალხი დაიკლებდა!
- 210 ნაცვლად წარღვნისა, შენ რომ მოავლინე,
 მგელი მოვლენოდათ: ხალხი დაიკლებდა!
 ნაცვლად წარღვნისა, შენ რომ მოავლინე,
 შიმშილი მოვლენოდათ, ქვეყანას მოსრავდა!
 ნაცვლად წარღვნისა, შენ რომ მოავლინე,
 ერა მოვლენოდათ: ქვეყანას გაწყვეტდა!
 მე არ გამითქვამს ღმერთების განგება,
 ოღონდ ათრა-ხასის სიმმარი ვახილვინე,
 ღმერთების განგება სიმმრად ჩაესმა.
 ახლა შენ განსაჯე მისი სამართალი.”

- 220 მაშინ შევიდა ენლილი ხომალდში,
ხელი ჩამჭიდა, ამიყვანა,
მეუღლე ჩემიც ამოიყვანა,
ჩემს გვერდით მუხლი მოაყრევინა.
შუბლზე შეგვეხო, შუა ჩაგვიდგა, გვაკურთხებდა:
მოკვდავი იყო უთანაფიშთი,
აწ უთანაფიშთი და მისი მეუღლე,
დე, მსგავსნი იყვნენ ჩვენი, ღმერთებისა!
იმკვიდროს შორეთში უთანაფიშთიმ,
წყლების დასაბამთან!
- 230 წაგვიყვანა, შორეთს დაგვამკვიდრა,
წყლების დასაბამთან.
აწ ვინ შეგიკრებს ღმერთებს, გილგამეშ,
რომ იპოვო სიცოცხლე, რომელსაც ეძიებ?
აბა, თუ იფხიბლებ ექვს ღღეს და შვიდ ღამეს!”

(ძილქუში)

- და რა მორთხა ფერხნი გილგამეშმა,
მყისვე მოიცვა ძილმა ბურუსივით.
ასე ეუბნება უთანაფიშთი მეუღლეს:
“ჰა, კაცი გმირი, სიცოცხლის მძებნელი!
ძილმა მოიცვა იგი ბურუსივით.”
- 240 ასე ეუბნება მეუღლე შორეულ უთანაფიშთის:
“ხელი შეახე, გამოელვდიოს!

გზები მოიარა, მშვიდობით მიიქცეს,
და იმავ ჭიშკრით, რომელიც განვლო,
დაე, მშობლიურ მხარეს დაუბრუნდეს!"
ასე ეუბნება უთანაფიშთი მეუღლეს:
“სწუსს კაცთა მოდგმა, შენც გაწუხებს.”
მოდი, გამოუცხვე პურის კვერები,
სასთუმალთან დაუწყვე.
და ღლეები, რომელთაც იძინებს,
250 კედელზე დაუწერე.”

უცხოვდა ქალი პურის კვერებს,
სასთუმალთან უწყობდა;
და ღლეებს, რომელნიც ეძინა გილგამეშს,
კედელზე უწერდა.
აუყროლდა პირველი პურის კვერი,
დაულპა მეორე პურის კვერი,
დაუნესგინდა მესამე პურის კვერი,
დაუობდა მეოთხე პურის კვერი,
260 გაუხმა მეხუთე პურის კვერი.
გამოუცხვა მეექვსე პურის კვერი.
ცხვებოდა მეშვიდე პურის კვერი, –
როცა შეეხო, და გამოელვია.

ასე ეუბნება გილგამეში შორეულ უთანაფიშთის:
“ერთწამს მომერია ძილქუში,
ხელი შემახე და გამელვია.”

ასე ეუბნება უთანაფიშთი გილგამეშს:
“პურის კვერები დათვალე, გილგამეშ!
იცოდე, რამდენი დღე გეძინა:
აგიყროლდა პირველი პურის კვერი,
270 დაგილპა მეორე პურის კვერი,
დაგინესტიანდა მესამე პურის კვერი,
დაგიობდა მეოთხე პურის კვერი,
გაგისმა მეხუთე პურის კვერი,
გამოგიცხვა მეექვსე პურის კვერი,
ცხვებოდა მეშვიდე პურის კვერი,
როცა შეგეხე, და გამოგელვიძა.”

(განახლების საბანელი)

ასე ეუბნება გილგამეში შორეულ უთანაფიშთის:
“აწ რა ვიღონო, უთანაფიშთი, სად წავიდე?
სხეული ჩემი სულთამხდელს შეუპყრია,
280 სიკვდილი მიზის საწოლ ბინაში,
საითაც გავხედავ, ყველგან სიკვდილია.”
ასე ეუბნება უთანაფიშთი მეზღვაურ ურ-შანაბის:
“ნუმც გაუხარდე, ნავსადგურს, ურ-შანაბი,
შეგიძულოს ზღვის გადასასვლელმა,
ზღვის პირად მავალს გწყუროდეს ნაპირი!
ამ კაცს, ურ-შანაბი, შენ რომ მოიყვანე,
წვირით დაფარვია მთელი სხეული,

ტყავებს მოუსპია მისი მშვენება.
წაიყვანე იგი, ურ-შანაბი, საბანელს მიიყვანე,
290 სხეული მისი წყალში განიწმიდოს,
განიგდოს ტყავები, ზღვას გაატანოს,
უმეტეს დამშვენდენ ასონი მისნი.
დაე, განიახლოს თავსაბურველი,
მოირტყას არდაგი, სარცხვინელთა მფარავი.
ვიდრე მივილოდეს მშობლიურ ქალაქად,
ვიდრე მგზავრობას დაასრულებდეს,
არ გაიცვითოს არდაგი მისი,
განახლდებოდეს იგი დღენიადაგ.”

წაიყვანა იგი ურ-შანაბიმ, საბანელს მიიყვანა,
300 სხეული მისი წყალში განიწმიდა,
განაგლო ტყავები, ზღვას გაატანა,
უმეტეს დამშვენდენ ასონი მისნი.
განიახლა თავსაბურველი,
მოირტყა არდაგი, სარცხვინელთა მფარავი.
ვიდრე მივილოდეს მშობლიურ ქალაქად,
ვიდრე მგზავრობას დაასრულებდეს,
არ გაიცვითება არდაგი მისი,
განახლდება იგი დღენიადაგ.
ავიდნენ ხომალდზე გილგამეში და ურ-შანაბი,
310 ხომალდი ტალღებში შეაგდეს, გაემგზავრნენ.

(სიჭაბუკის ბალახი)

ასე ეუბნება მეუღლე შორეულ უთანაფიშთის:

“იარა გილგამეშმა, დაშვრა, გაიგანჯა, –
რას გაატანდი თავის ქვეყანაში?”

მაშინ აღმართა გილგამეშმა ნიჩაბი
და მიაყენა ხომალდი ნაპირს.

ასე ეუბნება უთანაფიშთი გილგამეშს:

“იარე, გილგამეშ, დაშვერ, გაიგანჯე, –
რა გაატანო შენს ქვეყანაში?”

320 გეტყვი, გილგამეშ, იღუმალ სიტყვას,
ბალახის საიდუმლოს გაგიმხელ:
ზღვის ფსკერზე ხარობს ეკლიანი ბალახი,
ვარდის ეკალივით ხელს გაგეკაწრავს.
უკეთუ ხელთ იგდე ბალახი იგი,
სიჭაბუკის დღეებს დაიბრუნებ.”

გილგამეშმა ეს რომ გაიგონა,
სარქველი აჭხადა ოკეანის ჯურღმულს,
მძიმე ლოდები ფეხებზე მოიბა,
ზღვის ღურღუმელში ჩაძირეს ლოდებმა.

330 ფსკერზე მიაგნო იღუმალ ბალახს,
მოგლიჯა ბალახი, ხელი გაეკაწრა,
მოიხსნა ფერხთაგან მძიმე ლოდები
და ზღვამ ამოაგლო იგი ნაპირზე.

ასე ეუბნება გილგამეში მეზღვაურ ურ-შანაბის:
“აღთქმული ბალახია ეს, ურ-შანაბი,
მისი ძალით მიაღწევს მოკვდავი ნაგვრას,
წავიღებ ურუქ-ფარეხში, მოხუცს შევავჭმევ,
ბალახის ძალას ასე გამოვცდი.
უკეთუ მოხუცს განაჭაბუკებს,
შევჭამ, სიჭაბუკის ღლეებს დავიბრუნებ.”

- 340 ოც ბერუს მანძილზე ამგვრიეს პური,
ოცდაათ ბერუმე სათევი მოაწყვეს.
ნახა გილგამეშმა წყარო ცივწყლიანი,
ჩაეშვა წყალში, იბანავა.
გველმა იყნოსა ბალახის სურნელი,
წყლიდან ამოცურდა, ბალახი წაიღო,
გაბრუნებისას გადიძრო პერანგი.

- მაშინ გირილად დაჯდა გილგამეში,
ღაწვებზე ცრემლი ღვარად ეღვრებოდა,
ლაჭყურებდა მეზღვაურ ურ-შანაბის:
350 “რისთვის დამიშვრნენ მკლავნი, ურ-შანაბი?
ძარღვებში სისხლი რისთვის მეწურება?
სიკეთე ჩემთვის ვერ მოვიპოვე –
მიწის ლომისთვის ვბრუნავდი თურმე.
ახლა შორს მიაქვთ მღვის ტალღებს ბალახი,
როგორღა ავხადო სარქველი ჯურღმულს,
როგორ ჩავიძირო მღვის ღურღუმელში?”

მენიშნა ნიშანი ჩემდა სასწაულად,
ამიერიდან უკან გავბრუნდები
და ზღვის ნაპირზე დაეაგლებ ხომალდს.”

(უკუქცევა)

360 ოც ბერუს მანძილზე ამგვრიეს პური,
ოცდაათ ბერუზე სათევი მოაწყვეს.
ბოლოს მიაღწიეს ურუქის წიაღს.
ასე ეუბნება გილგამეში მემღვაურ ურ-შანაბის:
“ურუქის ზღუდეზე აღი, გაიარე, ურ-შანაბი!
საძირკველს დახედე, აგური მოსინჯე!
იქნებ გამომწვარი არ იყოს აგური,
იქნებ შვიდ ბრძენკაცს ლიბო არ ჩაეღოს?”

**შუბერული თქმულებები
ბილბაგეშვი**

ინანა, გილგამეში და ალვის ხე

- 1 ოდესღაც ხე ერთი, ალვის ხე ერთი, ხე ერთი,
წმიდა ბურანუნას პირას დარგულიყო,
ბურანუნას წყალი არწყულებდა...
სამხრეთის ქარმა ფესვითურთ აღმოფხვრა,
ბურანუნამ ღვარი მიულვარა.
ქალმა, ანის სიგყვათა მოშიშმა, მოარულმა,
ენლილის სიგყვების მოშიშმა, მოარულმა,
ხე იგი ხელთ იპყრა, ურუქს მიიგანა –
წმიდა ინანას მგილში შევიგანო.
- 10 ქალი უვლიდა ხეს მას, თვისთა ფერხთა წინაშე დარგო:
ინანა უვლიდა ხეს მას, თვისთა ფერხთა წინაშე დარგო.
“როლის მექნება წმიდა გახგი დასაჯლომელად?” – იცყოლა;
როლის მექნება წმიდა სარეცელი დასაწოლად?” – იცყოლა.

გამოხდა წელი ხუთი, გამოხდა წელი ათი.
ხე იგი აღორძინდა, გარნა ქერქი ვერ მოეცალა.
მის ძირში გველმა მოუნუსხავმა დაიბუდა,
მის რტოებში ფრთოსანმა ანზულმა ბარტყები დასხა,
მის შუაგულში ქალწულმა ლილამ სახლი გაიკეთა.

- 20 ქალწული მხმობელი, გულმხიარული,
წმიდა ინანა ცრემლოოდა.
გარიჟრაჟისას, ცისკიდურის გაბრწყინვებისას,
დილის ფრინველთა კრიაშლის ქამს
ქალი იგი მოგირალი გილგამეშს უხმობდა,
წმიდა ინანა თავის ძმას, გილგამეშს, უხმობდა:
“ოდესღაც ხე ერთი, ალვისხე ერთი, ხე ერთი,
წმიდა ბურანუნას პირას დარგულიყო,
ბურანუნას წყალი არწყულებდა...
სამხრეთის ქარმა ფესვითურთ აღმოფხვრა,
ბურანუნამ ღვარი მიუღვარა.
- 30 ქალმა, ანის სიგყვათა მოშიშმა, მთარულმა,
ენლილის სიგყვათა მოშიშმა, მთარულმა,
ხე იგი ხელთ იპყრა, ურუქს მიიგანა –
წმიდა ინანას მგილში შევიგანო.
ქალი უვლიდა ხეს მას, თვისთა ფერხთა წინაშე დარგო,
ინანა უვლიდა ხეს მას, თვისთა ფერხთა წინაშე დარგო.
“როდის მექნება წმიდა გახგი დასაჯდომელად?” – იცყოდა.
“როდის მექნება წმიდა სარეცელი დასაწოლად?” – იცყოდა.
გამოხდა წელი ხუთი, გამოხდა წელი ათი.
ხე იგი აღორძინდა, გარნა ქერქი არ მოეცალა.
- 40 მის ძირში გველმა მოუნუსხველმა დაიბუდა,
მის რგოებში ფრთოსანმა ანბუდმა ბარცყები დასხა,
მის შუაგულში ქალწულმა ლილამ სახლი გაიკეთა.
ქალწული მხმობელი, გულმხიარული,
წმიდა ინანა ცრემლოოდა.”

- დამ მისმა ამბავი ესე რა მიუთხრო,
გმირმა გილგამეშმა სიგყვა მისი შეიწყნარა,
სარგყელი შეისსნა, ერგასი მინა მოიშორა,
ერგასი მინა ოცდაათ სიკილად აქცია.
ბრინჯაოს ცული, სალაშქრო საჭურველი –
50 შვიდი გუ და შვიდი მინა წონისა – ხელთ იპყრა,
ხის ძირას გველი მოუნუსხავი მოკლა,
ხის რგოებში ანზული ბარგყებითურთ შეიპყრო,
ანზული ბარგყებითურთ მთაში გადაკარგა,
ქალწული ლილა უდაბნოდ აოგა.
ხე იგი ფესვითურთ აღმოფხვრა,
რგონი მისი განკაფა.
წმიდა ინანას გახგისათვის უბოძა,
სარეცლისთვის უბოძა.
თავად ფესვისაგან ფუქუ გაიკეთა,
60 რგოსაგან მიქუ გაიკეთა.

(ენქილუ ქვესნელში)

ქალწულთა მუდარა შეესმათ ღმერთებს:
ფუქუ და მიქუ ქვესნელს ჩაუცვივდა.
გილგამეშმა ხელი გაიწვადა, ვერ მისწვდა;
გილგამეშმა ფეხი გაიწვადა, ვერ მისწვდა.
მამინ ხინართა კარიბჭესთან დაჯდა
და ცრემლი ღვარა გილგამეშმა, სახეგამკრთალმა:

“ვაგლახ! ჩემი ფუქუ საკვირველი ძალისა!
ვაგლახ! ჩემი მიქუ, გამომცემი საროკველ ხმათა!
ვაი, დღესა მას, როს ფუქუ თან მქონდა სადურგლოში!
70 როს ღურგლის ცოლი დედად მიმაჩნდა,
ღურგლის ასული უმცროს დად მიმაჩნდა!
ჩემს ფუქუს ქვესკნელიდან ვინ ამომიხმობს?
ჩემს მიქუს ქვესკნელიდან ვინ ამომიხმობს?”

მონა მისი ენქილუ ამგვარად ეცყვის:
“რად მოსთქვამ, ბაგონო, გული რად გიწუხს?
ფუქუს მე ამოგიხმობ ქვესკნელიდან,
მიქუს ქვესკნელიდან მე ამოგიხმობ.”
ასე ეცყვის გილგამეში ენქილუს:
“ქვესკნელში ჩასვლას თუ განიზრახავ,
80 ყურად ილე ჩემი გაფრთხილება:
სუფთა სამოსელი არ ჩაიცვა,
ქვესკნელის მკვიდრნი უცხოდ მიგიჩნევენ.
სურნელი ზეთი განზე არ იცხო,
ზეთის სურნელზე შემოგეხვევიან.
ქვესკნელში შუბი არ მოისროლო,
შუბმთხვედრილნი გარს შემოგერტყმიან.
კომბალი ხელში არ დაიჭირო,
ქვესკნელის სულნი დაგიფრთხებიან.
90 ხამლებით ფერხნი არ შეიმოსო,
ხმაურით არ ჩახდე ქვესკნელად.
საყვარელი ცოლი არ გადაკოცნო,

მოძულეებული ცოლი არ გალახო,
საყვარელი შვილი არ გადაკოცნო,
მოძულეებული შვილი არ გალახო,
ქვესკნელის მკვიდრთა ჩივილი გეწევა.

ვინც განისვენებს, ვინც განისვენებს,
ნინაზუს დედა, ვინც განისვენებს,
წმიდა მხრები მისი შეუმოსავია,
მკერდი მისი, მსგავსი თასისა, დაუფარავია.”

- 100 ყურად არ ილო ენქიდუმ გაფრთხილება:
სუფთა სამოსელი ჩაიცვა,
ქვესკნელის მკვიდრთა უცხოდ მიიჩნიეს.
სურნელი ბეთი განზე იცხო,
ბეთის სურნელზე გარს შემოეხვივნენ,
ქვესკნელში შუბი მოისროლა,
შუბმობვედრილნი გარს შემოერცყნენ.
კომბალი ხელში დაიჭირა,
დაუფრთხნენ სულნი ქვესკნელისა.
ხამლებით ფერხნი შეიმოსა,
- 110 ქვესკნელად ხმაურით ჩახდა.
საყვარელი ცოლი გადაკოცნა,
მოძულეებული ცოლი გალახა,
საყვარელი შვილი გადაკოცნა,
მოძულეებული შვილი გალახა,
ქვესკნელის მკვიდრთა ჩივილმა უწია.

ვინც განისვენებს, ვინც განისვენებს,
ნინაზუს დედა, ვინც განისვენებს,
წმიდა მხრები მისი შეუმოსავია,
მკერდი მისი, მსგავსი თასისა, დაუფარავია.

- 120 ოდეს ენქილუმ დააპირა ქვესკნელით ამოსვლა,
ნამთარს იგი არ დაუკავებია,
აზაგს იგი არ დაუკავებია,
ქვესკნელმა დააკავა.
უწყალო ნერგალის მსახურს არ დაუკავებია,
ქვესკნელმა დააკავა.
ბრძოლის ველზე არ დაცემულა,
ქვესკნელმა დააკავა.

მაშინ აგირდა ძე ნინსუნისა
თავისი მონის, ენქილუს, გამო.

- 130 ექურად, ენლილის ტაძრად, მარტო გაემართა.
“მამა ენლილ, ოდეს ფუქუ ქვესკნელს ჩამივარდა,
ოდეს მიქუ ქვესკნელს ჩამივარდა,
ენქილუ ჩავგზავნე მათ ამოსატანად.
ნამთარს იგი არ დაუკავებია,
აზაგს იგი არ დაუკავებია,
ქვესკნელმა დააკავა.
უწყალო ნერგალის მსახურს არ დაუკავებია,
ქვესკნელმა დააკავა.”
მამა ენლილმა არ შეიწყნარა.

- 140 სინისაკენ მარგო გაემართა.
“მამა სინ, ოდეს ფუქუ ქვესკნელს ჩამივარდა,
ოდეს მიქუ ქვესკნელს ჩამივარდა,
ენქილუ ჩავგზაფნე მათ ამოსაგანად.
ნამთარს იგი არ დაუკავებია,
აზაგს იგი არ დაუკავებია,
ქვესკნელმა დააკავა.
უწყალო ნერგალის მსახურს არ დაუკავებია,
ქვესკნელმა დააკავა.
ბრძოლის ველზე არ დაცემულა,
- 150 ქვესკნელმა დააკავა”,
მამა სინმა არ შეიწყნარა.
ენქისაკენ მარგო გაემართა.
“მამა ენქი, ოდეს ფუქუ ქვესკნელს ჩამივარდა,
ოდეს მიქუ ქვესკნელს ჩამივარდა,
ენქილუ ჩავგზაფნე მათ ამოსაგანად.
ნამთარს იგი არ დაუკავებია,
აზაგს იგი არ დაუკავებია,
ქვესკნელმა დააკავა.
უწყალო ნერგალის მსახურს არ დაუკავებია,
- 160 ქვესკნელმა დააკავა.
ბრძოლის ველზე არ დაცემულა,
ქვესკნელმა დააკავა.”

ენქიმ შეიწყნარა ვედრება მისი,
ასე ეტყვის გულად გმირ ნერგალს:

“მომისმინე, გულადო ნერგალ!
გახსენი ხვრელი ქვესკნელისა,
ამოხდეს ქვესკნელით ენქიდუს სული,
უამბოს ძმობილს ქვესკნელის ამბავი.”

- 170 გულადმა ნერგალმა ენქის მოუსმინა,
და გახსნა ხვრელი ქვესკნელისა.
ენქიდუს სული ქვესკნელით ამოხდა,
ერთუროს გადაეჭდნენ და დასხდნენ ერთად,
იწყეს საუბარი და მწარე ოხვრა.
“მაუწყე, ძმობილო! მაუწყე, ძმობილო!
ამბავი ქვესკნელისა, რაც ნახე, მაუწყე!”
“ვერ გაუწყებ, ძმობილო, ვერ გაუწყებ!
უკეთუ გაუწყე ამბავი ქვესკნელისა, რაც ვნახე,
ტირილად დაჯდები!”
“დავჯდე ტირილად!”
- 180 “ჩემს სხეულს, შეხება რისიც გახარებდა,
ჭიები ჭამენ, ვით ძველ სამოსელს.
სხეული, შეხება რისიც გიხაროდა,
დაღრღნილია და მტვერით ავსებული.”
“ვაჰმე!” – შეიცხადა და მიწად დაემხო;
“ვაჰმე!” – შეიცხადა გილგამეშმა, მიწად დაემხო,
“ვინც ერთი ძე შვა, თუ ნახე?” – “ვნახე.
ქვესკნელში ხმელა ჰურს შეექცევა.”
“ვინც სამი ძე შვა, თუ ნახე?” – ვნახე.
ქვესკნელში მხოლოდ წყალსა სვამს იგი.”

- 190 “ვინც ოთხი ძე შვა, თუ ნახე?” – “ვნახე.
სასმელ-საჭმელით გულს იხარებს.”
“ვინც ხუთი ძე შვა, თუ ნახე?” – ვნახე.
კარგი მწერალივით შიშველი მკლავი აქვს,
დიდი პატივით შედის სასახლეში.”
“ვინც ექვსი ძე შვა, თუ ნახე?” – “ვნახე.
გუთნისდელასავით უხარის გული.”
“ვინც შვიდი ძე შვა, თუ ნახე?” – “ვნახე.
ღმერთებთან სიახლოვით ნეგარებს”
“ვინც ბოძმა მოკლა, თუ ნახე?” – “ვნახე.
200 ქვესკნელში ჩასვლისას ხიწვებს იცილებდა.”
“ვინც უცებ მოკვდა, თუ ნახე?” – “ვნახე.
ღამეულ საწოლში განისვენებს.
ანკარა წყაროს ეწაფება.”
“ვინც ომში მოკვდა, თუ ნახე?” – “ვნახე.
დელ-მამა თავს უწევს, ცოლი ზედ დასტირის.”
“ვისი გვამიც ველზე აგდია, თუ ნახე?” – “ვნახე.
შეება არა აქვს მის სულს ქვესკნელში.”
“ვის სულსაც მზრუნველი არა ჰყავს, თუ ნახე?” – “ვნახე.
ჭამს კერძის ნამუსრევს, ქუჩაში გადაყრილს.”

ლაშქრობა კედარის ტყისკენ

- 1 ბაგონმა ცოცხალი კაცის ქვეყნისაკენ მიმართა ზრახვა,
ბაგონმა გილგამეშმა ცოცხალი კაცის
ქვეყნისაკენ მიმართა ზრახვა,
თავის მონას, ენქიდუს, ასე ეუბნება:
“იმ ქვეყნად შევალ, ჩემს სახელს დავამკვიდრებ;
სადაც სახელი დამკვიდრებულა,
იქ ჩემს სახელსაც დავამკვიდრებ.
სადაც სახელი არ დამკვიდრებულა,
ღმერთების სახელს დავამკვიდრებ.”
მონა მისი, ენქიდუ, ასე მიუგებს:
“პაგრონო, თუ იმ ქვეყნად შესვლა განგიზრახავს,
10 უთუმ, მზის ღმერთმა, უწყოდეს,
უთუმ, გმირმა უთუმ, უწყოდეს ყოველი.
უთუ მცნობელია იმა ქვეყნისა,
უთუ მცნობელია კედარის ქვეყნისა.
უთუმ, გმირმა უთუმ, უწყოდეს!”

გილგამეშმა თეთრ თიკანს ხელი შეავლო,
შავი თიკანი, სამსხვერპლო თიკანი, მკერდზე მიიხუტა;

- თავისი კვერთხი ვერცხლისა ხელთ იპყრა,
ბეციერ უთუს ამგვარად ეტყვის:
“იმ ქვეყნად მივლივარ, შემეწიე!
20 კელარის ქვეყნად მივლივარ, შემეწიე!”
ბეციერი უთუ ამგვარად მიუგებს:
“ძლიერი მოყმე ხარ შენ, გილგამეშ!
გარნა რა გინდა იმ ქვეყანაში?”
ხოლო გილგამეში ამგვარად მიუგებს:
“უთუ, სიგყვას გეტყვი, სიგყვა ჩემი ყურად იდე.
ამბავს გეტყვი, ამბავი იგი გულისხმა ჰყავ:
ჩემს ქალაქში კაცი კვდება, – გული მიწუსს;
კაცი იწირება, – გული ავად მიძგერს.
გალავანზე გაველ, გაღვიხედე,
30 გვამები მიჰქონდა მდინარეს.
მეც ასე მომივა, ასე იქნება:
რომელი მაღალი შესწვდება ზეცას?
რომელი ფართე მოიცავს ხმელეთს?
იმ ქვეყნად შევალ, სახელს დავამკვიდრებ.
სადაც სახელი დამკვიდრებულა,
იქ ჩემს სახელსაც დავამკვიდრებ,
სადაც სახელი არ დამკვიდრებულა,
ღმერთების სახელს დავამკვიდრებ.”
უთუმ ცრემლი მისი მსხვერპლად შეიწირა,
40 მოწყალე კაცივით მოწყალედ მოექცა.
შვიდი ბუმბერაზი ერთი დედისანი, –
ერთი, ძმა მათი უფროსი...

მეორე – გველეშაპი, ხახადაფჩენილი,
მესამე – ურჩხული, ეშვებდარჭენილი,
მეოთხე – წარდენა, ხმელის წარმსოცელი,
მეხუთე – გველი მომნუსხველი,
მექექსე – [.]

მეშვიდე – მოგრიალე ავი ქარიშხალი,
შვიდივენი ქვეშეთის მაცნენი,
50 დღის ნათელის დამაბნელებელი –
მთათა მღვიმეებში შეგზავნა.

კედარის გამჩეხავი გამხიარულდა,
ბატონი გილგამეში გამხიარულდა;
თავის ქალაქში ერთი კაცივით [.]
წყვილი თანამგზავრით [.]

“სახლის პატრონი თავის სახლისაკენ!
დედის პატრონი თავის დედისაკენ!

კაცი მარტოსული, ჩემს კვალზე მოქმედი,
კაცი ერგასი მხარში ამომიღგეს!”
60 სახლის პატრონი თავის სახლისაკენ წავიდა,

დედის პატრონი დედისაკენ წავიდა,
კაცი მარტოსული, მის კვალზე მოქმედი,
კაცი ერგასი მხარში ამოუღგა.

სამჭედლოსაკენ წადგა ნაბიჯები –
ცული – თავისი “ძალი გმირობისა” – ჩამოასხმევინა.
მინდვრის ტევრისკენ წადგა ნაბიჯები –

გირიფი, ვაშლის ხე, ბზა მოაჭრევენა,
მოქალაქეებს, რომელნი თან ახლდნენ, ჩამოურიგა.

*(მოლაშქრენი გაუდგნენ გზას; გადალახეს შვიდი მთა; კელარის გყის მი-
სადგომებთან გილგამეში მოულოდნელად ღრმა ძიღმა შეიპყრო)*

- 70 ხელით ეხება, – ვერ დგება იგი;
ეხმიანება, – პასუხს არ აძლევს.
“რომელი წევხარ, რომელი წევხარ,
გილგამეშ, ბაგონო, ქულაბას ძეო, ვიდრემდის წევხარ?
ქვეყანა დაბნელდა, ჩრდილი ჩამოწვა,
ბნელმა წაიღო ქვეყნის ნათელი.
თავადმართული უთუ მივალს თავისი დედის,
ნინგალის, წიაღად.
ჰოი, გილგამეშ, ვიდრემდის წევხარ?
მკვიდრნი ქალაქისა, თან რომ გახლავან,
მთის ძირას გელიან.
- 80 შენს მშობელ დედას შენი ქალაქის მოედანზე ნუ გაიყვანენ!”

მაშინ ხმა ჩაესმა, ყური ათხოვა;
გმირული სიგყვა მისი სამოსლად შეიმოსა,
ოცდაათი გინი სამოსი, ხელთ რომ ეპყრა,
მკერდზე მიიფარა,
ვითარცა ხარი დიდ მიწას დაადგრა,
მიწას აკოცა, კბილი გალესა:
“ჩემს მშობელ დედას, ნინსუნას, ვფიცავ,

- ჩემს მამას, ბრწყინვალე ლუგალბანდას ვფიცავ,
ჩემი ღელის, ნინსუნას, მუხლებზე
- 90 საკვირველად მჯდომი შევიქნები!”
მეორეგზის კვლავ უთხრა:
“ჩემს მშობელ ღელას, ნინსუნას, ვფიცავ,
ჩემს მამას, ბრწყინვალე ლუგალბანდას, ვფიცავ,
ვიღრე არ დავამხოვ კაცსა მას, უკეთუ კაცია,
ვიღრე არ დავამხოვ მას, უკეთუ ღმერთია, –
ფერხთა ჩემთა იმ ქვეყნად წარემართავ,
ქალაქისკენ არ წარემართავ!”
- ერთგული მსახური აფიცებს, ევეღრება,
თავის ბაგონს სიგყვას ეუბნება:
- 100 “ბაგონო ჩემო, ის კაცი არ გინახავს, – არ გეშინია;
მე მინახავს ის კაცი, – მეშინია.
კბილნი იმ გმირისა – კბილნი ურჩხულისა,
სახე მისი – სახე ლომისა,
ღრიალი მისი – ღრიალი წარღვნისა,
შუბლი მისი, ხეთა დამწველი, – არავის გაუშვებს.
ჩემო ბაგონო, შენ წადი იმ ქვეყნად,
მე ქალაქისკენ წავალ
ღელაშენს ვეგყვი შენს გამარჯვებას, –
დიდად გაიხაროს!
- 110 ვეგყვი შენს სიკვდილს, – ცხარედ იგიროს!”
ასე მიუგებს მსახურს გილგამეში:
“ჩემს წილ სხვა კაცი არ მოკვდება,

დაგვირთული ნავი არ ჩაიძირება,
სამმაგი საბელი არ გაწყდება,
სახლსა და ხულას ცეცხლი არ შეჭამს.
შენ მე დამიფარე, მე შენ დაგიფარავ,
რა შეგვემთხვევა?

[.]

120 წამო, წინ წავიღეთ, თვალი ვკილოთ;
ოდეს წინ წავალთ, თუ შიში იქნება,
თუ შიში იქნება, – გაბრუნდი უკან!
თავზარი იქნება, თავზარი იქნება, –
გაბრუნდი უკან!”

ხუვავა კედარის სახლიდან იყურება,
თვალს ამზერს, თვალს სიკვდილისას,
თავს უქნევს, ემუქრება,
სიტყვას ეტყვის, სიტყვას მუქარისას.

[.]

130 ასე იტყვის გილგამეში, ქულაბას მკვიდრი:
“ჩემს მშობელ დედას, ნინსუნას, ვფიცავ,
ჩემს მამას, ბრწყინვალე ლუგალბანდას, ვფიცავ, –
მაგ ქვეყნად შენი სადგომისთვის მიმიგნია,
შენი პაგარა ფეხებისთვის პაგარა ხამლები გამიკეთებია,
შენი ღიდი ფეხებისთვის ღიდი ხამლები გამიკეთებია.”
ხუვავა პირველ ელვას მიანათებს, –
ქალაქის მკვიდრნი, გილგამემს რომ ახლავან,
რტოებს გაკაფავენ, შეკრავენ,
მთიანეთის ძირას დააწყობენ.

- თავის მეორე ელვას მიანათებს, –
ქალაქის მკვიდრნი, გილგამეშს რომ ახლავან,
რტოებს გაკაფავენ, შეკრავენ,
140 მთიანეთის ძირას დააწყობენ.
თავის მესამე ელვას მიანათებს, –
ქალაქის მკვიდრნი, გილგამეშს რომ ახლავან,
რტოებს გაკაფავენ, შეკრავენ,
მთიანეთის ძირას დააწყობენ.
თავის მეოთხე ელვას მიანათებს, –
ქალაქის მკვიდრნი, გილგამეშს რომ ახლავან,
რტოებს გაკაფავენ, შეკრავენ,
მთიანეთის ძირას დააწყობენ.
თავის მესუთე ელვას მიანათებს, –
150 ქალაქის მკვიდრნი, გილგამეშს რომ ახლავან,
რტოებს გაკაფავენ, შეკრავენ,
მთიანეთის ძირას დააწყობენ.
თავის მეექვსე ელვას მიანათებს, –
ქალაქის მკვიდრნი, გილგამეშს რომ ახლავან,
რტოებს გაკაფავენ, შეკრავენ,
მთიანეთის ძირას დააწყობენ.
რა გაუსრულდა მეშვიდე ელვა,
ხუვავა თავის საღვომისკენ უკუიქცა.
უსურვაზივით ტანი ეგრიხება.
[.]
160 შეპყრობილი ხარივით საბელი მოაბეს,
შეპყრობილ მოყმესავით მკლავები გაუკრეს.

ცრემლად იღვრება, მკვდრის ფერი ადევს:

“გილგამეშ, სიტყვას გეტყვი, მომისმინე,
ღელა, მშობელი ჩემი, მე არ ვუწყვი,
მამა, გამზრდელი ჩემი, მე არ ვუწყვი.
მთიანეთს ვუშობივარ, აწ შენ გამზარდე.”
გილგამეშმა ზეცა დაიფიცა, მიწა დაიფიცა,
ქვესკნელი დაიფიცა, –

- 170 ხელი ჩასჭიდა, მოკვლა არ ინება,
გული გილგამეშისა, ნინსუნას ძისა, მოწყალე იქმნა,
ენქილუს, თავის მსახურს, ასე ეუბნება:
“ენქილუვ, შეპყრობილი ჩიგი ბულისკენ გაფრინდეს,
შეპყრობილი მოყმე ღელის კალთას დაუბრუნდეს!”

ენქილუ გილგამეშს ამგვარად მიუგებს:

- “შეპყრობილი ჩიგი ბულისკენ თუ გაფრინდა,
შეპყრობილი მოყმე ღელის კალთას თუ დაბრუნდა, –
შენი მშობელი ღელის ქალაქისკენ ველარ დაბრუნდები.
ვის უნახავს შეპყრობილი მოყმის განგეგება,
შეპყრობილი ქურუმის გიპარად მიქცევა,
180 შეპყრობილი მხევლის ლხენით დაბრუნება?
მთათა ბილიკები ჩაგეკეგება,
მთებში სავალი გზა გაგიძნელდება!”

გილგამეშმა სიტყვა ყურადილო.

ხუვავა ენქილუს ასე ეუბნება:

“ენქილუვ, რად მიმგრე, ავი სიტყვა რად უთხარ?

ჰე, ქირისკაცო, ბაგონის მონავ,
ავი სიგყვა რად უთხარ?”
ამგვარად ეტყოდა ხუვავა.
ხოლო ენქილუ რისხვამ აიგანა,
190 თავი მოჰკვეთა, სუდარაში გახვია.

ენლილ და ნინლილის წინაშე მივიდნენ.
ენლილის წინაშე მიწას რა ემთხვეინენ,
სუდარა დადევს, თავი ამოიღეს,
ენლილის წინაშე დააგდეს.
ენლილმა ხუვავას თავს მზერა ჰკიდა,
გილგამეშის საქმემ განარისხა:
“ეს საქმე რად გიქნიათ?
დაე, მჯდარიყო თქვენს წინაშე,
ეჭამა პური, საჭმელი თქვენი,
200 ესვა წყალი, სასმელი თქვენი!..”

გილგამეში და აგა

- 1 აგას მაცნენი, ენმებარაგესის ძისანი,
ქიშიდან ურუქში გილგამეშს მოადგნენ.
გილგამეში ქალაქის უხუცესთა წინაშე
სიგყვას დააგდებს, სიგყვას გამოარჩევს:
“ჭეებს რომ მოვუაროთ, ქვეყნის ჭეებს რომ მოვუაროთ,
ქვეყნის ჭეებს და ჭურჭლებს რომ მოვუაროთ,
ჭეები რომ გავაღრმავოთ, ბაგირნი დავასრულოთ, –
ქიშის წინაშე ქედს ნუ მოვიდრეკოთ,
იარაღით შევებათ!”
- 10 ქალაქის უხუცესთა კრებული
გილგამეშს სიგყვას შეუბრუნებს:
“ჭეებს რომ მოვუაროთ, ქვეყნის ჭეებს რომ მოვუაროთ,
ქვეყნის ჭეებს და ჭურჭლებს რომ მოვუაროთ,
ჭეები რომ გავაღრმავოთ, ბაგირნი დავასრულოთ, –
ქიშის წინაშე ქელი მოვიდრიკოთ,
იარაღით ნუ შევებმებით!”
- გილგამეში, ქულაბას ბაგონი,
ინანასათვის გმირობის მოქმედი,
უხუცესთა სიგყვას გულთან არ მიიღებს.

მეორეგზის გილგამეში, ქულაბას ბატონი,
ქალაქის მოყმეთა კრებულის წინაშე
20 სიტყვას დააგდებს, სიტყვას გამოარჩევს:
“ჭებს რომ მოვუაროთ, ქვეყნის ჭებს რომ მოვუაროთ,
ქვეყნის ჭებს და ჭურჭლებს რომ მოვუაროთ,
ჭები რომ გავადრმავოთ, ბაგირებს მოვუაროთ, –
ქიშის წინაშე ქედს ნუ მოვიდრეკოთ,
იარაღით შევებათ!”

ქალაქის მოყმეთა კრებული
გილგამეშს სიტყვას მიუბრუნებს:
“რომელნი ღვახართ, რომელნი სხედხართ.
უფლისწულთან ერთად მეომარნო,
სახედრის ფერდების მკუმშავნო,
30 ვისაც კი ძალი ამისა შეგწევთ,
ქიშის წინაშე ქედს ნუ მოიდრეკოთ,
იარაღით შევებით!”

ურუქი, ქმნილება დიდი ღმერთებისა,
ეანა, გაძარი ცით ჩამოზიდული,
რომლის ნაწილნი ღმერთებმა შექმნეს, –
დიდი კედელი, ღრუბელს მიბჯენილი,
მაღალი სადგომი, ანის დადგენილი,
გმირო ბელადო, შენ დაიცევ!
შემმუსვრელო, ანის ნანდაურო თავადო,
აგას მოსვლას როგორ შეუშინდეს!
40 მცირე ჰყავს ჯარი, დაფრთხებიან,
მაგ ხალხმა ეს ვერ გულისხმაყო!”

მაშინ გილგამეშს, ქულაბას ბაგონს,
მოყმეთა სიგყვებზე გული გაუხარდა,
გუნება გაუხალისდა.

თავის მონას, ენქიდუს, ასე ეუბნება:
“აწ ბრძოლის ძალამ თოხი შესცვალოს,
ბრძოლის საჭურველი შენს მკლავს დაუბრუნდეს,
შემზარავ ელვარებას იქმოდეს!

აქ მოსული ჩემმა ელვარებამ დაფაროს,
განსჯა აერიოს, გონი შეუძრწუნდეს!”
50 არ გასულა დღე ხუთი, არ გასულა დღე ათი,
აგა ენმებარაგვის ძე ურუქს შემოადგა.
განსჯა აერია ურუქს.

მაშინ გილგამეში, ქულაბას ბაგონი,
ამგვარად ეგყვის თავის მეომრებს:
“შუბლი შეუჭმუნხნავთ ჩემს მეომრებს;
გულადი მოღვეს, აგასთან გავგზავნი.”

მაშინ ბირხურთური, რჩეული მონა,
თავის პაგრონს ქებას მოახსენებს:
“მე წავალ, პაგრონო, აგასთან.
60 განსჯა აერიოს, გონი შეუძრწუნდეს!”
კარიბჭიდან გავიდა ბირხურთური,
და რა გასცდა ბირხურთური კარიბჭეს,
კარიბჭესთან შეიპყრეს იგი.
ბირხურთურის სხეულს ჰგვემენ,
აგასთან მიიყვანეს.
აგას სიგყვას ეუბნება.

- სიგყვა თვისი ვერ დაასრულა, –
მაბარდიბუნუგი აღის გალავანზე,
გალავნიდან გაღმობიდაეს;
70 აგა თვალს შეავლებს,
ბირხურთურს ეგყვის:
“მონავ, ის კაცი ბაგონია შენი?”
“ის კაცი არ არის ბაგონი ჩემი.
რომ ყოფილიყო ის კაცი ბაგონი ჩემი,
სახე მისი მრისხანე იქნებოდა,
თვალი მისი ელვარე იქნებოდა,
წვერი მისი ლილაქვის იქნებოდა,
პეშვი მისი მოწყალე იქნებოდა!
- ბრბო არ გაუფანგავს, ბრბო არ შეუკრიბავს,
80 ბრბო მიწასთან არ გაუსწორებია,
უცხო ქვეყნები არ დაუქცევია,
ქვეყნის პირი მიწით არ ამოუვსია,
ხომალდის ქიმი არ მოუწყვევია,
აგა, ქიშის მეფე, მისივე ლაშქრიდან
ტყვედ არ წაუყვანია!”
სცემენ, აწამებენ,
ბირხურთურის სხეულს ჰგვემენ.
შემდგომად მბარდიბუნუგისა
გილგამეში აღის გალავანზე.
90 ქულაბას მოხუცსა და ყრმას მარი დაეცა,
ურუქის მოყმეთ მახვილი მოიმარჯვეს,

კარიბჭესთან შუკაში დადგნენ.
 ენქილუ კარიბჭისკენ გადის,
 გილგამეში გალავანზე იმართება.
 აგა თვალს შეავლებს:
 “მონავ, ის კაცი შენი ბატონია?”
 “ის კაცი ჩემი ბატონია.
 რაც ითქვა, ჭეშმარიტად ითქვა.
 ბრბო გაფანტა, ბრბო შეკრიბა,
 100 ბრბო მიწასთან გაასწორა,
 უცხო ქვეყნები დააქცია,
 ქვეყნის პირი მიწით ამოავსო,
 ხომალდის ქიმი მოწყვიტა,
 აგა, ქიშის მეფე, მისივე ლაშქრიდან
 ტყვედ წამოიყვანა.”
 გილგამეში, ქულაბას ბატონი,
 აგას ამგვარად ეტყვის:
 “აგა ჩემი ზედამხედველია,
 აგა ჩემი მოურავია,
 110 აგა ჩემი ლაშქრის წინამძღოლია,
 აგა გაფრენილ ჩიტებს საკენკით კვებავს!
 აგამ სუნთქვა მომცა, აგამ სიცოცხლე მომცა,
 აგას ლგოლვილი დედასთან მიჰყავს!”
 ურუქი, ქმნილება დიდი ღმერთებისა,
 დიდი კედელი, ღრუბელს მიბჯენილი,
 მაღალი სადგომი, ანის დადგენილი,
 გმირო ბელადო, შენ დაიცევ!

შემმუსვრელმა, ანის ნანდაურმა თავადმა,
აგავ, ქიშისაკენ განგიგევა,
120 უთუს წინაშე ძველი ხელმწიფება დაგიბრუნა.

გილგამეშ, ქულაბას ბაგონო,
ქება შენი კეთილმც არს!

გილგამეშის სიკვდილი

(ფრაგმენტები)

I

- 1 დიდი ხარი დაწვა, ველარ აღგება ვერასოდეს,
ბაგონი გილგამეში დაწვა, ველარ აღგება ვერასოდეს,
გმირი, სარგყელის შემომრგყმელი დაწვა, ველარ აღგება ვერასოდეს,
ძალაში სწორუპოვარი დაწვა, ველარ აღგება ვერასოდეს,
ბოროტების ამომძირკველი დაწვა, ველარ აღგება ვერასოდეს,
ბრძნულად მოლაპარაკე დაწვა, ველარ აღგება ვერასოდეს,
ქვეყანათა დამპყრობელი დაწვა, ველარ აღგება ვერასოდეს,
მთათა გადამლახავი დაწვა, ველარ აღგება ვერასოდეს,
ქულაბას ბაგონი დაწვა, ველარ აღგება ვერასოდეს,
- 10 ბელისწერის საწოლზე დაწვა, ველარ აღგება ვერასოდეს,
ოსვრა-კენესის ადგილზე დაწვა, ველარ აღგება ვერასოდეს,
ვერ ღგება, ვერ ჯდება, მოთქვამს,
ვერ ჭამს, ვერ სვამს, მოთქვამს,
ბელისწერის კარიბჭეს მიბმულია, ვერ ღგება,
როგორც თევზი, ფაცერში რომ არის გაბმული,
როგორც ქურციკი, ხაფანგში რომ არის გაბმული, დაგდებულია,
ბელისწერას ფეხი არა აქვს, ხელი არა აქვს [.]
[.] ხელთ უპყრია, ველარ აღგება ვერასოდეს,

II

- 1 დიდმა მთამ ენლილმა, ღმერთების მამამ,
ვიღგამეშ, ბედისწერად მეფობა მოგცა,
მარადიული სიცოცხლე არ მოუცია,
[.] სიცოცხლის გამო ნუ დანადვლიანდები,
[.]
ეს უბედურება კაცთა მოღვმისა უნდა გცოდნოდა,
რაც ჭიპლარის მოჭრას მოჰყვებოდა, უნდა გცოდნოდა,
კაცთა მოღვმის ბნელი დღე გელოდება,
კაცთა მოღვმის მარტოობის ადგილი გელოდება,
[.]
უსწორო ბრძოლა გელოდება,
10 შეყრა აუცდენელი გელოდება,
მაინც ირიგალში გულშეკრული და კრიჭაშეკრული ნუ ჩახვალ,
უთუს წინაშე, დაე [.]

III

- 1 ბაგონი ვიღგამეში დანადვლიანებულია, გული უწუხს,
ყველასთვის, ვინც არ უნდა იყოს, ქანდაკებები კეთდება
შორეულ დღეთათვის, ღმერთების გაძრებში იდგმება.
მათი სახელები, ერთხელ წარმოთქმული, არ წაიშლება!
არურუ, ენლილის უფროსი და, მისცემს მას შთამომავლობას,
მათი ქანდაკებები გაკეთდება შორეულ დღეთათვის,

გაიხსენებენ მათ ქვეყანაში.
ერეშქიგალ, ნინაზუს დედავ, კეთილ არს ქება შენი!

IV

- 1 მას ჟამს ჭაბუკი ბატონი გილგამეში დაწვა
თავისი სიკვდილის სარეცელზე,
[.]
როცა ბატონი გილგამეში შევიდა საკრებულოში,
ღმერთების უზენაეს ადგილზე,
უთხრეს ბატონ გილგამემს: ასეა შენი საქმე:
რაც კი გზები მოგივლია, კედარი, ძვირფასი ხე,
მისი მთიანეთიდან მოგიგანია;
მოგიკლავს ხუვავა მის მალნარში,
მომავალ დღეთათვის სამანი დაგიდგამს;
- 10 ღმერთებისთვის გაძრები აგიგია,
ზიუსუდრას სამყოფელისთვის მიგიღწევია;
შუმერში შუმერის ღვთიური განგებანი მიგიგანია,
განგებანი სამუდამოდ დავიწყებული რომ იყო,
განჩინებანი და წეს-ჩვეულებები –
ხელის განბანა და პირის განბანა...
[.]
ენლილის რჩევა მიეცა ენქის,
ანსა და ენლილს ენქი ეუბნება:
იმ დღეებში, იმ შორეულ დღეებში,

იმ ღამეებში, იმ შორეულ ღამეებში,
20 იმ წლებში, იმ შორეულ წლებში,
როცა კრებულმა წარღვნა მოახდინა,
რათა კაცთა მოღვმა გაენადგურებინა,
ჩვენს შორის სიცოცხლის ქომაგი ერთადერთი მე ვიყავი,
რომ მიუსუღრას კაცთა მოღვმის სახელისთვის ეცოცხლა.
მაშინ ცა დაიფიცეთ, მიწა დაიფიცეთ,
რომ კაცთა მოღვმას არ ეცოცხლა.
ახლა გილგამემს ვუყურებთ [.]

დაე, გილგამემის სული ქვემოთ მკვდართა შორის
ქვესკნელში სულთა მეუფროსე იყოს,
30 სამართალს წყვეტდეს, განაჩენს იძლეოდეს,
მისი ნათქვამი წონიანი იყოს ნინგიშშიდასა
და ღუმუზის სიტყვებივით.

[.]

მაშინ გილგამეში, ყმაწვილი ბაგონი,
შეწუხდა კაცთა მოღვმის სიცოცხლის გამო,
ღვიძლი ნუ გიკვდება, გული ნუ გიწუხს,

[.]

წადი, სადაც ანუნები, დიდი ღმერთები,
სხედან მკვდართა შესაწირავის მოლოდინში,
აღვიღბე, სადაც ენ-ქურუმი წევს,

სადაც ლაგარ-ქურუმი წევს,

40 სადაც ლუმახ-ქურუმი წევს,

სადაც ნინდინგირ-ქურუმქალი წევს,

სადაც გულუგ-ქურუმი წევს,
სადაც სელით შემოსლილი ქურუმი წევს,
აღვიღბე, სადაც მამაშენი, დედაშენი, პაპაშენი,
შენი დები, წვანან,
სადაც შენი ძვირფასი მეგობარი, შენი თანამგზავრი,
შენი მეგობარი ენქილუ,
შენი უმცროსი ამხანაგი ენქილუ და დიდ ქალაქში
განმგებლებად მეფისგან განწესებულნი არიან,
აღვიღბე, სადაც ჯარის უფროსები წვანან,
სადაც ათისთავები წვანან, დიდ ქალაქში, არალიში...
50 დების სახლიდან დები გამოგეგებებიან,
შენი სამკაული გამოგეგებება,
შენი ძვირფასი ამოგეგებება,
შენი ქალაქის უხუცესობა გამოგეგებება.
ნუ დანადვლიანდები...
ამიერიდან იგი ანუნათა შორის შეირაცხება,
დიდი ღმერთების თანამგზავრად შეირაცხება,
ქვესკნელის განმგებელი გახდება;
სამართალს გადაწყვეტს და განჩინებას გამოიგანს;
წონიანი იქნება მისი ნათქვამი ნინგიშიდას
და ღუმუშის სიტყვებივით.

კონსტანტინე

ვილგამეშიანი

ლაფა პირველი

- 1-3. ეს სტრიქონები მეტისმეტად ხარვეზიანია. იკითხება მხოლოდ ცალკეული სიტყვები და სიტყვათა ფრაგმენტები: “სიღრმე” (აქად. *ნაკბუ*, ზოგის ამრით “ყველაფერი”), “იხილა”, “ქვეყანა” (“ზმელეთი”), “შეიცნო”, “ყოველი” და სხვ. ამიგომაც მათი თარგმანი რამდენადმე ჰიპოთეტურია და ასევე ღარჩება, ვიდრე არ აღმოჩნდება ღაფა, სადაც “მიძღვის” დასაწყისი სტრიქონები სრულად იქნება წარმოდგენილი.
6. “წარღვნამდელ ღღეთა...” – შუამდინარული მითოსი კაცობრიობის ისტორიას ორ, მკვეთრად განსხვავებულ პერიოდად მიჯნავს – წარღვნამდელ და წარღვნისშემდგომ. წარღვნამდელ ხანაში შეიქმნა ყველაფერი – ციდან ჩამოვიდა შეფობა, დაფუძნდა პირველი ქალაქები და ცივილიზაცია. ეს იყო პირველქმნალობის ხანა, ამიგომაც იგი უდიდესი ავგორიგეგით არის შემოსილი.
10. ეანა, შუმ. *ე-ანა* – “სახლი ცისა” ან “სახლი ანისა” (ან – “ცა” და ცის ღმერთის საკუთარი სახელი); ურუქის მთავარი გაძარია, სადაც იმთავითვე ერთმანეთთან იყო შეთავსებული ცის ღმერთის, ანის და ცის ღელოფლის, ინანას (იშთარის) კულგი.
ბელელი – ყოველი საგაძრო კომპლექსის აუცილებელი ნაწილი იყო შუმერში. აქ ინახებოდა გაძრის ყანებიდან აღებული მოსავალი (ასეთივე დანიშნულებისა იყო ჩვენში ხაგის ბელელი); აქვე ხდებ-

ბოლა საღვთო ქორწინების რიგული (მღრ. საქართველოშიც და-
დასტურებული ჩვეულება ახალდაქორწინებულთა პირველი ღამის
გათევისა ბელელში).

13. “შორიდან მოგანილს” – შუამდინარეთში სამშენებლო ქვა არ იპოვებო-
და, ამიტომ ძველთაგანვე იგი შორეული ქვეყნიებიდან მოჰქონდათ, რაც
მაშინდელ პირობებში დიდ სიძნელებთან იყო დაკავშირებული. ერთი შუ-
მერული თქმულების მიხედვით, ლეგენდარულ არათას ქვეყანას დაეკისრა
ხარკად ურუქის მომარაგება საშენი მასალით, “მთიანეთის ქვეებით”.
19. “შვიდი ბრძენკაცი” – იგულისხმება შვიდი *აფქალი*, რომელთაც მი-
თოსის თანახმად კაცობრიული ცხოვრების გარიჟრაჟზე ცივილიზაცია
დააფუძნეს. (იხ. გ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, 2006, გვ. 231-
238). შვიდი ბრძენის გრადიცია გავრცელებული იყო ძველი ცივილი-
ზაციის ხალხებში, მაგ., ინდოელთა შვიდი რიში, ძველბერძენთა შვიდი
პირველი ფილოსოფოსი.
20. აშურელ-ბაბილონელ მეფეთა სასახლის ბიბლიოთეკებში თიხის „წიგ-
ნები“ (დაფები) ხის სკივრებში ინახებოდა.
22. “ლაქვარდის დაფა” – ლაქვარდი ყოველი ძვირფასი საგნის მეტაფორაა.
30. ლუგალბანდა – აქალღური ეპოსის მიხედვით გილგამეშის პირადი
ღვთაებაა, მისი მფარველი ანგელოსი. მაგრამ შუმერული გრადიციის
თანახმად იგი მის მამად და ნინსუნას ქმრად იწოდება. ცნობილია რამ-
დენიმე შუმერული პოემა, სადაც მთავარ გმირად ფიგურირებს ჭაბუკი
ლუგალბანდა – ურუქის მეფე.
31. “ფურის ძუძუნაწოვარი” – ფური ამ ფორმულაში გილგამეშის დედის,
ნინსუნას ეპითეტია. ძველი შუმერის გაღმერთებული მბრძანებლები
ქალღმერთის რძით გამოკვებილად იყვნენ მიჩნეული.
44. “ტანში ჩადგმია ღმერთების ხორცი” – შუამდინარული სამეფო იდეო-
ლოგიის მიხედვით მეფე ღვთიური წარმოშობისაა. მღრ. თქმა: “მეფე
– მზე თავის ხალხისა, ღმერთების ხორცი.”

51. “ურუქ-ფარეხი” – იგივე “გალავნიანი ურუქია”. ამ ეპითეგით ნათქვამია, რომ მოქალაქენი ურუქში ისევე არიან დაცულნი, როგორც ფარეხში ცხვრის ფარა.
- 75-79. ქალღმერთი არურუ საშოდან კი არ შობს ენქიდუს, არამედ ძერწავს დანერწყვილი თიხისაგან და შთაბერავს სიცოცხლის სუნთქვას, ისევე როგორც ძველი აღთქმის ღმერთი – ადამს. ამრიგად, არურუს მოქმედება ხელოვანის შემოქმედებას ედრება. ისიც ცნობილია, რომ მეთუნეობას ძველი კულტურის ხალხებში ქალები მისდევდნენ უპირატესად.
- 81-88. ენქიდუს გარეგანი აღწერილობა მიგვითითებს, რომ იგი ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი კაცებრივი არსება, იგი ჯერ კიდევ ბუნების მოვლენაა. ნისაბა ყანების ღვთაებაა და მათი სიმწიფის პერსონიფიკაცია. მისი სიმბოლოა თავთავი, ხოლო თავად ქალღმერთი წარმოდგენილია ხნულებში მთარული მშვენიერი ქალწულის სახით. სუმუკანი ნადირთ პატრონია, გარეული ჯოგების ღმერთი. მათი ნაყოფიერების გამომწვევი, ღვთაებრივი მწერბავი.
98. “სახე გაუხდა შორი გზით მავალს” – ჩვენებურად: მკვდრის ფერი დაედო. “შორეული გზა” ქვესკნელის გზაა, ამიტომაც ამ გზით მავალი “მკვდარს” ნიშნავს. შდრ. დუმუზის ერთ-ერთი ეპითეგი “კაცი შორეული” (ლუ-ბადუ), იმის აღსანიშნავად, რომ დუმუზი პერიოდულად გაუღგება ხოლმე ამ “შორეულ გზას” ქვესკნელისკენ.
146. შამხათ – როსკიპის სახელი აქაღურად ნიშნავს “მხიარულებას”, “სიხარულს.” ეს სიტყვა იხმარება აგრეთვე საღვთო როსკიპთა საზოგადო სახელად.
238. ნინსუნა – შუმ. “ქალბატონი-ფური”, რომლის ეპითეგია “გალავნის ფური”, ითვლებოდა ურუქის ადგილობრივ ღვთაებად. ურუქელი წარმოშობის მეფენი, რომელთაც ურის სახელმწიფო დააარსეს, თავიანთ თავს ნინსუნას საშოდან გამომავლად თვლიან და ამის გამო გილგამეში მათ “დიდ ძმად” (შემ-გალ) იწოდება.

დაფა მეორე

4. შუმერულ-აქადურ საბეჭდავებზე გამოსახულ ე. წ. წარღვინების სცენაზე შუამავალ ქალღმერთს ხელჩაკიდებული მიჰყავს მეფე ტახტზე მჯდომარე ღვთაებასთან.
- 47-58. ეს ადგილი მეგისმეტად ბუნდოვანია ფრაზის უკიდურესი ლაკონიურობისა და ძნელად გასაგები ლექსიკის გამო. 55-56 სტრ. თითქოს ამკარად მოწმობს, რომ გილგამეში ზედმეტად სარგებლობს პირველი ღამის უფლებით.
75. იშხარა – სქესობრივი კავშირის ქალღმერთი. მისი სიმბოლოა ღრიანკალი. არსებობს გლიპტიკის ნიმუში, სადაც ტახტზე მწოლარე შეულეებული წყვილის ქვეშ ღრიანკალია გამოსახული, ვითარცა ამ აქტის ნიშანი. ეპოსის ამ ადგილას იშხარა ქალის სახელია, რომელსაც გილგამეში ეუღლება.

დაფა მესამე

16. ხით ღარბი შუამდინარეთისათვის ცყიანი ქვეყნებისკენ ლაშქრობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმთავითვე. უძველესი ისტორიული ცნობა კედარის იმპორგისა იპოვება ლაგაშის მეფის, ეანათუმის (ძვ. წ. XXV ს.) წარწერაში. კედარის ხით დაინტერესებული იყვნენ ეგვიპტის ფარაონები, ისრაელის მეფე სოლომონი და სხვანი.
23. ბერუ – მანძილის ერთეული, ორი საათის საგალი.
42. შამაში – მზის ღმერთი, სიმართლისა და სამართლიანობის ღვთაება.
43. ადადი – ავღრისა და ჭექა-ქუხილის ღმერთი.
45. ენლილი – ძველი შუმერული ღმერთი, უზენაესი გრიადის (ანუ, ენლილ, ენქი) მეორე წევრი. აქადურ მითოსსა და ეპოსში იგი კაცო-

ბრიობისადმი მგრულად განწყობილი ღმერთია. მისი ინიციატივით მოხდა საყოველთაო წარდგნა. თუმცა შუშერულ ხანაში იგი შუშერის ნაციონალური ერთიანობის ღმერთი იყო.

- 50-51. შუამდინარეთისათვის დამახასიათებელი განცდა წუთისოფლის წარმავლობისა სხვაგვარადაც არის გამოთქმული: “კაცთა მოდგმა და მისი ნაღვაწი ერთიანად განაღგურდება.” ეს ნაღვლიანი განწყობილება ბოლომდე გასდევს აქადურ ლიტერატურას. იგი ძველი აღთქმის წიგნებშიც პოულობს გამოძახილს: “სახელი ჩვენი დავიწყებულ იქმნეს ქამსა შინა და არავინ მოიხსენნეს საქმენი ჩვენნი” (სიბრძნ. სოლომ.). ამავე მოტივზეა აგებული ეკლესიასტეს წიგნი.
73. ბილთუ – წონის ერთეული, დაახ. 30 კგ.
96. უხუცესნი – უძველეს ხანაში ქალაქ-სახელმწიფოს მეფე ვალდებული იყო უხუცესთა საბჭოს რჩევისათვის მოესმინა, როცა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საქმე იყო გადასაწყვეტი. არსებობდა მეორე საბჭოც – “მოყმეთა კრებული” (იხ. “გილგამეში და აგა”).
194. “ღამის მოღარაჯენი” – ანუ მხმილაენი, რომელთა შორის განაწილებულია სამი საღარაჯო (ძველქართულად სახმილაენი) ღამისა, სხვანაირად, მამლის სამი ყივილი: ჟამი “ვარსკვლავთა ამობრწყინებისა”, ჟამი შუაღამისა და ჟამი განთიადისა.
215. ანშანი – მხარე შუშერის ჩრდ.-აღმოსავლ., ელამის ქვეყანაში, სადაც მშვილდ-ისარი უძველესი ხანიდან ყოფილა ცნობილი. შდრ. “ელამს კაპარჭი მოაქვს” (ესაია, 22:6). ბაბილონურ ასკრონომიაში ერთ-ერთ თანავარსკვლაველს “ელამური მშვილდი” (ანშანის მშვილდი) ეწოდება.
245. ჭების ამოთხრა დიდად მნიშვნელოვანი აქტი იყო როგორც შუამდინარეთში, ისე პალესტინის უწყლო უდაბნოებში (იხ. “გილგამეში და აგა”). ძველი აღთქმის პაგრიარქები – აბრაამი, ისაკი და იაკობი – გამუდმებით თხრიდნენ ჭებს სხვადასხვა ადგილას. უდაბნოში მოგზაუ-

რობისას აუცილებელი ხდებოდა ჭის ამოთხრა სასმელი წყლის მოსამარაგებლად.

დაფა მეოთხე

4. “შამაშის წინაშე ჭა ამოთხარეს” – ამ შემთხვევაში ამ აქტს საკულტო მნიშვნელობა აქვს. ამბავი ღამით ხდება, როცა მზის ღმერთი შამაში მიწისქვეშა ოკეანეშია განსასვენებლად. ამიტომაც ითხრება ჭა, რათა მზის ღმერთთან კავშირი დამყარდეს.
37. “ძილი, ღამის ნიაღვარი” – შდრ. “გარს ეღვრებოდათ ამბროსიული ძილი” (ილიადა, 11,19).
- 88-91. მთელი ეს სიმბარი წარმოადგენს ესქატოლოგიურ სცენას ქვეყნის აღსასრულის სურათებით. ამ შემთხვევაში მოასწავებს ხუმბაბას განადგურებას.

დაფა მეხუთე

7. ირნინი – ქალღმერთი, ზოგიერთის აზრით, იშთარის ერთ-ერთი განსახიერება. თუმცა კედარის ეპიზოდში ეს ქალღმერთი და მისი ტახტი აღარ ფიგურირებს. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი აქ ნახსენებია წმინდა მეგაფორული მნიშვნელობით. ამავე დროს არ შეიძლება არ გავისყენოთ ბიბლოსის ქალღმერთი, რომელსაც ეგვიპტის ფარაონის წარგზავნილები ამ მხარის კედროვანში შესვლისას მსხვერპლს სწირავენ.
25. “შვიდმაგი ეღვით ელაფს...” – “ელვა” ან “ელვარება” არაბუსტი თარგმანია შუმ. სიგყვისა *მელამ* – შემადრწუნებელი ბრწყინვალება, რომელსაც ასხივებს ღვთიური ან ღვთაებასთან წილნაყარი არსება. მთელი

ძალით გამოვლინებული *მელამი* ისეთ გარემოს ქმნის, სადაც მოკვდავისთვის შეღწევა შეუძლებელია, თუ მას ტანში “ღმერთების სორცი არ უდგას”, როგორც გილაგამემს. ასეთივე შემადრწუნებელ ელვარებას ასხივებენ მორიელ-კაცები, მზის აღმოსავალ-დასავალს რომ დარაჯობენ (დაფა IX, 28). შდრ. ქართ. ზღაპარს: “... მივიდნენ თუ არა მთის ძირში, მეფის შვილი ააკანკალა ღვეის შუქმა, მაგრამ ირმისამ გაამაგრა. როცა ორიოდე ადლის სიახლოვეს მივიდნენ, ორივენი დააბრმავა შუქმა” (ხალხ. სიბრძნე, 1, 1963, გვ. 59).

86. ანუნაქები – ქვესკნელის ღემონები შუმერულ პანთეონში. რას გულისხმობს “იდუმალი ბინა ანუნაქთა” გაუგებარია; შესაძლოა, რომელიღაც დაკარგული მითოსის გამოძახილი იყოს. ყოველ შემთხვევაში გვაგონდება ვეფხისტყაოსნის “ღევთა ქვაბი”, რომელიც შელეწეს გმირებმა და “პოვეს საჭურჭლე უსახო, კვლა უნახავი თვალისა” (1366,1) და სხვ.

დაფა მეექვსე

- 1-3. ეს სგრიქონები შინაგანი და კიდური რითმებით არის გაწყობილი:
*იმსი მალეშუ, უბბიბა ბელეშუ,
უნასის ქიმმასუ, ელუ ცერეშუ,
ილდი მარშუთიშუ, ითთალბიშ მაქუთიშუ.*
7. “თვალს დაადგამს” – ეს საერთოსემიგური იდიომა გულისხმობს ვნებიან შეხედვას. სწორედ ამგვარად არის გამოხატული ფოტიფარის ცოლის ვნება იოსების მიმართ: “დაადგნა ცოლმან უფლისა მისისამან თვალნი თვისნი იოსებს ზედა” (დაბ. 29:7).
10. “შენ ქმარი იყავ...” – საქორწინო (თუ ნიშნობის) რიგუალის სიგყვიერი ფორმულა, რომელსაც წარმოთქვამდა სასძლო იმ ხანაში, როცა მასზე იყო არჩევანი. ღუმუზი-ინანას შუმერულ სიმღერებში ქალ-

ღმერთი თავისი ნება-სურვილით ირჩევს საქმროს. ეს პრივილეგია ქალისა ასახულია ხამურაბის კანონებშიც (ძვ. წ. XVIII ს.), სადაც ქალს გარკვეულ შემთხვევებში უფლება აქვს მისთხოვდეს “თავისი გულის სასურველ კაცს”.

14. შდრ. “სართულნი სახლისა ჩვენისა კედარისანი” (ქებათა ქება, 1:16) – ასე ეუბნება ქალი თავის საგროფოს.
38. “ხარო ხარ...” – ამგვარი შედარება ხშირია აქადურ ტექსტებში, მაგ: “ქალი ჭა არის, ჭა, ორმო და თხრილი”.
39. შდრ. საწუთროს მიმართ ნათქვამი: “გაბასრული ხარ მწიკვლითა, აროდეს განირეცხები, ვინც რომე შენა გეხების, ფისივით ზედა ეცხები” (“დავითიანი” – “კაცისა და საწუთროსაგან ცილობა...”, სგრ. 50).
- 44-47. აქ ჩამოთვლილ იმთარის საგროფოთაგან მხოლოდ თამუზია ცნობილი აქადურ ლიტერატურაში. თამუზი ჭაბუკი მწყემსია, იმთარის შეყვარებული, რომელიც ქვესკნელიდან ამოსულმა ქალღმერთმა თავის ნაცვლად ჩააბარა ქვესკნელის ღემონებს და დასაღუპად გასწირა. სხვა ტექტებში იხანა ცხარედ მოთქვამს თამუზის დაღუპვას.
- 60-65. ამ მწყემსი ბიჭის ამბავი გვაგონებს მონადირე აკგონის თქმულებას, რომლის თანახმადაც, იგი, არგემისის მიერ ირმად ქცეული, საკუთარმა ძაღლებმა დაგლიჯეს.
70. “ძალი შენი” – იგულისხმება სექსუალური ძალა ან პირდაპირ *penis*.
- 97-100. ეს სგრიქონები მცირე ცვლილებებით იმეორებს პასაქს აქადური მითოსიდან “იმთარის ჩასვლა ქვესკნელში”. ამ სიტყვებით იმუქრება იმთარი, როდესაც მას ქვესკნელის კარიბჭეს არ უღებენ. ასევე იმუქრება ჰელიოსი, როდესაც ზევსისგან ოდისევსის თანამგზავრების დასჯას მოითხოვს: “ჩავალ ჰადესის სამეფოში და მკვდრებს გავუნათებ” (ოდისეა, XII, 387).
104. “ფუტურო ბზე” – მოუსაველიანობისა და შიმშილის ნიშანი. ასევეა ძველ აღთქმაში, სადაც სიყმილის შვიდი წელი სიმბოლიზებულია “შვი-

- დი ფშუგე და ხორმაკისგან დახრუკული” თავთავით (დაბ. 41:6), რაც შეესატყვისება აქაღურ ბზეს (თუ ჩალას).
151. ხარის ბეჭი – ცხოველის ეს ნაწილი ხშირად გვხვდება რიტუალურ ტექსტებში მსხვერპლშეწირვასთან დაკავშირებით. ფიქრობენ, თითქოს ეს სიტყვა ამ პასაჟში ფალოსის მნიშვნელობით არის ნახმარი (ენქილუ ხარის ბეჭის სროლით თითქოს კიცხვით შეახსენებს იშთარს მისი კულგის ამორალურ ხასიათს).
156. შამხათები და ხარიმათები – საღვთო როსკიპთა, იშთარის კულგის მსახურთა, სახელწოდებანი (შღრ. ენქილუს მაცთუნებელი როსკიპის სახელი – შამხათ).
161. მანა – წონის ერთეული, დაახ. 0,5 კგ. გური – სითხის საწყაო, საკმაოდ დიდი მოცულობისა.
175. შღრ. “როცა ბრუნდებოდა დავითი ფილისტიმელთა დამარცხების შემდეგ, გამოდიოდნენ ქალები ისრაელის ყველა ქალაქიდან საულ მეფის მისაგებებლად სიმღერით და როკვით, დაუდაფებით, მხიარული შეძახილებით. გაჰყვიროდნენ მხიარული ქალები, ამბობდნენ: შემუსრა საულმა თავისი ათასი, ხოლო დავითმა თავისი ათი ათასი!” (1მეფ. 18:6-7).

დაფა მეშვიდე

- 1–23. ეს მონაკვეთი ჩართულია ეპოსის ხეთური ვერსიიდან. სავარაუდოა, რომ ამგვარი შინაარსის სიმზარი აქაღურ დედანშიც ყოფილიყო.
37. გარი – სიგრძის ერთეული, დაახ. 7 მ.
113. მარცხენა მხარის სამყოფელი – იგივე მკედართა სამეფო, შავეთი (ეფემისტური გამოთქმა).
114. მიწის მთავარნი – ქვესკნელის მთავარნი, ან მიცვალებულთა სულელები,

- რომლებიც შავეთში პრივილეგიებით სარგებლობენ. შღრ. “ქვესკნელი შეიძრა შენს გამო, რათა შეგეგებოს შესვლისას; გააღვიძა შენთვის მიცვალებულნი, ყველა ბელადი მიწისა” (ესაია, 14:9).
155. “წყვდიადის სახლში...” – ეს მონაკვეთი იმეორებს აქალღური მითოსის (“იშთარის ჩასვლა ქვესკნელში”) დასაწყის სტრიქონებს. ირქალა – ქვესკნელის დელოფალი, იგივე ერეშქიგალი.
174. ეთანა – მეფე-მწყემსი, რომელიც არწივმა აიყვანა ცაში “შობის ბალახის” მოსაპოვებლად (იხ. ძველი შუამდინარული პოეზია, 2009, გვ. 287-298). ერთ შუმერულ ელევიაში ეთანა გილგამეშთან ერთად იხსენიება შავეთის ბინადართა შორის. სუმუკანი ქვესკნელის დროებითი მღგმურია, ვითარცა მომკვდარი და მკვდრეთით აღმდგარი ღვთაება.
176. ბელით-ცერი – აქად. “ველის (უდაბნოს) ქალბატონი”, ქვესკნელის ქალღმერთი, შესაძლებელია, თავად ერეშქიგალის სხვა სახელი იყოს. “ველი” (ან “უდაბნო”) აქ ქვესკნელის სინონიმია.

ღაფა მერვე

- 7–39. ღაგირების უძველესი ნიმუში მსოფლიო მწერლობაში. ენქიდუ მთელმა ბუნებამ უნდა იგიროს, რადგან იგი ბუნების შვილი იყო – “მოყმე გარეული ველთა წიადისა”. ენქიდუს დასგირიან გარეული ჯოგები, როგორც ხოგაის მინდიგეა ნათქვამი: “მაღლის ჭიუხის ნადირი საგირლად ემზადებოდა”.
19. მდინარე ულა – ულაი, მდინარე ელამში, ჩაუდიოდა მის მთავარ ქალაქს, სუმას (ძველ შუმანს). აწინდელი ქარუნი მიაჩნიათ მის ქვემო დინებად. ცნობილია ძველი აღთქმიდანაც (ღან. 8:2).
58. “სახე დაუფარა ვითარცა სასძლოს” – ამ კონტექსტში სასძლოს ხსენება ნიშანდობლივია იმ მხრივ, რომ ბევრ ხალხებში საქორწილო და

დაკრძალვის რიგულები ერთმანეთის მსგავსი იყო, უფრო სწორად, ამ ორი, თითქოს ერთმანეთის საწინააღმდეგო მოვლენის დროს ერთი და იგივე რიგულები სრულდებოდა.

დაფა მეცხრე

6. უთანაფიშთი – წარღვნის გმირის სახელი აქადურად ნიშნავს: “სული (სიცოცხლე) ჰპოვა”. წარღვნის შუმერული მითოსის მის ორეულს ეწოდება *ბი-უ-სულ-რა* “შორეულ ღღეთა სიცოცხლისკენ მავალი”, რაც ეხმაურება უთანაფიშთის ეპითეტს – “შორეული”.
10. სინი – მთვარის ღმერთი, შუამდინარული პანთეონის მეორე რანგის გრიადის (სინი, შამაში და იშთარი) პირველი წევრი.
20. მაშუს მთები – *მაშუ* აქადურად ნიშნავს “მარჩბივს”. ცდილობენ ამ მითოსური მთების ლოკალიზაციას, თითქოს მათში იგულისხმებოდეს ლიბანი და ანგილიბანი, რომელნიც მაშუს მთებივით ერთმანეთის პირისპირ ღვანან. ორი მთის შესახებ მზესთან დაკავშირებით შდრ.: “ჯერ მან ორი მთა დაინახა, რომელთა ცამღე აზიდული მწვერვალებიდან აღმომავალი მზე თავის შუქმფინარ სხივებს დეღამიწას სცყორცნის” (აპ. როდოსელი, არგონავტიკა, წ. III, აკ. ურუშადის თარგმ.). მაშუს მთები, გილგამეშის ეპოსის გარდა, სხვაგან არსად იხსენიება, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ მისი მითოსის არსებობა.
- 21–22. “რომელთა მწვერვალნი...” – კოსმოსის სტრუქტურის გავრცელებული მითოლოგემა, რომლის ამოსავალია *ღურ-ან-ქი* – “ცისა და მიწის” კავშირი ან *დიმ-გალ* “დიდი ღერძი” – სამყაროს შუაგულში გამავალი და სამი სქელის შემაერთებელი. მთის გარდა სამყაროს ღერძის გამოვლენაა ხე, ტაძარი, მდინარე, ცეცხლი და სხვა (იხ. ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, 2006, გვ. 150-184).

101. “ჩრდილოეთის ქარი” – წინააღმდეგ სამხრეთის მხურვალე ქარისა, შუამდინარელისათვის შვებისა და იმედის მომცემი გრილი და საამური ქარია. შდრ. “ჩრდილო ქარი შენი გონებისა კაცთათვის კეთილმქროლია”, “მარდუქის ბრძანებით, ღმერთთა მეუფისა, დაბერა ჩრდილოეთის ქარმა, კეთილმა ქარმა ღმერთთა უფლისა”.
130. “უჭვრეტდეს მზის თვალს...” – შუმერული რწმენით, მზის ღმერთი უთუთავის ღროზე მკვდრებსაც გაუნათებს: “ოდეს ღიღი უთუ ბნელ ადგილებს ნათელად აქცევს...”

დაფა მეათე

1. სიღური – ეს პერსონაჟი მხოლოდ ამ ეპოსში გვხვდება. ლურსმულ ლექსიკონებში იგი განმარტებულია როგორც “სიბრძნის იშთარი”. მისი სახელი იხსენიება გილგამეშის ეპოსის ხურიტულ ფრაგმენტში. ხურიტულ ენაზე თითქოს “ქალს” უნდა ნიშნავდეს, რაც ალბათ მოწმობს მის წარმომავლობას ხურიტული მითოლოგიიდან. სიღური თავისი შებურულობით გვაგონებს ჰომეროსისეულ ნიმფა კალიფსოს, რომლის სახელი ნიშნავს “დაფარულს”.
115. ურ-შანაბი – “ენქის (ან ეას) მსახური”. *შანაბი* ნიშნავს “ორ მესამედს”, რომელიც ენქის ერთ-ერთი სახელია, რადგან მისი საკრალური რიცხვი არის 40, უმაღლესი ღვთაების, ანის, რიცხვის (60) ორი მესამედი.
- 117-118. გაურკვეველია ამ გველის ამბავი, ან რა ფუნქციას ასრულებენ ეს ქეები, რისთვის სჭირდება ისინი უთანაფიშთის მენავეს. ისიც გაუგებარია, რამ გააშმაგა გილგამეში, რომ თავისდა საზიანოდ (იხ. სგრ. 181) დაამსხვრია ქეები და მოკლა გველი. ხომალდის ქეების ამბავს უთანაფიშთიც მიხვდება და ღიღად განცვიფრდება (სგრ. 211).
321. მამეთუ – დედა-ქალღმერთის, ღიღი დედის ერთ-ერთი სახელი.

დაფა მეთერთმეტე

- 3-6. დედანში ალიგერაცია და ვირგუომულად დატრიალებული ფრაზა:
*მინათუქა ულ შანა, ქი იათამა ათთა,
უ ათთა ულ შანათ, ქი იათიმა ათთა.*
12. შურუფაქი – სამხრეთ შუმერის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი (აწინდ. ფარა) ხუთთაგან, (*ერიდუ, ბათლიბირა, ლარაკ, სიპარ, შურუპაკ*), რომლებშიც მითოსური ისტორიის თანახმად მონაცვლეობით გადადიოდა წარდენამდელი სრულიადშუმერული მეფობა და, საერთოდ, ცივილიზაცია.
- 49-50. დედანში ეს ორი სტრიქონი გართმულია, რაც ძალზე იშვიათია აქადურ პოეზიაში (საერთოდ, აქადელი პოეტი შეგნებულად გაურბის რითმას, როგორც შემჩნეულია სამეცნიერო ლიტერატურაში):
*ინა შერ ქუქქი, ინა ლილათი,
იმანანუ შამეთუ ქიბათი.*
50. “ხორბალში” იგულისხმება “სეცყვა”, – ამ სიტყვებით უთანაფიშიტიმ შეცდომაში უნდა შეიყვანოს შურუპაკის მოქალაქენი, რომელნიც მოელიან ხორბლის სიუხვეს ზეგარდამო, სინამდვილეში კი სეცყვის ღვარი დააქცევს მათ.
76. “სურნელი მეთი...” – უთანაფიშიტი წესისამებრ ხელს მეთით იბანს საქმის დასრულების ნიშნად.
- 99-100. გაუგებარია ფუმურ-ამურუს როლი ან რა იგულისხმება ამ “სასახლეში” (*ექალლუ*). ფიქრობენ, თითქოს უთანაფიშიტის თავისი სასახლე ეჩუქებინოს ამ კაცისთვის მადლობის ნიშნად; მაგრამ გარდა იმისა, რომ ამგვარი საჩუქარი ამ ვითარებაში მეგისმეგად ცინიკურია, სადღა ჰქონდა სასახლე შურუპაკში უთანაფიშიტის, – მან ხომ ეას შეგონებით დაარღვია თავისი საცხოვრებელი. მეორე მხრივ, თუ “სასახლეში” ხომალდი იგულისხმება, რომელიც – როგორც ნათქვამია ტექსტში,

- წარღვნის გმირმა ჩააბარა ფუმურ-ამურუს, სად გაქრა ეს უკანასკნელი წარღვნის შემდეგ? ერთი სიტყვით, ეს ადგილი ძალზე ბუნდოვანია.
120. “ძალღებავით მიყუდნენ ღმერთები” – შუამდინარულ ღვთისმოსავობას არ ბღაღავღა ამგვარი თქმები ღმერთების მიმართ. იხ. ამავღე კარში სგრ. 181: “ღმერთები შეესიენ მზორველს მწერღებავით”; შღრ. აგრეთვე: “ნუ შესწირავ, ბაგონო ჩემო, ნუ შესწირავ (ღმერთს მსხვერპლს)! ძაღღიღვით შეს უკან ღვეღნას შეაჩვევ!” (“ბაგონი ღა მონა”, ძვეღი შუამდინარული პოეზიღ, 2009, გვ. 347-351).
150. ნიციღრის მთღ – ამ მთის სახელი აქაღური წარმოშობის უღდა იყოს (ნაეარუ ნიშნავს “სსნას”, “მფარვეღობას”). ამურის მეფეთღ ანაღებში ნახსენებიღ ამ სახელწოღების მთღ. მაგ., ამურბანიპაღი წერს: “ქაღაქ ბაბეთიღან გავოვეღი, მივღღღეღი ნიციღრის მთღს, რომელსაც ლულუეღღები ქინიფღს უწოღღებენ”.
- 162-170. შღრ. ძვეღი აღთქმიღან: “ღღ გავუშვღ ყორანი ღა მიფრინავღღ იგი ღღ უკანვე ბრუნღებოღღ, ვიღრე ღღშრეზოღღ წყაღი მიწაზე. გავუშვღ მგრეღღი, რომ გავეღო, თუ ღღიკლო წყაღმა მიწის პირზე. ვერ იპოვღ მგრეღღმა ბრჭყაღის მოსაჭიღი ღღ უკანვე მოუბრუნღღ კიღობანში, რღღგღან ჯერ კიღვე იღღღა წყაღი მთელს მიწის პირზე. ღღ გავწოღღ ხელი ნოემ ღღ აიყვანღ იგი ღღ შეიყვანღ კიღობანში. შვიღ ღღღეს კიღვე ღღიციღღღა ღღ ხელახღღ გავუშვღ მგრეღღი კიღობნიღან. ღღ ღღბრუნღღ მგრეღღი საღღამოქაღმს ღღ, აჰღ, გეთისხიღის ნელი რგო ეჭღირღ ნისკარგით. ღღ მიხვღღა ნოე, რომ ღღმწღღარიყო წყაღი მიწაზე” (ღღბ. 8:6–11). შემღღვე ნათქვამიღ, რომ კვღავ გღშვებული მგრეღღი აღღარ ღღბრუნღღღ, რღღგღან ღღმშრღღ ხმელეთზე ფეხი მოიკიღღღ.
- 173–178. შღრ. “ღღ აუგო ნოემ სამსხვერპლო უფაღს, თითო-თითო ამოარჩიღ ყოვეღი წმიღღ პირუტყვიღან ღღ ყოვეღი წმიღღ ფრინვეღიღან ღღ აღსავღენღღ მიიგღან სამსხვერპლოზე. ღღ იყნოსღ უფაღმა კეთიღსურნეღღებღღ...” (ღღბ. 8:20-21).

183. ყელსაბამს ამ მნიშვნელოვან მომენტში იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, რაც ბიბლიურ ცისარტყელას (“მშვილდს”): “და ვლევ ჩემს ცისარტყელას ღრუბელში ნიშნად აღთქმისა ჩემსა და მიწას შორის” (დაბ. 9:13).
- 208-215. ერთი აქადური ეპოსის (“ათრახასისი”) მიხედვით, სადაც ძირითადია წარღვნის ეპიზოდი, ენლილმა წარღვნამდე სწორედ ეს სასჯელები მოუვლინა ქვეყნიერთ; წარღვნა მხოლოდ უკიდურესი ზომა იყო (იხ. შუამდინარული მითოლოგია, 2006, გვ. 370-373). შდრ.: “ასე ამბობს უფალი ღმერთი: ჩემი ოთხი მძიმე სასჯელიც რომ მოუვლინო იერუსალიმს – მახვილი, შიმშილი, სასტიკი მხეცი და ქამი...” (ეზეკ. 14:21).
215. ერა – შავი ჭირის მომავლინებელი ღმერთი, იგივე ნერგალი, ან მისი ერთი ასპექტი.
229. “წყლების დასაბამთან” – შდრ. ბიბლიურ სამოთხეს, ედემს, სადაც სათავეს იღებს სამყაროს ოთხი მდინარე.
246. “სწუხს კაცთა მოღვმა...” – თითქოს არსებობს სხვაგვარი წაკითხვის შესაძლებლობაც: “ბორტია კაცთა მოღვმა, შენც გიბორტგებს”.
362. გაუგებარია, რატომ და როგორ მიაცილებს მეზღვაური ურ-შანაბი გილგამეშს ურუქამდე სახმელეთო გზით. სგრ. 359 ამბობს, რომ გილგამეშმა ხომალდი მღვის ნაპირას დააგლო, სადაც წესით ურ-შანაბიც უნდა დარჩენილიყო. უთანაფიშთის მენავის მოსვლას ურუქში გილგამეშთან ერთად ის გამართლება აქვს, რომ გილგამეშს საშუალება ეძლევა დაანახოს უცხო კაცს ურუქის დიდებული მღუღე, რომლის ლიბო, მისი რწმენით, შვიდ ბრძენკაცს ჩაუღევს. ეპოსი იმავე სიგყვებით მთავრდება, რითაც დაიწყო.

შუმერული თქმულებები გილგამეშზე

ყველა ამ ტექსტის ორიგინალი გამოქვეყნებულია ნაკლებად ხელმისაწვდომ სამეცნიერო გამოცემებში. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს შუმერულ დედნებს და მათ ინგლისურ თარგმანებს ელექტრონულ ვერსიებში (ETCSL=Electronic Text Corpus of Sumerian Literature). იხ. <http://www-etcs1.orient.ox.ac.uk/>

ინანა, გილგამეში და ალვის ხე

2. ბურანუნა – ეეფრაგის შუმერული სახელწოდება. მის ნაპირას მდებარეობდა გილგამეშის სამშობლო ქალაქი ურუქი.
4. სამხრეთის ქარი – მგრული ქარი შუამდინარელთათვის, უდაბნოდან მონაქროლი. ერთ აქადურ მითოსში მოთხრობილია ამბავი, თუ როგორ მოსტყუა ადაპამ სამხრეთის ქარს ფრთები, რის გამოც ცაში იქნა დაბარებული ანის მიერ (იხ. “ადაპა”, ძველი შუამდინარული პოეზია, 2009, გვ. 281-286).
6. “ქალმა, ანის სიგყვათა მოშიშმა...” – ვინ არის ეს ქალი, გაუგებარია. თითქოს ინანა უნდა იყოს, მაგრამ იგივე ქალი ამბობს, “ხეს ინანას მგილში შევიტანო”.
- 12–13. “როლის მექნება ტახტი...” – იგივე მოტივი გვხვდება ერთ ქართულ ხალხურ ლექსში:

ჩემო ქმარო, ჩემო ქმარო, /ლომო და გმირო,
მაგ ალვის ხეს, მაგ ალვის ხეს, /გოტი შესტეხეო.

მაგ გოტისა, მაგ გოტისა, /სახლი დამიღგეო.

მღრ. აგრ. ქართული ზღაპარი: “მოიავადმყოფა თავი დედოფალმა –
თუ მაგის (ე. ი. ალვისხის) ფიცრის გახტს შემიკრავთ, მოვრჩებიო...”
(ხალხ. სიბრძ., 1, 1963, გვ. 123).

- 16–18. ალვის ხე, როგორც კოსმიური ღერძი, აერთიანებს სამ სკნელს, რომელნიც წარმოდგენილია გველის, ქალწულ ლილასა და ფრთოსანი ანზულის სახით (იხ. ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, 2006, გვ. 171-176).
24. აქ გილგამეში ინანას ძმად იწოდება. სრულიად განსხვავებული ურთიერთობაა გილგამეშსა და იშთარს შორის (იხ. გილგამეშიანი, დაფა VI).
44. ინანა სიგყვასიგყვით იმეორებს მე-3 პირით მოთხრობილ ამბავს და თავის თავსაც მესამე პირით იხსენიებს. ეს გამონაკლისი შემთხვევაა. განმეორებისას ჩვეულებრივ, პირი იცვლება ხოლმე.
- 59–60. ფუქუ და მიქუ – დაფდაფი და სარახუნებელი ჯოხები. სწორედ ამ იარაღის ხმაზე ამხედრებდა გილგამეში ურუქის მოყმეთ (იხ. დაფა 1, სტრ. 27).
61. “ქალწულთა მუდარა...” – გექსტიდან არ ჩანს, რამ შეაწუხა ქალწულნი. სიგუაყის ალსადგენად შეიძლება მოვიშველიოთ დაფა I, სტრ. 34–35:
“არ უშვეებს გილგამემ ქალწულს დედასთან,
ასულს გმირისას, სასძლოს მოყმისას”.
ძალადობის აღსაკვეთად ენქიდუს მოუვლენენ ღმერთები გილგამეშს, ხოლო შუმერულ პოემაში დაფდაფი და ჯოხები ქვესკნელში ჩაცვივდება.
65. “ხინართა კარიბჭესთან” – ქვესკნელის კარიბჭესთან. ხინარები ქვესკნელის ღმერთების სახელწოდებაა.

- 70–71. ეცეობა, ამ საღურგლოში დაუკვეთა გილგამეშმა ინანასათვის გახტი, ხოლო თავისთვის *ფუქუ* და *მიქუ*. მაგრამ ამ ამბის შემცველი ტექსტი არ იპოვება შუმერულ-აქადურ ლიტერატურაში.
- 81-95. ქვესკნელი ანტიპოდურია სამზვოს მიმართ, ამიტომაც იქ ჩამსვლელმა ტაბუ უნდა დაიცვას, – ცოცხალთა ჩვეულების საწინააღმდეგოდ უნდა მოიქცეს, რომ მასში ცოცხალი არსება არ შეიცნონ და არ დააკავონ.
97. ნინაზუს დედა – ქვესკნელის დედოფალი ერეშტიგალი, ხოლო თავად *ნინ-ა-ზუ* – “კურნების უფალი”, ქვესკნელის ერთ-ერთი ღვთაებაა.
121. ნამთარი – ბედისწერისა (შუმ. *ნამ-თარ*) და სიკვდილის ღმონი. თავად სახელი მისი (*ნამ-თარ*) “ბედისწერას” ნიშნავს შუმერულად.
122. აზაგ – უკურნებელი სენის ღმონი; გამოთქმა “აზაგს არ დაუკავებია” ნიშნავს: “სენს არ მოუკლავს”, ისევე როგორც “ნამთარს არ დაუკავებია” უნდა ნიშნავდეს: “თავისი ბედით არ მომკვლარა”.
123. “ქვესკნელმა დააკავა” – ნიშნავს: “მოკვდა”.
124. ნერგალი – ქვესკნელის ღმერთი, რომელიც ხან ცაშია, ხან ქვესკნელში.

ღამქრობა კედარის ტყისკენ

1. “ცოცხალი კაცის ქვეყანა” – შუმ. *ქურ-ლუ-თილა*. პოემის ჩვენამდე შემორჩენილ ტექსტში ეს კაცი არ მონაწილეობს. შესაძლებელია, მასში იგულისხმებოდეს სუვავა, ხოლო “მის ქვეყანაში” – მარადმწვანე კედარის ტყე. როგორც ქვემოთ ირკვევა, გილგამეშს იმედი აქვს ამ ქვეყანაში შესვლით უკვდავებას თუ არა, მარადიულ სახელს მანაც დაიმკვიდრებს.

75. “თავადმართული უთუ მივალს...” – მზის ჩასვლის შეკუმშული მითოსი, რაც სხვაგვარადაც გამოითქმის: “უთუ დედასთან ბრუნდება”, “უთუ დედის სახლში ბრუნდება”.
80. “შენს მშობელ დედას...” – ძნელად გასაგები ადგილია. ამ სიგყვების აზრი შეიძლება ასე გავიგოთ: გილგამეშის უღირსი საქციელის გამო დედამისი საჯაროდ არ შეარცხვინონ ქალაქის მოედანზე (?).
- 113-115. ამ სამ სტრიქონში სამი ანდაზაა, რომელთა აზრი ამ კონტექსტში გაურკვეველია.
- 131-132. “შენი პაგარა ფეხებისთვის...” – როგორც ჩანს, ხალხში გავრცელებული თქმა, რომლის მუსტი აზრი, მით უმეტეს ხუვავას მიმართ, გაუგებარია.
133. “ელვა” – ანუ ელვარება (შუმ. *ნი-თე*), იგივეა, რაც *მელაჰ*; იხ. შენიშენა, დაფა V, სტრ. 25.
- 164-165. “დედა, მშობელი ჩემი...” – თავის შებრალების, შევრდომების სიგყვიერი ფორმულა. შდრ. ლაგამის მთავრის, გუღეას (ძვ. წ. XXII ს.) მიმართვა ქალღმერთისადმი:
 დედა არ მივის, დედა ხარ ჩემი!
 მამა არ მივის, მამა ხარ ჩემი!
170. “გილგამეშმა გეცა დაიფიცა...” – მუსგად ასეთსავე ფიცს წარმოთქვამენ ჰომეროსის გმირები: “ნეგარ ღმერთებსაც კი აშინებთ ამგვარი ფიცი: დე, მოწმე იყოს ცა, დედამიწა და ქვესკნელი...” (ოდისეა, V, 185–186).
173. შუმერული გამოთქმა “დედის წიაღში დაბრუნება” ან, უბრალოდ, “დედასთან დაბრუნება” *ამა-არ-გი* ნიშნავს გყვეობიდან დახსნას, განთავისუფლებას.
179. გიპარი – საგადრო ბეღელი (იხ. შენიშე. დაფა 1, სტრ. 10), სადაც სრულდებოდა საღვთო ქორწინების რიგუალი, რომლის დროსაც მამრი ქურუმი ეუღლებოდა ღვთის მხევალს, ინანად განსახიერებულს. გიპარი ფაქტიურად მთავარქურუმის რეზიდენცია იყო.

198-200. ამ სამი სტრიქონის აზრი უნდა იყოს: ხუვავას მოკვლის გამო გმირებს მოსვენება არ ექნებათ, ხუვავას სული სასმელ-საჭმელში დაეზიარება მათ(?).

ვილგამეში და აგა

1. აგა – ქიშის ნახევრადლეგენდარული დინასტიის მეფე, რომლის შესახებ მხოლოდ ყრუ ცნობებია ჩვენამდე მოღწეული.
5. “ჭეხს რომ მოვუაროთ...” – მაინცდამაინც რაგომ ჭეხზე ამახვილებს ყურადღებას ვილგამეში უხუცესთა წინაშე ამ საბედისწერო ჟამს? როგორც ვიცით, ჭეხზე ზრუნვა მნიშვნელოვანი საქმიანობა იყო უდაბნოს პირობებში (ხოლო ურუქს უკაცრიელი უდაბნო ესაზღვრებოდა), და მასზე იყო დამოკიდებული ერთგვარად ქვეყნის კეთილდღეობა. ამით ვილგამეშს სურს თქვას: თუ გვინდა კეთილდღეობაში ვიყოთ, მგერს ნუ დავემორჩილებით. უხუცესნი საპირისპირო აზრის არიან. ერთმანეთს ეჯახება ორი პოლიტიკური თვალსაზრისი, ორივე ქვეყნის კეთილდღეობით ნაკარნახევი.
9. “უხუცესთა კრებული” – იხ. შენ. დაფა 11,98.
16. ქულაბა – დაბა ურუქის ქალაქ-სახელმწიფოს გერიგორიაზე. ვილგამეში ქულაბასთან იყო დაკავშირებული, შესაძლოა, როგორც საკუთრივ მისი მკვიდრი. ამიგომაც იწოდება ვილგამეში როგორც “ქულაბას ძე” (*დუმუ-ქულაბა*) ანუ ქულაბას მკვიდრი, და არასოდეს “ურუქის ძე”.
19. “მოყმეთა კრებული” – ურუქის ქალაქ-სახელმწიფოში უხუცესთა კრებულის ანუ საბჭოს გვერდით მოქმედებდა “მოყმეთა კრებული”, როგორც სახელმწიფოებრივი ორგანო, რომელიც გარკვეულად ბლუდავდა მეფის ძალაუფლებას. იარაღის მაგარებელ მოყმეთა

კრებული უპირისპირდება უხუცესობას, როგორც მეგრძოლი ძალა და სწორედ მის რჩევას დაჰყვება გილგამეში, ქვეყნის სამხედრო ბელადი – “დიდი კაცი” (ლუ-გალ)

29. “სახედრის ფერდების მკუმშავნი” – ასეა დახასიათებული მეომართა ფიზიკური ძლიერება, ან მხედრის ერთიანობა სახელდართან.
- 108-113. გაუგებარია გილგამეშის სიტყვების აზრი, განსაკუთრებით სტრ. 112: “აგამ სუნთქვა მომცა, აგამ სიცოცხლე მომცა”. ეს ფრაზა გამარჯვებული გილგამეშის პირიდან კურიოზულად ქდერს. საერთოდ, ბუნდოვანია ლეგენდის ბევრი ადგილი და, კერძოდ, დასასრული.

გილგამეშის სიკვდილი

არ არის მიკვლეული ერთიანი ტექსტი (დასაწყისიდან დასასრულამდე). როგორც ფრაგმენტებიდან ჩანს, არსებული “გილგამეშის სიკვდილის” რამდენიმე ერთმანეთისგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული ვერსია. როგორც ჩანს, გილგამეშს თავისი ღვაწლის გამო (უვალი გზების გაკაფვა, კედარის ტყის დაპყრობა, ბოროტების აღმოფხვრა, უთანაფიშთისთან შეხვედრა და სხვა) მკვდართა სამეფოში პრივილეგირებულია, ქვეყნელის ღმერთებთან ერთად ადამიანის ბელს წყვეტს. შუმერში მართლაც არსებობდა მისი, როგორც ქვესკნელის ერთ-ერთი ღვთაების, კულტი.

- I, 3. “სარტყელის შემომრტყმელი” – საბრძოლოდ გამზადებული.
- II, 1. “დიდი მთა” – ენლილის, როგორც ცისა და მიწის კავშირისა და სამყაროს შუაგულის, განმასახიერებელი ღმერთის არსებითი და მუდმივი ეპითეტი.
- II, 10. “ირიგალი” – შუმ. “დიდი ქალაქი!”, ქვესკნელის ერთ-ერთი სახელწოდება.

- III, 8. ერეშქიგალი – შუმ. “დიდი მიწის ქალბაგონი”, ქვესკნელის მბრძანებელი ქალღმერთი. IV, 10. ზიუსუდრა – შუმ. “შორეული (მარადიული) სიცოცხლის მძებნელი”, უთანაფიშთის შუმერელი ორეული.
- IV, 31. ნინგიშმიდა – ღუმუშის ციკლის ღვთაება, მასავით დაღუპული და აღმდგარი. აქ ქვესკნელის მსაჯული.
- IV, 48. “დიდი ქალაქი“, არალი – მკვლართა სამეფოს ერთ-ერთი სახელი.

სარჩევი

მურაბ კიკნაძე გილგამეშის ეპოსი	5
გი ლ გ ა მ ე შ ი ა ნ ი	51
შუმერული თქმულებები გილგამეშზე ინანა, გილგამეში და ალვის ხე	157
ლაშქრობა კედარის ტყისკენ	166
გილგამეში და აგა	175
გილგამეშის სიკვდილი	181
კომენტარები	187



**ქართული წიგნის მხარდაჭერის ფონდი
“მეგვიდრობა”**

თამაზ ჩხენკელი, *ტრავიკული ნიღბები*, 2009.

წახნაგი: ფილოლოგიურ კვლევათა წელიწდეული, 1. 2009.

გილგამეშიანი: ძველი შუამდინარული ეპოსი, აქადურიდან და შუმერულიდან
თარგმნა ბურაბ კიკნაძემ, 2009.

ძველი შუამდინარული პოეზია, შუმერულიდან და აქადურიდან თარგმნა
ბურაბ კიკნაძემ, 2009.